



# სამჭრთა ხელოვნება

GOBET'KROE  
 УГРУГГТВО  
 SOVIET  
 ART  
 SOWJETKUNST  
 ART  
 SOVIETIQUE



1971

# საგჭოთია სელაოვნება



ქართული საგმლის 1921 წლიდან

თვატნი  
მუსიკა  
მხატვრობა  
კიწო  
აწქიბეჭეწეწ  
ქმწეწოგწეწიწ

10

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საზოგადოებრივ-პოლიტიკური  
ლიტერატურულ-მხატვრული, მეცნიერულ-თეორიული უწყველთვიური ჟურნალი

1971



# პარტიის XXIV ყრილობის

## გადაწყვეტილებათა სულისკვეთებით

„პარტიული ხელმძღვანელების ძალა უნარი გაიტაცოს ხელყოფილი ხალხის სამსახურის კეთილშობილური ამოცანით, გახადოს იგი კომუნისტურ საწყისებზე საზოგადოების გარდაქმნის მტკიცე და აქტიური მონაწილე“.

ლ. ი. ბ რ ე შ ე ნ ი

საქართველოს მხატვრული ინტელიგენცია ყოველთვის მიმართავდა თავის შემოქმედებას პარტიის მიერ დასახულ კონკრეტულ სამოქმედო ამოცანათა განხორციელებლად და მიმართავს ახლაც. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გამატარებელი შემართება კი ახალ და უფრო მაღალ ეტაპს წარმოადგენს. შემოქმედებითი კოლექტივების მრავალათასიანი არმიის მოღვაწეობაში, რა თქმა უნდა, მხატვრული ინტელიგენციის მიზანდასახული შრომა ორგანულად არის დაკავშირებული მთელი ხალხის, — წარმოებისა და საყოფმურნეო დარგის ადამიანების შრომასთან და გაართობებულა საერთო-სახელმწიფოებრივი გეგმის განუხრავლად განხორციელების საპატიო მოთხოვნით. მხატვრული შემოქმედება საბჭოელი ადამიანების სულიერი გამოღვივების ქმედითი ფორმაა, რასაც ნებისა და მოწოდების გარდა საზოგადოებრივი მოვალეობისადმი მაღალმოქალაქობრივი დამოკიდებულების ვალდებულებაც აყალიბებს. შეფრთხილია ხელოვანის პირადი, ესთეტიკური მიდრეკილებების ფორმირება-ჩამოყალიბება, თუ იგი არ ესაზღვრება საერთო საზოგადოებრივის სარგებლიანობას. ხელოვანი მაშინ რჩება საზოგადოების უსარგებლო ცენტრში, როცა ნაფიქრად-ნაზელარით თანამედროვეების იდეურ მრწამსს არ განუდგება. საბჭოელი ხელოვანი ამითა ამაღლებულია და პარტიის ოცდამეოთხე ყრილობის გადაწყვეტილებათა სულიც ამ თვისებებისა და მოქმედების გახსნა-გაშლის უშრეტ წუაროდ იქცევა.

საქართველოს სახელოვნო კოლექტივებს, ორგანიზაციებს, უწყებებს, მიიღეს განცხადება თუ ცალ-ცალკე ინდივიდებს სწორად პარტიის ოცდამეოთხე ყრილობის სამრწამსში მითითებანი წარმართვენ იმ სწორი და მაღალეშმანური გზით, რომლითაც ყოველი ჩვენგანის მოღვაწეობა შესაბამისი და შეტვირთული ხდება მთელი კოლექტივის, ყველას წინაშე დასასული საზოგადოებრივი ვალდებულების ნაყოფიერებასთან, მკერებისა და ღირსი ერთობლიობით ეფექტიანობის გასარგებლად, მთელი ხალხის მატერიალური და სულიერი პოტენციის მაქსიმალურად გამოსავლენიანად ახლა ამოცანა იმისა, რომ აბსოლუტურად ამოშალოს ადამიანების აზროვნებად შრომისაში და მოქმედებულების თანხედის ის მცირედი გულცივიანა, რაც შრომით მოღვაწეობას ინერტული ხდის. არა მარტო საქართველო თუ მხატვრული გეგმების არაშემტკიცებელი შესრულება, არამედ უყოველი რიცხობრივი პროცესში იდეური სულიცულებების ახალი ხარისხის გადამრავლება, არა მარტო ახალი სექტორების რიცხვის გაღებვა, არამედ მათი იდეურ-მხატვრული ღირსების გამაგრებაც. ხელოვნება ყველაზე ნაკლებად ეძლევა ნეკლირებას, — ამბობდა დიდი ღღინიერი და ბუნებრივია, შემოქმედებელი ყველაზე მეტად უნდა იყოს საერთო-საზოგადოებრივი მიზანდასახულების ორიგინალურად ააშქმელ-ამსახველი.

ქართული საბჭოური თეატრი, კინემატოგრაფია, სახეიმი ხე-

ლოვნება, მუსიკისა და არქიტექტურის დარგის მოთავს-მოღვაწე-ნი ისე უნდა წარმართავდნენ თავიანთ ინდივიდურ ერთობრივ-სულ შემოქმედებით მუშაობას, რომ თავანთლად აქცედენ საერთო-კოლექტივის მისაღწევას მაქსიმალურ ეფექტურობას. პარტია და სახელმწიფო ყველა პირბაის მშენი ასეთი მოღვაწეობის განსაზღვრავს. მხატვრული ინტელიგენციას შეეძნოდა აქვს საიმედო ნიადაგი დამწვიდებულ მოღვაწეობისათვის. ამხანაგი ლეონიდი ბარეციევი ყრილობის მაღალი ტრამუნდინად ავრცნება მთელს ხალხს, მხატვრული ინტელიგენციის მრავალრიცხოვან არმიას, რომ შეუძლიან დამწვიდებით იმღვარენ, რადან ჩვენნი სახელმწიფოს დაცვა გარანტირებულია. ახლა ამოცანა იმისა, რომ ყოველმა ადამიანმა სისხლსაცად გამოალონოს თავისი შესაძლებლობა, ღრმად ჩასწვდეს მის წინაშე მდგარი ამოცანების სიღრმე-სრითულს და დასახის მათი გადაწყვეტის ეფექტური გზები.

ქართული საბჭოური ხელოვნება ზუსტად იცავს ამ რჩევას-მოთხოვნას და ბუნებრივია ამას აღწევს პარტიისტულ-ღინიურ მისოფუნდებულობაზე დაყრდნობით, მხატვრული შემოქმედებაში იდეურობის გამოტრეხით, ადამიანების ცხოვრებაში სოციალისტური ჩვევების დანერგვით, საზოგადოებაში კომუნისტური მოტივების იმ ძალით გამოქვეყნა, რომლითაც მოიპოვება სოციალისტის მშენებლის სულიერი და ფიზიკური ამაღლებულობა, ფიზიკურისა და გინებრივი შრომის პარონიულობა.

ამ მხრივ უყვე ბევრი გაცედა. პარტიის ოცდამეოთხე ყრილობის დამოატრებიდან მხოლოდ შვიდი თვე ვაგია, მაგრამ საბჭოელი ხელოვნება კეთილმა ნამოქმედარმა ბევრი მეტად იზრალა წინა წლებთან შედარებაში. ის გარკვეულად გამოიკეთა იმ საერთო დამავლობა-ინთუაზაში, რომელიც გაიშალა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წმ წლისათვისათვის მზადებით, რაც საერთო შრომითი ინთუაზაში გამოვლენის მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა. ქართველმა მუსიკებმა შექმნიეს ახალი ნაწარმოებები და რაც მოვარს ამბავლის იდეურ-კავშირებში მრწამსის მხატვრულად ვადამოტრეხ ოსტატობა. ფერმწერებმა, მიმღვაწეებმა, გრ. ფიკურებმა საქართველოს კომპოზიტორებმა, მინდნოლო სახეობა ხელოვნების რესპუბლიკური ხელოვნების ნაწილი სურათი მოგვცა, იმისა, თუ როგორ იზრდება გამოვლენის ეს დარგი. შრომა, ის ელექტუალური ძალა, რეჟოლუციური წარსულის ტრადიციების დაცვა-ვანებობა, უწყის საბავალიობის დანერგვა-ვაიკვლება, მომავლის მშვენიერების წარმოსახვა-განსახიერება, — არ ის მღღერავი თემები, რაც არა ერთი კარგი ფერტლომით თუ ნაწარმდარით ვიხელთთ ახალი გამოვლენის ექსპონატი.

ყოველი ახალი გამარჯვება ღრმად შესასწავლ მოვლენად იქცევა ხოლმე. რესპუბლიკის ხელოვნება წინაშე დასული ამოცანები დღეს უფრო მეტა, ვინემ გუშინ იყო და ზეალ კიდევ უფრო

იზრავლებს. ეს კი მთელი ჩვენი მხატვარულ-პოეტისული ძალები მოზიარებს მოთხოვს, ახალი მდივან-ვადაწყვეტის ხერხები განიხილოს გვაკვლიდეს. მხატვართა დღეა და ძლიერია არჩენის კიდევ უფრო უნდა გავრავლოთ თავისი მოთხოვნებშია, მაქსიმალურად გავარდოს უნდა დავიკავებოთ სხვადასხვა მიმართულებაში დასავსებრებულად. მხატვრის შემოქმედებით უნდა მისი უფრო მაღალი იქნება, რაც უფრო მეტად უნდა შემოქმედებდეს ხალხის შუაგულში. უნდა გავზარდოთ ფერტილობა შრომისა და შემართების თვალს, სისხლსავე და ავსებოთ წარბოვნი და კლმურებრივების მინდვრებზე მოსაწვია აწეწი. წარბოვნი სურათების ხელთ გარდაქმნილი ხუნების აზრით, მეტყველებს დაბრუნებით. უნდა მივიღწიოთ იმის, რომ უკვირია, კიდევ რომ არ ახლდეს გამოხატული პერსონაჟი, მაინც დალაიბდეს ადამიანის სულისა და ღონის ცხოველყოფილობაზე. ბუნებისა და მისი გამაღვივებელ-განმავითყოფილებელი ადამიანის დაღვთებულზე.

შემოქმედის მაღალი მოწოდება მოითხოვს უფრო ნაყოფი პირადი ხედვის კუთვნილებით საკუთარ ნაწარმოებებს, რათა უფრო ფართოდაა და ახასის საზოგადოებრივი აზრის კეთილყოფილობა. ზოგჯერ კი ადგილი აქვს ხომღვი შემოქმედის განვსაზღვრომას, პირადულ-სუბიექტურად ჩაარბევებას, როცა საზოგადოებრივად აუღლებელი-მოტივებს ნაშაღვიდავ და ხელოვნურად თავს ახვეწავს საზოგადოებას. არავის არავის, ნამეკუცრად" ხატავს. არავის მატებს დღეების სახელოს მომავალ ნებისა და უნარის წერილობრივად გადახურებებას. უკავს ნაწილობა და დროშა-მშობლი პროცესიალში. ახსარკითხვითელი მანერების ახალ მოღონება გასაბუნის ცდა, ან იმის იმის, რომ არაა უფრო ბუნებრივად და წაუწყალად ასახვევ ფაქტს, მით უფრო მოღვი მხატვარი. მუსიკისა და რეჟისორად იქცევიან.

ახლა ასეთი რეკვირებები მხოლოდ დროდღარი იჩენენ ხალხში თუ, მაგრამ სახედნიეროდ, ძალიან მაღლ იძირებიათ, იკარგება ძლიერების სილი რეალური ფაქტებით დამწახვ შემოქმედთა და დღეებში, სიალიტურტი გრაფიკის მიყოფის შემოქმედებითი მხარდაჭერებებით აზრობს ზღვაში. ამ შრივ დღეი მისა აიხარია ფართო საზოგადოებრიობის (კრიტიკულ და მხარე, რასაკლებლობა, შემოქმედებით კოლექტივიზმთან არჩეული კრიტიკოს სექციონებს, რომლებშიც გაერთიანებული არის რესპუბლიკის წარმომადგენლები.

კრიტიკული ტალებების ამოწმ უშთავრებს პრესის რეკვირებში იწყება. ამ შრივ ზოგჯერ კიდევბა ქართული სახელონი უნდა-დასაუბრებო, მაგრამ გასაკლებელი უფრო მეტია ქმედით მოთხოვნათა ასპექტში სასესიო დროული და მართებულთა რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობის საუფლებრი, რომელიც გამოწვეული იყო თუნდაც უფროდ "საბჭოთა ხელოვნება" ფურცლებზე კრიტიკის ისეთ საუბელოლობაში. რაც უფროყოფიდად მოქმედებს თეატრსა და კინოს განვითარებაზე. ხელოვნების ამ დაჯგ ნაქმები უნდააღობა თომობი და უფრნაშაა უკვე დასავს კონკრეტული ამოცანები მინიშნულები ხელსაწარმოვალად. შედარებით ნაქმებ სასაუფლორა სახეთი გელოვების მოვლდებს ვარკულ-განვადობა. რადაც უფრო მეტად და შედარებით კონკრეტულად განიხილებოდა მხატვართა შრომებები და ვერნისავე.

ბუნებრივია, კრიტიკ-ხელოვნებაში(ყოფნობის სექციონაც იგივე საზოგადოებრივი მნიშვნელობის საიხიბო უნდას, რაც თვით მხატვართა კავშირს, — ფურწერების, მოქანდაკების, გრაფიკოსების, კულტურისების, — თეატრალურ-ფორმალური და გამოუწვინებით ხელოვნების ფართის გამეორებებით კორპორაციას. მაგრამ ამასთან და ამის პარტიული კომპრომიზებულთა მოვლდების სექციას მხოლოდ მისთვის დახასიათებულთა სხვა მოვალეობა აიხარია და ესცე უშთავრება.

აში გამოიხატება კრიტიკოს-ხელოვნებაში(ყოფნობა სექციონურთა მხატვართა კავშირში შენავედ ცელთა დანარჩენ წერებშიც ამ შედარებით? იმაში, რომ კრიტიკოსები უფროდელი თვითონ კი არ ქმნიან ფორმალურებას და ქანდაკებებს, არამედ სხვებს დაწინებენ და წარმართავენ ისეთრად ღმა და პროფესიულად ძლიერ ნაწარმოებებს შესაქმნელად, უკვე დათავილებული ნაწარმოებს წაწმობენ, მაგრამ ატორის იდეურ-ფსიქოლოგიურ შესაძლებლობათა ინტენსივობა გამოვლინის პროცესში ხელს უწყობს. კრიტიკის სექციის წევრთა მოვალეობათა მისართობა იქნის. რომ მხატვართა-ატორთა მაქსიმალურად ნაილად იცოდეს, რაც აუღლებს და რაოჯრ სახეს მიიღებს მისი ეს თუ ის ნაწარმოები. კრიტიკა შეიხსენებს — შემოქმედებ ვერად უსაკლის დაიდ დადაქმნება უნაწე არსებულ არარსებთი წერილობის დაიდ ჩაველოს მოთარსა და მარსტალურებს, არ დაჯრის დრო უნაყოფი განწმენისზე და ჩაღმრავდეს ტიპიურის დაგვარებაშით. კრიტიკა მართულებს შემოქმედს პრაქტიკული მოვალეობა შრომის მოვალეობ შექმნიერ ხელისუფლება კი არ აქციოს, რასაც დრო-

ლოდ ვიწრო მატერიალური კეთილდღეობის მინიმუმის მოტანა მოსდევს ხომღვი. არამედ დროის უცვადაწყველად ხელოვნებად აზროს სულიერი ანალიზებულობის მაქსიმუმის მისაღწევად, რასაც ბუნებრივად თან სდევს მატერიალური კეთილდღეობის სიმარტილე ამიომ კრიტიკის სექციის წევრები მხატვართა ნაწარმოებების იდეურ-პროფესიული მნიშვნელობის მათი საზოგადოებრივ სარგებლობის დასაზრისითი უნდა სწინდინენ, რადგან დამაზრ. იდეურ და ისაკარგობა მხოლოდ იმ, რაც ახალდღეებელ-წარმართველთა დაპრომოვლობა.

კრიტიკული ანალიზებზე მთავარი უნდააღება ეტყვიდა იდეურია, მიზანდასახელი, მაღალი პროფესიონალიზმი შესრულებული ნაწარმოების გამოტანას ვამოქმედებზე, რომლის დროს სა ერისხელ გაერთიანებთა როგორც საგამოწიო კომიტეტების, ისე მხატვართა კავშირის შემოქმედებითა სექციების შემუშავება მაღალი მომხიბრებლობის გაუტარებლობისათვის. კრიტიკამ საზოგადოების აღნიშნა, რომ მხატვართა ნაწილი გულს არ უდებს მხატვარებრივი მოტივების თემატიკას, იძირება კუთვნილებული წერილობის ფორმირებას, არ ავლენენ დიდ პუბლიცისტურ ხედვას, ეტლიბობა კარგულ-ბუღვალურ ნაწარმოებებს, ამიტომაც ვამოქმედებზე შრომა-დასწერების სიუბიექტებს და ზომავ მეტად იტვირთება ადამიანის მიერ ხელშეუხებელი ბუნების სიკავებების გამოტანას. ადამიანების ბუნებრივ პროპორციებსა და იგრის გავლერბობის ასახვას გაუტარება და ვამოქმედებ ცელთა თუ ქალის პათოლოგიად დედაქონილი ტარის ფორმირების (ფორმების).

ლოკუტორია, რომ კომუნისტური მშენებლობა და კომუნისტური მოვალეობების განვითარება იდეურად და ფორმალურად განსილი ადამიანების მიზნებით ხორცილებულია შრომა და პროფესიონალიზმისა და გმირობის წარმოშობა და თვით ადამიანის მშვენიერების განვითარება. მხატვრის მიერ გამოვლენული შრომატარობის სურათშიც ასეთივე ძალისა და იგრის ადამიანების უნდა ჩანდნენ და როცა ეს უნდაღებებდას, ხატება, კრიტიკის სექციას ხას უნდა იმხილებდეს, ეს არტაკლებებს ავტობას, ნებისა და მდგომარეობის მითხილებობა მართალობა ეს უნდაღებებდას არ იწევს ბიოლოგი მხატვართა მოწინაობის, მაგრამ სექციას მაინც უნდა აგრტყვების პუბლიცისტურ გმირბაობა კარს.

საწმენობადა, ასეთი იდეური პუბლიცისტური კრიტიკის განლაშა მხატვართა კავშირის სექციის დიდად არ იხმარება მხატვართა კავშირის შემოქმედებით სექციონის დასანათა ისიც, რომ მიუხედავად კრიტიკისა და ხელოვნებაში(ყოფნობის სექციის მრავალხლო მოთხოვნისა, დღემდე არაა გამოკმეული კრიტიკული მოტივარობა, მოწინააღმდეგე თუ აღმომცემი ბიოლოგიური შრომები, რომლებიც არა მარტო დაანახებდნენ მოტივებებს მხატვართა შემოქმედების ნაყოფილობის, პარტიკას და ხატობათა მათს სულიერი (კავშირს, არამედ აჩვენებდნენ იმ ხატებებსაც, რომლის ანალიზებრა უპირავლისი მოვალეობაა თვით მხატვართა კავშირისა და კულტურის სამინისტროსი.

ნაქმად უნდა ჩაივალდოს, რომ მხატვართა კავშირის პრეტენციობა და მხატვართა კავშირის საზოგადოერ დონედ უკვე მიხუთ წყობა აიანარება და თანკურად ამუხრტებს კრიტიკის და ხელოვნებაში(ყოფნობის სექციის წევრების მიერ დასახილვად მოწოდებულთა აღმომცემის დაბრუნების ისეთ მნიშვნელოვან თემას, როგორცაა „ლენინის ირისხე ქართული საბჭოთა სახეთი ჩაოფრებისა“, „ქართული საბჭოთა იგრების ამ წლის მანძილზე“, „ქართული საბჭოთა ქანდაკება ამ წლის მანძილზე“, „ქართული საბჭოთა გრაფიკა ამ წლის მანძილზე“ და ის მანძილზე, რასაკლებობის სადარტიკტორ არარგობის მიერ მოწინააღმდეგე ლენინური ნაწარმოების უნდა დაბეჭდულიყვნენ გრ კიდევ ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის. ან, უკლებრებ შენებარება, საქართველო საბჭოთა ხელისუფლების დაშარების ამ წლისთავისათვის.

ბუნებრივია, რომ თუ კრიტიკისა და ხელოვნებაში(ყოფნობის ნაწარმოებების მისი სინაილუბი ვერ ნახვევს, მათი იდეურ-პროფესიული მოვალეობების ცხრა მდგომარეობა უნდა იდეურად აღმოჩნდეს. ზოგჯერცკავთაა ფილოლოგიამ ვერ შეძლებს თვითრისა და პუბლიცისტების ასახვებს და სანამ ამას არ აღიარებენ მხატვართა კავშირის და საგამომცემლო ორგანოები, ქართული საბჭოთა სახეთი ხელოვნების კრიტიკის ფორმე წელში მაგრამ ვერ გამართობა.

XVII ყროლობა დადაქმნელებების სულსიცავთაა ამგვარი ნაწარმოებების დაწმინფერობადაც მოვალეობდეს და იგი სახელოვნებადელი ქართულიება რჩება რესპუბლიკის საბჭოთა ინტელექტუალური, შემოქმედებითი კოლექტივების იმ ძალთაა და იმ ცნობარებით წასამართადა, რაც დაანქარებს ჩვენს ტარს მხოლოდ სკვას საინტერესო მინიშნებას, კომუნისტური საზოგადოების წარმატებისათვის, მშვიდობისა და დემოკრატის გამარჯვებისათვის.

გებუე და ღრმა მწუხარებით განიცადა თავისი მომდევნო ცხის სიკვდილი.

1903 წელს ზაქარია უკვე საბოლოოდ დაბრუნდა თბილისში. მასსოვს ერთი მომენტით: ჩემმა ძმამ ანტონმა დედაჩემს მოუტანა მისკოვიდან გამოგზავნილი ზაქროს დეკამა: («Кончил Захарий») დედამაც კლდა ეცა (მას ეცნა «Захарий скончался»), ანტონს იქვე გახვამარტავს, რომ ზაქარია კონსერვატორის დამთავრების იტყობინებოა.

ცნობილია, რომ ზაქარია მამინათვე მიიწვიეს თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში სიმღერა-გალობისა, ხოლო მუსიკალურ სასწავლებელში — თეორიული საგნების მასწავლებლად (ეს ის სასწავლებელია, სადაც რამდენიმე წლის წინ თვითონ აიღვა ფეხი, როგორც მიმავალმა მუსიკოსმა). აქ არ შეუვდებია ზაქროს შემოქმედებითი მუშაობის ან ბიოგრაფიული ცნობების განხილვას. რაც ამ 40 წლის განმავლობაში სხვადასხვა ავტორის მიერ საკმაოდ ფართოდ არის გაშუქებული. მაგალითად, შ. კამშაძის დიდ მონოგრაფიაში და, განსაკუთრებით, პროფესორ ვ. დონაძის მშვენიერ სადისერტაციო შრომაში «Зах. Папиашвили», აგრეთვე მის სხვა ნაშრომებში. მინდა შევიხერდე ზაქროს ნოვავაწიობის ნაყოფად გაშუქებულ უბანზე, რომლის მოწმე და ზოგჯერ უშუალოდ მინაწილვე კყოფილვარ, როგორც მისი ძმა და მოწაფე. სათავადაზნაურო გიმნაზიაში ზაქარიამ გიმნაზიის მოწაფეთაგან უმაღვე ჩამოაყალიბა ქალ-ვათა გუნდი, მანვე შექმნა სიმებიანი ორკესტრი (სხვა ჯგუფების საკრავების უქონლობის გამო) ფორტეპიანოს თანხლებით. გუნდი საკმაოდ მწყობრად და შეუბღალავად გალობდა. ორკესტრიც მშვენივრად იყო შეწყობილი. ზაქარიას უაღრესად გაურთიერი სმენა და მუსიკალური ადლი არ დაუშვებდა მცირედ ხარვეზებსაც ეი. გიმნაზიის შენობაში ხშირად იმართებოდა ღია კონცერტები ამ კოლექტივების შემადგენლობით, დარბაზი მუდამ სასვე იყო ხალხით. ამ კონცერტების რეპერტუარი საკმაოდ რთული და მრავალჯგოფობით გახლდათ. სრულდებოდა ქართული, რუსული, ევროპული მუსიკის შედეგი ნაწარმოებები: „ალი-ფამა“, „აღსდევ გმირთ-გმირთ“, ანდ. ყარაშვილის „სამშობლო“ (ოპერა-მაგბული შერეული გუნდისა და ორკესტრისათვის ზ ფალაშვილის მიერ), გუნდი „აბიი მეფე“ — ოპერისა და „აბესალომ და ეთერი“, გუნდი „ლხინი კაცისა“, ანდ. ყარაშვილის შეხზარბული ოპერიდან „ვეფხისტყაოსანი“ ზ. ფალაშვილის მიერ აკავის საუბილილოდ შექმნილი „მრავალკამერი“, გუნდები ანტ. რუბინშტიკის „მაბილონის გოლიოდიან“ (სემის ძეთა, ქაშის ძეთა და იაფეთის ძეთა), საქორწინო გუნდი დარგომისკის „აღიდან“, ჩიკოტყისა, „პიკის ქალიდან“ გუნდი «Под тенью густою», დუბტი «Мой маленький дружок». მეფეზუთა გუნდ-ობების ოპერა „ფენელა“-დან, მონადირთა გუნდი ვეზირის „თავისუფალი მსრულოლიდან“. ქორუნიების გუნდი რ. ვაგნერის „ლოუნგინიდან“ და სხვა; აგრეთვე ზაქარიას მიერ სიმებიანი ორკესტრისათვის გადატანილი მონარტის „alla lurie“, ბოკერინის მენუეტტი, ბრამსის უნტრული ცეკვა, დღიობის — პიჩკაიკო, ვინ. ჟილეტის „Lion du bal“, ინტერმეტო მასკანის „სოფლის პატოიანუბიდან“ და სხვა.

მათში ვმინაწილობით მე და ჩემი ძმა ნიკოლოზიც, როგორც სათავადაზნაურო გიმნაზიის მოწაფენი. მე მომღელელოთა გუნდში, ხოლო ნიკოლოზი — ორკესტრში (მეორე ვიოლინი). ზოგიერთი რუსი და ევროპული კომპოზიტორის გუნდი სრულდებოდა ქართულ ენაზე, რომლის თარგმანი გაუთვინოდა პოეტ სოსო მჭედლიძისათვის.

1905 წლის 25 იანვარს დაარსდა ქართული ფილარმონიული საზოგადოება, რომლის წევრთა შორის იყვნენ გამორჩენილი მოღვაწენი: ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მთერია-

# ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავი

## ზაქარია ფალიაშვილი

ლევან ფალიაშვილი


მოგონებანი

ზაქარია კმბრმს ძმ ფალიაშვილი, როგორც ნამდვილი ხელოვანი, მტედ დიდ მოთხოვნილებას უყვებოდა საკუთარ თავს. მას არ სწამდა ხელოვანი-შემოქმედი (ამ შემთხვევაში კომპოზიტორი), თუ იგი არ იყო აღჭურვილი ღრმა სპეციალური ცოდნითა და დიდი შრომისუნარიანობით. მისი შესანიშნავი ქმნილებანი „აბესალომ და ეთერი“, „დაიხი“, „ლატარია“ არა მარტო კომპოზიტორის უდავო ნიჭის, არამედ აგრეთვე ენერგიული და დამაბული შრომის ნაყოფია.

ხელოვნების საკითხებში დიდი პრინციპულობა და შრომისუნარიანობა ზაქ. ფალიაშვილის დამახასიათებელი თვისებებია, რომლებიც მას ჯერ კიდევ თბილისის მუსიკალური სასწავლებლიდან დაწყვა და შემდეგ მისკოვის კონსერვატორიაში განმტკიცდა, სადაც იგი გამოირჩეოდა მუყაითობითა და სერიოზულობით. მუსიკალურ დარგში მისი მოღვაწეობა დაიწყო მისკოვში გამგზავრებამდე ბევრად უფრო ადრე, როდესაც თბილისში ჩამოაყალიბა მომღერალ ქალ-ვათა შერეული გუნდი. ამ გუნდის წევრებს იგი ასწავლებდა ქართულ სიმღერებს (თავის ან სხვათა მიერ გადამუშავებულს). კარგად მასსოვს (მაშინ 5-6 წლისა ვიქნებოდა) — ჩემს ბინაზე ეს გუნდი კვირამი ერთხელ ან ორჯერ იკრებიოდა რეპეტიციების ჩასატარებლად. შემდეგ იმართებოდა კონცერტები თბილისისა და სხვა ქალაქებში, რაც ვრძელდებოდა ზაქარიას მისკოვში გამგზავრებამდე. მაშინ ჩვენ ვცხოვრობდით ყოფილ იზმაილოვის ქანაზე, ხელოვანი სახლში, სადაც 1904 წლის 7 დეკემბერსამდე დავაყავი. 1901 წლის ამ ბინაზე გარდაივილა ჩემი ძმა გიორგი (28 წლისა). ზაქარია უკვე მისკოვში იყო წასული. 1902 წელს იგი ჩამოვიდა საზაფხულო არდადე-



გ. ქუთათელაძე.  
ზ. ფალაშვილის პორტრეტი.



ნაშვილი, ილია ზურაბიშვილი და სხვანი. მე ხშირად ვესწრებოდი საზოგადოების სხდომებს. ამავე კრებებს ესწრებოდა ივ. ჯავახიშვილი, რომელსაც საგულისხმოდ და სასარგებლოდ წინადადებები შემოჰქონდა, რითაც საგრძნობლად უწყობდა ზელს საზოგადოების წინსვლას.

ამავე დროს ხშირად შევსწრებივარ იმასაც, თუ როგორ ესმოდნენ თავს ზაქაროს, „უკამართლოდ სჯიჯანიდნენ და გულს უწყალბდნენ“ მას (შ. კაშმაძე). 1908 წელს ფილარმონიული საზოგადოების სხდომაზე, ზაქარიას მოხსენების თანახმად, „სოფიის სკოლის“ შენობაში (რომელიც მოთავსებული იყო გრიბოედოვისა და ალ. ჭავჭავაძის ქუჩების კუთხეში) გაიხსნა მუსიკალური სკოლა, რომლის პირველი პედაგოგები იყვნენ: ბარბარე ამირაჯიბი (ფორტეპიანო), ე. ვ. ფოგელი (ფორტეპიანო), ანდრია ყარაშვილი (ვიოლინო), ნ. ვ. კალაშნიკოვა (ფორტეპიანო), რ. მ. პიოგეროვა-ბერგი (ფორტეპიანო). ზ. ფალაშვილი დაი-

ნიშნა ამ სკოლის დირექტორად და თეორიული საგნების პედაგოგად, ხოლო გ. ნატრაძე — დირექტორის თანაშემწედ და სოლფეჯიოს პედაგოგად. შემდეგ მოიწვიეს ა. ი. თულაშვილი (ფორტეპიანო), მ. ზ. გაბაშვილი (ფორტეპიანო) და ე. ნ. კაპელნიცი (ჩელო). ზაქარია პირველი ხუთი წლის მანძილზე უსასყიდლოდ ასრულებდა დირექტორის მოვალეობას. აქვე დეტყო მისი მადლიანი ხელი და გარჯილობა.

ქვეს წელიწადს ეს მუსიკალური სკოლა მოთავსებული იყო იმავე ბინაში, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით. ზემო სართული ჩვენ გვეკავა, ხოლო ქვედა — მუსიკალურ სკოლას. 1909-1912 წლებში სკოლა იმყოფებოდა ყოფილ საპითროს (ახლანდელი ძნელაძის) ქუჩაზე, № 18-ში, ხოლო 1912-1915 წლებში — ყორღანოვის ქუჩაზე (№ 6). შემდეგ სკოლა გადავიდა ყოფილ სლევკოვის ქუჩაზე, № 3-ში, სადაც იგი 1917 წლამდე იმყოფებოდა. ჩვენ კი გადავედით ბაქ-





ფ. მიხანდარი და ახალგაზრდა ზ. ფალიაშვილი

რადიხ ქუჩაზე (№ 10), სადაც ზაქარიას გარდაცვალა შვილი — ირაკლი. აქვე 1933 წლის 6 ოქტომბერს გარდაიცვალა თვითონ კომპოზიტორი (ამჟამად ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმი). ჩვენს ბინაზე ხშირად იმართებოდა მუსიკალური სკოლის დიღები, რომლებიც გამორჩეულდნენ მეტად საინტერესო და დახვეწილი პროგრამით, მათ დიდი გამოსმარება ჰქონდა ფართო საზოგადოებაში.

საკულისხმოა აგრეთვე ზაქარიას აქტიური მონაწილეობა ოპერების მომზადება-დადგმაში ქართულ ენაზე. მანინვე

დაარსდა ქართულ ენაზე ოპერების გამმართველი ახსანავობა, რომლის თავმჯდომარე იყო ა. გ. რჩეულიშვილი, ხოლო მიადგილე — ნ. გ. ქართველიშვილი, წევრები — ზაქ. ფალიაშვილი და კაზიმირ ცხოველიძე. მასთვის ოპერა „ფაუსტის“ დადგმა 1906 წელს ოპერის თეატრში (დირიჟორობდა ზ. ფალიაშვილი). დაჯწრებივარ ოპერა „კარმენის“ მის მიერ ჩატარებულ რეპეტიციებს. გამჩენს ტახს აბაშიძე მღეროდა. შემდეგ საინტერესო იყო ქართულ ენაზე ედმონდ ოდრანის ოპერეტის „Mascot“-ის („ნატეტრის თვალი“) რეპეტიციები და პრემიერა, რომელშიც მთავარ როლებს ასრულებდნენ ვასო და ტახო აბაშიძეები, დირიჟორობდა პოლიკ. ფალიაშვილი.

ზაქ. ფალიაშვილი თავმდაბალი ადამიანი იყო. ამ მხრივ დამახასიათებელია ზაქარიას წერილი (გაზ. „ისირი“, 1908 წ.), სადაც სხვათა შორის ვკითხულობთ: „მე არ ვიცი ჩვენი საზოგადოება როგორ უყურებს ამ დიდებულ სახელს „კომპოზიტორისას“, მაგრამ ჩემის და ყველა შეგნებული მუსიკოსის აზრით „კომპოზიტორის“ სახელის მოხვეჭა შემუძლიან მხოლოდ იმას, ვისაც ძირიან-ბუდინანდ შეუსწავლია სამუსიკო თეორია, თავისუფლად სთხზავს და კიდევაც შეუთხზავს სხვადასხვა ფორმანედ ხელოვნურად შემუშავებული მუსიკა, და არა იმას, ვისაც ჯერ კიდევ ესაჭიროება თეორიული სწავლის მიღებაც კი. არა ერთხელ ამოვიკითხე ქართული გაზეთების მუსიკალურ რეცენზიებში ქართველი მუსიკოსების გვარები, სადაც მოხსენებული ვყოფილვართ „კომპოზიტორებად“ და ჩვენ, აღფრთოვანებული ქება-დიდებით, მართლაც კომპოზიტორებად წარმოვიდგინა ჩვენი თავი. შემუძლიან თამამად ესთქვა და დავარწმუნო კიდევ ბ-ნი გოგებაშვილი და საზოგადოება, რომ ჩემის შეხედულობით, ჯერ-ჯერობით (ბოდიშს ვიხდი იმათ წინაშე, ვისი გვარებიც მინდა დავასახელო), რომ არც ფოცხვერაშვილი, არც ამ სტრიქონების დამწერი, თქვენი უმორჩილესი მონა, არც ბ-ნი ბალანჩივაძე, არაყიშვილი და არც სხვა ქართველი მემუსიკენი, კომპოზიტორები არ გასლავართ, რადგანაც არც ერთს ჩვენგანს ამ ასპარეზზედ თავი არაფრით არ გვისახელებია და არც გაკვივებთბია-რა“. ამას წერს ადამიანი, რომელსაც მოსოვის კონსერვატორიის კურსის ბრწეყინავლედ გავლის შემდეგ ნაყოფიერი მუშაობის ხუთი წლის სტაჟი ჰქონდა, გარდა ამისა დასახელებდ გამზადებული ჰქონდა ორი რომანსი, ფონოგრაფის საშუალებით ჩაწერილი და ნოტიტზე გადაღებული 40 ხალხური სიმღერა, შერეული გუნდისთვის



ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმი.

გადამუშავებული, და აგრეთვე შერეული გუნდისათვის ქარ-  
მონიზებული „ქართული საგალობლები იოანე ოქროპირის  
წირვის წესისა“. ეს ამონაწერი ლიტონი სიტყვები როდია,  
არამედ მისი ნამდვილი რწმენა. ამას ადასტურებს ის ტი-  
დლი, რომელიც რამდენიმე წელს გაგრძელდა ზაქ. ფა-  
ლიაშვილსა და პეტრე მირიანაშვილს შორის ოპერა „აბე-  
სალომ და ეთერის“ თაობაზე. ცნობილია, რომ ამ ოპერის  
ლიბრეტო პ. მირიანაშვილს ეკუთვნის, იგი ჩვენი ოჯახის  
დიდი მეგობარი იყო.

პ. მირიანაშვილმა ზ. ფალიაშვილს მოუტანა გამზადე-  
ბული ლიბრეტო და მოსვენებას არ აძლევდა კომპოზი-  
ტორს, რომ მალე დაეწყო მუშაობა ოპერაზე, მაგრამ ზაქა-  
რიას ამაზე ფიქრიც კი აშინებდა. და ერთსა და იმავეს  
უპასუხებდა ლიბრეტოს ავტორს: „რა დროს ეგება. აიღეთ  
გლინკა, დიდი გლინკა! რა ქენა? ჯერ მთელი მშობლიური  
მუსიკალური ფოლკლორი შეისწავლა და შემუშავა, უამ-  
რავი სხვადასხვა მცირე ფორმის ნაწარმოებები შექმნა,  
შემდეგ კი ოპერას შეკმედა. ხუმრობა ხომ არ არის ოპერა.  
სადა მაქვს ასეთი ძალი. ეპ, ჩემო პეტრე, „ოპერამდე დიდი  
გზაა“ (იხილეთ შ. კაშმაძის წიგნი). ამ დროს კი ზაქარიას  
თითქმის მთელი საქართველო ჰქონდა მოვლელი და უამ-  
რავი სახსური სიმღერა — შვერივილი-მესწავლილი.

ოპერა „აბესალომ და ეთერის“ წერას ზაქრო მუდგა  
1909-10 წელს. კარგად მასსოვს როგორი გავაცემებით მუ-  
შაობდა ზაქრო 1910 წელს წადვერში, 1911 წელს —  
საგარეჯოში, 1912 წელს — ურაველში (ბორჯომის ხეობა)  
და 1910 წელს — სოფელ ნიკულოში (რიაზანის გუბერნია),  
თავისი ცოლის ნათესაებთან სტუმრად ყოფნის დროს. მას  
მხოლოდ ზაფხულობით უხდებოდა მუშაობა, რადგან სხვა  
დროს ლატვიური იყო უამრავი გაკვეთილით, საზოგადო-  
დო საქმიანობით და საშუალება არ ჰქონდა სავსებით მის-  
ცემოდა შემოქმედებით მუშაობას.

1913 წლის 27 აპრილსა და 28 მაისს ყოფილი ქარ-  
ული კლუბის შენობაში დაიდაცა ნაწყვეტები „აბესალომ  
და ეთერიდან“ გუნდით, ორკესტრით (ჯერ I, ხოლო შემ-  
დეგ III მოქმედებაც) და სრული სცენური გაფორმებით.  
ეთერი იყო ქ-ნი კოლოტოვა, ხოლო აბესალომი — მისი  
ქმარი კოლოტოვი (სახელები არ მახსოვს), დირიჟორი-  
და ზაქ. ფალიაშვილი. მე გმონაწილეობდი გუნდში. 1914  
წლის 15 იანვარს სახანოში თეატრში ვანო ფალიაშვილის  
25 წლის იუბილის საკონცერტო განწყობილებაში სხვა  
ნომრებთან ერთად პროგრამაში იყო აბესალომის სცენა და  
არაა III მოქმედებიდან ვანო სარაჯიშვილის შესრულე-  
ბით. ამრიგად, მისაზრება, თითქოს ეს არაა ზ. ფალიაშ-  
ვილმა თავისი ვაჟის — ირაკლის გარდაცვალების შემდეგ  
შექმნა, მცდარია, თუმცა, სამუშაოდ, მრავალი მკვლე-  
ვარი იზიარებს.

„აბესალომ და ეთერის“ წერის პროცესში ზაქარია ამ-  
ბობდა — მე მხოლოდ უბრალო შემკრები ვართ. აი, რასა  
სწერს ამის შესახებ შ. კაშმაძე თავის დიდ მონოგრაფიაში  
„ზაქარია ფალიაშვილი“: „აი, პასუხისმგებლობის ეს უდი-  
დესი გრძნობა, თავმდაბლობა, სულგრძობა, შრომის  
მოყვარეობა, ყოყმონის უკუგდება და მიღწევებით დაუკ-  
მაყოფილებლობა; მოკლედ, ყოველი ასეთი ქმნილობა შე-  
მოქმედის დამახასიათებელი თვისებანი სახელმძღვანელოდ  
უნდა გაიხადოს თითოეულმა ახალგაზრდა ადამიანმა, რო-  
მელიც ხელოვნების სფეროში აპირებს მუშაობას“.

„აბესალომ და ეთერზე“ მუშაობა შესწყდა 1915 წელს.  
ეს წელიწადი ზაქარიასათვის საბრძოლველო გამოდგა: მას  
მოუხვდა ერთადერთი შვილი — 11 წლის არალო. ეს იყო  
თავსარდადებით უმეტრება, რომელიც თითქმის გამაშ-  
დებული ოპერის დამთავრება 3 წლით შეაფერხა. მხო-  
ლოდ 1989 წელს საგარეჯოში, თავის ძმის — ანტონის  
ბინაზე, ზაქრომ დაწერა უკანასკნელი ნომერი — მალეტა.



ზ. ფალიაშვილის სკულპტურული პორტრეტი თბილისის სახელ-  
მწიფო კონსერვატორიის დიდი დარბაზის ფოიეში

„აბესალომ და ეთერის“ ბრწყინვალე გამარჯვება, დიდი  
კომპოზიტორის სახელის მოხვევა თავბრუს არ ახვევს ზაქ.  
ფალიაშვილს, პირიქით, იგი ამბობდა: „მე პრეტენზიები  
არა მაქვს, რათა ჩემზე სიქვან ოპერა დაწერათ. მე მასა-  
ლას ვაგრძობ და ვაყალიბებ, მას გამოვიტან საზოგადოე-  
ბაში, ალბათ გამოჩნდება ვინმე ნიჭიერი და ოპერას ის  
დასაწერს“.


ამასთან ზაქარია გულმოდგინედ ისმენს, ითვალისწინებს  
ლა სავსებით იზიარებს იმ რჩევებსა და დარიგებებს, რო-  
მელსაც მას აძლევდა მისი კეთილისმშურელინი, ნამდვილი  
მეგობრები.

ასე, მაგალითად, „აბესალომ და ეთერმა“ პირველი დად-  
გმის შემდეგ მეორე ცვლილება განიცადა: ამოღებულ იქნა  
მთელი III მოქმედება (პირველად ოპერა 5-მოქმედების  
იყო), როგორც მთელი ოპერის დრამატურებისათვის ყოფ-  
ლად შეუფერებელი ფრაგმენტი, გადაადგილებულ იქნა  
ზოგიერთი ნომერი, „მუშერ ვარსკვლავი“ კი, რომელიც  
მართს არაა „დადისში“, უწინ მარბისის არაა იყო და სხვ.  
ეს ცვლილებანი ხდებოდა ზაქ. ფალიაშვილის უფროსი  
ძმის — გამოჩენილ დირიჟორის ივანე ფალიაშვილის, მი-  
ნი მეგობრების აკად. ივ. ჯავახიშვილის, მწერალ ილ. ზუ-

რაბიშვილისა და რევისორ ალ. წუწუნავას რჩევით. ზაქარია მადლიერების გრძნობით იყო გამსჭვალული მადალში. საზოგადო. ზაქარია დიდად აფასებდა უფროსი ძმის ივანეს ნიჭსა და შრომისუნარიანობას. 1911 წლის 27 თებერვალს მელიტონ ბალანჩივაძისადმი მიწერილ წერილში ზაქარია წერდა: „რაც შეეგება ვანოს, ის არის ახლა ვეონებ რიგაში ამ სადიდმარხვოდ და ზამთარში კი არ ვიცი სად იქნება, ვგონებ აქაურ სახაზინო თეატრში იქნეს ის ესხლა მშვენიერი ოპერის დირიჟორია, საუკეთესო ხელი აქვს და დიდი გამოცდილებაც“.

ზაქარია არც თავის უმცროს ძმას — პოლიკარპეს აკლეს ყურადღებას. აი, რასა წერდა იგი 1908 წელს (გაზ. „ისარი“, № 10) ე. კოვბეაშვილისადმი მიწერილ წერილში: „უნდა მოგახსენით, რომ იმ საღამოზედ (ნაგულის-ხმეგია 1908 წ., 27/X, ილიას ხსენებისადმი მიძღვნილი საღამო, ლ. ფ.) თქვენ ალბათ არა ბრძანებულხართ ან კარგად ვერ დაგინახავთ, რომ ზემოთ ხსენებულ კონცერტში მეტად მცირე იყო ხოროს რიცხოვანება, ვიდრე წინა კონცერტებში; რეპერტუარის სუსტი იყო და ლოტბარობდა ჩემი უმცროსი ძმა პოლიკარპე ფალიაშვილი და არა მე. მე ანით ის კი არ მინდა ვთქვა, რომ ჩემს ძმას არ შესწევს ძალა ხორო მოამზადოს და კონცერტებში ილოტბაროს.

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი



ჩემს ძმას ძალაც შესწევს და მომზადებაც საკმაო აქვს ამ საქონისთვის, მაგრამ საქმე ის არის, რომ კონცერტი სულ სხვა პირობებში მოხდა“.

ზ. ფალიაშვილი დიდად აფასებდა აღამიანურ ურთიერთ-დამოკიდებულებას. იგი ძალიან მეგობრობდა განწყობილობაში იყო აკად. ივ. ჯავახიშვილთან და მურვარ ილ. ზუგრაბიშვილთან. ივ. ჯავახიშვილი ხშირად დადიოდა ჩვენსას და ზარდო მისი ხშირი სტუმარი იყო. ერთხელ (1920 წელს) მეც წამიყვანა ზარდომ ივ. ჯავახიშვილთან. ეს იყო ოპერა „დაისის“ შექმნის პროცესში და კიდევაც წილი მასთან „დაისის“ კლავირი და რამდენიმე ადგილი გააკეთა. ივ. ჯავახიშვილის ძალიან მოეწონა კაიხოს არია „სულთ ბოროტო“ და რამდენჯერმე გაამეორებინა იგი.

„დაისი“ იწყებოდა 1920-23 წლებში, აგრეთვე საფხულთობით, ქობულეთში, აბასთუმანში და სხვა. მე ზაქარიასთან ერთად გავატარე აბასთუმანში 1920 წლის საფხული (1918 წლიდან მე უკვე ცალკე ვცხოვრობდი ჩემი ოჯახით). როგორც კი ჩავვლით აბასთუმანში, ზაქარიამ იმწამსვე შვათვალაღერა რამდენიმე მიმტოვებული რთიალი; გადაიტანა-განდობილანა სიმები, ჩაქურები და, შეძლების-დავგავარა, შექმნა ცოტად თუ ბევრად შესაფერისი ინსტრუმენტი.

სადმოობით ზაქარია ხშირად იწყევდა ხელზე ნანთბ-მეგობრებს და ატაკობდა მათ სმენას შესანიშნავი ახალ-ახალი მელოდები თეატრ „დაისიდან“. ამდინად, არ არიან მართალნი ის პირნი, რომლებიც წერენ, რომ „დაისის“ წერა ზაქარიას ვითომც 1921 წელს დაეწყო.

შემდეგ წლებში ისევ აბასთუმანში შექმნა ზაქარიამ თავისი მესამე ოპერა — „ლატავრა“.

ზაქარია ფალიაშვილი დიდი მუსიკოსი და ღრმად დღეიქრებული პედაგოგიც აღმოჩნდა. მასხო.ს, როგორ აუღლითა და გულთი გვიდებოდა იგი ახალგაზრდების აღზრდას. ყოველივე ეს თვითონ გამოიყვინდა საკუთარ თავზე, როგორც მის უმცროს ძმასა და მოწაფეს. მეც ხომ მიაჩნოვარე ვიყავი ჯერ გიმნაზიაში, შემდეგ კი — მუსიკალურ სასწავლებელში, ზაქაროს ხელმძღვანელობით ვსწავლობდი მუსიკის ელემენტარულ თეორიას, პარმონიასა და სოლოფეჯიოს.

მრავალფეროვანი მოღვაწეობა ბევრ დროსა და ენერგიას მოითხოვდა ზაქარიასაგან. ისიც იძულებული იყო მედს დამორჩილებოდა. დიდი ოჯახის გაძლოლი, რომელიც მას აწვა კისერზე, საკმაო მატერიალურ წყაროს მოითხოვდა. ამასთან პიდაგოგიურ მუშაობაში ზაქარიას მართო მატერიალური მხარე არ ამოძრავებდა. სწორედ დაძაბული მუშაობა იყო ის შემაფერხებელი მიზეზი, რომელმაც ასე გააქიანურა ოპერა „დაისისა“ და, განსაკუთრებით, ოპერა „აბესალომ და თეფისი“ შექმნის პროცესი. ზაქარიას ღრმადამიანიობასა და გულკეთილობას ისიც ადასტურებს, რომ კონსერვატორიის რექტორად ყოფინასა ხშირად გქომავებოდა ამა თუ იმ სტუდენტს, რათა ზოგისთვის სტიპენდია მიეცათ, ზოგისთვის — საგზური, ან ერთდროული დანხარება და სხვა. ამისთვის იგი არ ზოგავდა ძალასა და საშუალებას, რათა დადებოდა გადაწყვეტილიყო მათი საქმე.

კონსერვატორიის რექტობობიდან იგი საბოლოოდ განთავსეულდა 1932 წელს ავადმყოფობის გამო. აქ მათოდებდა ერთი კურიოზული ამბავი: იმხანად გამოქსებული ვიყავი ჩუთაისის მუსიკალურ სასწავლებელში. ერთ-ერთ ჩემს წერილზე ზაქარიასაგან მივიღე პასუხი, სადაც სგვათა შორის მწერდა: „ლეო, მე ისე არ გავდარბებულვარ, რომ წერილზე მარკა ვერ დავაკარაო“. თურმე რა ყოფილა: ჩვეულებად მქონდა სუფთა მარკების შენახვა კონვერტში და შევდობით ზაქარიასთან გაგზავნილი წერილი ჩამიდგია იმ კონვერტში, სადაც სუფთა მარკები შევალავა. რასაც









სენა სპექტაკლიდან „აბესალომ და ეთერი“ (მოსკოვი, 1936-1937 წ. სტუდენტი), დამდგმელი შ. აფსახაძე, მხატვარი ი. გამყველი, დირიჟორი ე. მქალაქი.

პარმონიულ შერწყმა-შედულებაში. მართალია, მონუმენტურობის ფალსაზრისით „დაისი“ ჩამოუვარდება „აბესალომ და ეთერს“, მაგრამ აქაც შეიმჩნევა, თუ რაოდენ სიცხველესა და სიხსტეს მიაღწია ავტორმა ავთენტურობის არაჩვეულებრივი კომბინირებით, ხმასა წყაყანაობის, აკორდების ცვალებადობის, არაჩვეულებრივად მკვეთრი მოდულაციებისა და პარმონიის ქვევების მხრივ.

ზაქ. ფალიაშვილის მუსიკის ეროვნულმა საცხებით გასაგებია. მას მშვენივრად ესმოდა ფოლკლორის კოლოსალური მნიშვნელობა, რომლის წვევითაც უნდა იკვებებოდეს ყოველი კომპოზიტორი. აი, რას წერდა ზაქარია შერეული გუნდისთვის დამუშავებული რვა ქართული ხალხური სიმღერის წინასიტყვაობაში: „სახალხო პანგებზე ყურთა სმების აღზრდა მუსიკოსისათვის მეტად ძვირფასი განძია, მისი პარმონიული და „რითმიული“ თავისებურებაც ხომ ახალ მასალას გვაძლევს და კომპოზიტორსაც ფართო სამოღვაწეო გზას უკვლევს. მამასადამე, ის განძი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ხალხს შეუქმნია და უანდერძობა ჩვენთვის, თვალის ჩინისავით უნდა დავიცვათ და შეერთდეთ მხეხობით, მეცნიერულად შევიმუშაოთ და შემდგომი როგორც პანკის, ისე პარმონიის მხრითაც შევაშუშავოთ ხმებისა ან სხვადასხვა სამუსიკო საკრავებისათვის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამგვარი აუჩქარებელი და თანდათანობით განვითარება სახალხო სიმღერებისა შექმნის ჯერ პატარა საქმეს, ნაციონალურ მუსიკის წერისათვის სტილის შესაძლებელად ნიადაგს მოაწვადებს, მწერლობაც შეუმწველად განაჩნია და საქმესაც უშველია წინსვლა დაეყვება“.

და აი, სიმღერების ჩაწერის მიზნით ზაქ. ფალიაშვილმა მთელი საქართველო მოიარა ფოთოვრავით ხელში. როგორც თვითონ წერს ხალხური სიმღერების კრებულის წინასიტყვაობაში: „ამ 7-8 წლის განმავლობაში სხვადასხვა ქართული დასახლებების დავაღვინე საქართველოს თითქმის არც ერთი კუთხე აღარ დამჩრჩნია, რომ არ მომეგოდეს და ავთენტობრივ არ ჩამეწეროს ყველა ქართული თემის ხალხური სიმღერები (რომლის რიცხვი უდრის 250)“.

ჩანს, თუ როგორი წინასწარი მუშაობის ჩატარებით,


ზრახვებითა და მომზადებით შეუდგა ზაქ. ფალიაშვილი ოპერების წერას. ეს არის უმოავერსი და ერთადერთი მიზეზი მისი ოპერების ღრმა ეროვნულობისა და ხალხურობისა. ასეთ ორიგინალურ ხალხურობას ორივე აღნიშნულ ოპერაში უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მხოლოდ ეროვნულ კოლორიტს. „ნაციონალიზმა მუსიკაში, — წერდა გამოჩენილი კრიტიკოსი ვ. სტასოვი, — მელოდიაში კი არ მდგომარეობს, არამედ სართო ხასიათში, ზოგადი და ფართო პირობების ერთობლიობაში“.

მართლაც, ზოგადი და ფართო პირობების ამგვარი ერთობლიობით გვევლინება „აბესალომ და ეთერისა“ და „დაისის“ ეროვნული არის. არა მარტო კოლორიტში, არამედ ამ ოპერების თვით დედარსში იშლება ზაქ. ფალიაშვილის ღრმა კავშირი ქართველი ხალხის ცხოვრებასა და ხელოვნებასთან.

„დაისი“; ისევე, როგორც „აბესალომ და ეთერი“, ღრმადაა გაუღებელი ემოციურობით. საცხა მშვენიერი, ადგილად ახათვისებელი, ფართოდ გაშლილი მომზილავი მელოდიათი და ყოველივე ეს „აბესალომთან“ შედარებით უქმნის მას მეტ პოპულარობას. ამ ოპერაში კომპოზიტორმა გამოიყენა ხალხური სიმღერები მის მიერ დამუშავებული რვა სიმღერის კრებულისა. ზაქარია წერს ამ კრებულის წინასიტყვაობაში: „რაც შეეხება მათ (ე. ი. ხალხური სიმღერების, ლ. ფ.) პარმონიზაციის მხარეს. ყოველივე ღრმე ვიღოვ, რომ მხოლოდ ის პარმონია გამოიყენებინა, რომელიც იმ სიმღერებს ეთვისება“.

ამგვარი პარმონიული წამოწყებით მას სრულ გამარჯვებას მიაღწია. რაც შეეხება ავტორის მიერ ჩასხვეტლ სიმღერებს, მათთვის დამამასათებელი ქართული პარმონია რამდენადმე დაეცლია და ამ სახითაა შეტანილი „დაისში“. ეს სიმღერებია: „კოი დი ვო“ („სიყვარულმა დამწვავა“) — სვანური, „ალი-ფაშა“ — გურული, „ცანგვალა და გოგონა“ — ქართული საცეკვაო და სხვა. წმინდა ხალხური სიმღერების გარდა „დაისში“ ახვდებით ავტორვე მელოდიების მთელ რიგს, რომლებიც საკუთრად ავტორისაა, მაგრამ გაფორმებულია ქართული ხალხური პარმონიით, თუქცა ოპერის მთელი სტილი ისეთი ერთობლიობით არ არის დაეცული, როგორც „აბესალომ და ეთერში“.

„დაისის“ I მოქმედების დეკორაცია  
(მხატვარი ვ. სიღამონ-ერისთავი), მალ-  
ხაზი — ვანო სარაჯიშვილი.



შედეგთა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს ოპერა „დაისის“ შესავალი, რომელიც გამოირჩევა მოხდენილობითა და მელოდიურ-პარმონიული საწყისის სილამაზით. მოვუსმინოთ პროფ. ვ. დონაძეს: „თავის ღრმა გამომეტყველებით და ფორმის ორიგინალური მთლიანობით „დაისის“ შესავალი შეიძლება ჩაითვალოს ქართული მუსიკალური ხელოვნების ერთ-ერთ შესანიშნავ მიღწევად“ (იხ. მისი სადისერტაციო შრომა „საქ. ფალსაშვილი“). შემდეგ აღსანიშნავია მეორე მოქმედების ფინალის ანსამბლი და გუნდი, რომელიც დინამიური ზრდით უკანასკნელ მძლავრ აკორდებში ამტკიცებს თავის ძლიერებასა და გენიალობას. ეს გუნდი თავისი პარმონიული სიმდიდრითა და ზემოქმედების ძალით შეიძლება გვერდში ამოვუყენოთ „აბესალომ და ეთერის“ III აქტის ფინალის გენიალურ გუნდს. საგუნდო დაწერილობისა და საორღანო ელვრადობის ისტატის მარჯვება აქაც იჩინა თავი სრული სიდიადითა და დამაჯერებლობით. პროფ. ხუჭუა „დაისის“ შესახებ წერს:

«Но сила дарования композитора (в. о. С. Фалсашвили, л. ф.) так велика, что на обычном сюжете, используя традиционные формы, он сумел создать музыку неуязвимой прелести и поэтического очарования».

ჩემთვის დაუვიწყარია ოპერა „დაისის“ მთლიანი რეპეტიცია პრემიერის წინ (ჯერ მხოლოდ ფორტეპიანოს თანხლებით) საოპერო თეატრის ერთ-ერთ ფიციში, სადაც ვანო სარაჯიშვილმა ისეთი შემსარავი კრილით და დიდი არტისტიკით შესასრულა ფინალური არია „ემორდები ტურფავა“, რომ მთელი იქ დასმწრე საზოგადოება აატირა და თვითონ ხომ მთელი თავისი არსებით ნამდვილ მალხაზად გადაიქცა. პირველი მოქმედების დამაბოლოებელი არია — „თავო ჩემო“, რომლის გამოყენება საქარასას სრულებით არ ჰქონდა განზრახული და არც ივ. ჯავახიშვილს უნდოდა, ვანო სარაჯიშვილმა დაინებულ ითხოვნით შეატანა საქაროს ოპერაში, და შემდეგში მოწამენი გავხდით ამ არიის არაჩვეულებრივი წარმატებისა, ხოლო თით ვანო სარაჯიშვილის, ივანე ჯავახიშვილისა და საქაროს აღფრთოვანებას საზღვარი არა ჰქონდა.

ინტერესს მოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ საქ. ფალსაშვილის ერთი ხელნაწერი, რომელიც დაკვლია საქართველოს თეატრალურ მუზეუმში. „დაისის“ და „აბესალომის“ მუსიკის ერთბაშითან შედარება და პარალელის გაყვანა ზოგიერთ მუსიკოსთა და მუსიკის მოყვარულთა მიერ ჩემის შეხედულებით შემცდარი აზრია, რადგანაც „აბესალომი“ არის პირველი ცდა ქართული მუსიკის პარმონიზაციისა და ის როგორც პარმონიზაციის, ისე მუსიკალური ფორმის მხრივ, მჭიდროდ და ვიწრო ფარგლებშია ჩამოყალიბებული.

რაც შეეხება „დაისის“, აქ იგივე ქართული მელოდიები და უკანასკნელთა კოლორიტზე საკუთრივ შეთხზული მუსიკა ჩამოყალიბებულია ევროპულ მუსიკის უფრო ფართო ფორმებში, რაც ჩემი ღრმა რწმენით აუცილებელი ამოცანად უნდა ჰქონდეს დაყენებული ყოველ ქართველ მუსიკოს-კომპოზიტორს. ამის გამოა, რომ, როცა მე „დაისის“ ვეწედი, სრულიად შეგნებულად გადავუხვიე იმ სტილით წერას, რომლითაც მე ვხელომდვანელობდი „აბესალომის“ შეთხვის დროს.

ამითი მე კი არ მინდა ესთქვა, რომ „დაისის“ „აბესალომს“ სჯობდეს და სხვა... არა, მე „აბესალომს“, როგორც ნამდვილი ქართული მუსიკის გამომეტყველს, დიდ მნიშვნელობას ვაძლევ და შესაძლებელია მაგისდაგვარი დიდ ნაწარმოების შეთხვა მე თვითონვე გამიმხელდეს და მეორედ ვერ დავსწერ (ეს მას ჩვენთვისაც უთქვამს, ლ. ფ.). მე ის მიყვარს და ვეტრფილემი არა მარტო ისე, როგორც ჩემ პირმშოს. არა — ვიმეორებ, ისე, როგორც საუკეთესო ნიმუშს ქართული ხალხური სიმღერებისას ევროპიულ თეორიის კანონებზედ დამყარებულს. მაგრამ თუ ეს შეცდომათ არ ჩამითვალს, მე „დაისის“ წერის დროს დაგრწმუნდი, რომ იმ სტილით წერა ქართული მუსიკისა და მომეტებულად ოპერისა, როგორც „აბესალომი“ (საკუთრივ ფორმების მხრივ), შეუძლებელია, რადგანაც შესაძლოა ამ ფორმებში ნაწარმოებებმა ეთნოგრაფიულ-მცნიერული ხასიათი მიიღოს, რაც ყოვლად შეუწყნარებელია იმ მუსიკალურ ფორმისათვის, როგორც არის ოპერა“.

# „დაისის“ ტრიუმი

ნადეჟდა ბუზოლი


1923 წელი, 19 დეკემბერი —  
ოპერა „დაისის“ პრემიერის დღე —  
შთამბგონებელი თარიღია. ის დღე  
წარუშლელად აღიბეჭდა ჩემს მესიე-  
რებაში.

ზაქარია პეტრეს ძე როგორც ყო-  
ველთვის, ზუსტად დღის 1 საათზე  
მოვიდა ჩვენთან. მღელვარესა და  
აფორიაქებულს არავისთვის მიუქცე-  
ვია ყურადღება, პირდაპირ ჩემსკენ  
გამოემართა და შორიდანვე შემომ-  
აახა: ხომ გახსოვთ, დღეს 19 დეკე-  
მბერია! — მის გაბზარულ, ნერვიულ  
ხმას, იმდენად ძლიერი შინაგანი და-  
ძაბულობა აჩნდა, რომ ემოციურად  
გადამღები მღელვარების ცეცხლი მეც  
ნემომენტო. მომეჩვენა, რომ ის სრუ-  
ლებით არა გავდა თავის თავს. ძალ-  
ზე გამხდარი და ფერმკრთალი იყო.  
მთელი ღამე არ მიძინებია, — გა-  
ნაგრძო მან, — ვნერვიულობდი, დღეს

სალამოს ხომ ფართო საზოგადოება  
ნახავს და მოისმენს ჩემს „დაისს“?!  
მართალია, ბევრი მეგობარი მყავს,  
მაგრამ არაკეთილის მოსურნენიც მო-  
იძებნებიან. ისინი ქართული მუსი-  
კის ვეროპოზაციისათვის ბრალს და-  
მდებენ, რაც არ არის სწორი. „აბე-  
სალომ და ეთერის“, ჩემი ღრმა რწმე-  
ნით, წმინდა ეროვნული ოპერაა. რო-  
ცა ოპერა „დაისზე“ ვმუშაობდი, შეგ-  
ნებულად გადავუხვიე წერის იმ  
სტილს, რომლითაც ოპერა „აბესა-  
ლომ და ეთერის“ შექმნის დროს ვე-  
ლმძღვანელობდი. „დაისში“ გამოვი-  
ყენე რა ქართული ხალხური მუსიკის  
ნიმუშები, დავიცავე ეროვნული კო-  
ლორიტი, თუმცა წარმოვადგიე ვე-  
როპოზირებული ჰარმონიით. პირა-  
დად მე კმაყოფილი ვარ, მაგრამ არ  
ვიცი მოეწონება თუ არა ასეთი ოპე-  
რა ჩვენს საზოგადოებას. — ამ სიტ-

ყევით დაამთავრა საუბარი, ერთ-  
ხანს ჩუმად იდგა, შემდეგ სწრაფად  
ღივიდა როიალთან, ახადა, მისი თი-  
ები მსუბუქად შეეხო კლავიშებს,  
მობრუნდა, მაგიდიდან აიღო ფინჯა-  
ნი საკმაოდ გაცივებული ყავით, ერთ-  
ბაშად დალია, მოულოდნელად გა-  
მომემშვიდობა და კარებთან რომ მი-  
ვიდა, ისევ მოტრიალდა, მღელვარე-  
ბას ვერ ფარავდა. ცდილობდი გა-  
ნემხნევევებინა, მაგრამ ამაოდ. კიბე-  
ზიდან აჩქარებით შემომჩახა: სპექ-  
ტაკლის წინ აუცილებლად შემოვიე-  
ლით.

დრო აუტანლად ნელა მიდიოდა,  
ყოველი წუთი საუკუნედ მეჩვენებო-  
და. როგორც იქნა, დადგა სანატრე-  
ლი ჟამი. უჩვეულო გრძნობამ დაისა-  
დგურა ჩემში, თავს უამრავი ფიქრი  
დამტრიალებდა და აი, ზაქარია პეტ-  
რეს ძეც გამოჩნდა, მშვენივრად იყო



„აბესალომ და ეთერის“ პარტიტურის  
სატიტულო გვერდი. ზ. ფალაშვილის  
ავტოგრაფით.

ჩაცემული. თვალბში იდუმალი მღე-  
ლვარების ნაპერწკალი უკრთოდა, ისე  
გი თავშეკავებული ჩანდა, განცდებს  
ნალავდა.

— ჩქარა, ჩქარა! — გვიყიყინებ-  
და იგი, სტაცა ხელი ჩემს ვაგიშვი-  
ლებს და კიბებზე ჩაირბინეს. ოპე-  
რის შესასვლელამდე ხელიხელ ჩაი-  
დებებულნი მოვდიოდით. გზაში ხან  
რას წამოიკარავდა ფეხს, ხან რას, თან  
ბრახოზბდა: ეს რა დაუკრთა ქუჩა-  
შიო. გზა კი მოკრიალებული იყო.  
ირგვლივ ყველაფერი ეუცხოებოდა  
ოითქოს. ოპერის თეატრის ირგვლივ  
ზღვა ხალხს მოყვარა თავი, გრძნო-  
ბდი — ზაქარიას ხელები უკანალებ-  
ბდა. თვალნი მოკრა თუ არა უამრავ  
ხალხს, მთელი ძალით მომიჭირა ხე-  
ლი და მხნედ, ახალგაზრდული შემა-  
რთებით წამოიძახა: ხედავთ, რა ამ-  
ბავია ჩვენი „დაისის“ პრემიერაზე!  
აღმაფრებთი ვუახლოვდებოდით თე-  
ატრს, გზა თანდათან მოკლდებოდა,  
მღელვარება ძლიერდებოდა. ახლა  
უკვე ორივეს ერთნაირად გვიცხცახებ-  
ბდა ხელები. ხალხმა შეინძნა თუ არა  
კომპოზიტორი, წამსვე გზა დაუთმო,  
მათი სახეებიდან სიყვარული და  
ღრმა პატივისცემა გამოერთოდა. ტა-  
შის გრილაში მივაკიცილეს შესასვ-  
ლელ კარებამდე. ზაქარია პეტრეს ძემ  
სწორად შეგვიყვანა ლოკოში, წინა  
რიგებში ჩვენ მოგვათავსა, თვითონ კი  
ლოკის კუთხეში დაჯდა ისე, რომ  
ხალხს არ დაენახა. დროდადრო მი-  
უსებენრად გადახედავდა აუდიტორი-  
ას, თითქოს ალღოთი სურდა გავყო  
მისი განწყობილება. ყოველი მხრი-  
დან ესალმებოდნენ, ზაქარია პეტ-  
რეს ძე კი ვერავის და ვერაფერს ხე-  
დავდა. მე ვკარახობიდი — გესალმე-  
ბიან და უსასუბე-მეთქი, ის დაბნეუ-  
ლი და განცვიფრებული მეკითხებო-  
და: — ვინ? სად? არ შემინიშნავს, და  
სხვა.

თეატრში განსაკუთრებულად აღე-  
ზნებული განწყობილება მეფობდა.  
საუბარი, თავშეკავებული სიცილი,  
ინსტრუმენტების აწყობის წრიპინი,  
მისვლა-მისვლა. დარბაზი ხალხით  
ყო გაჭიდილი, უკანასკნელი ლოკის  
კარები დაიხურა და წამსვე სრული

სიჩუმე ჩამოვარდა, დარბაზი გაიჩი-  
ნდა.

სადირიგორო პულტთან ვანო ფა-  
ლიაშვილი დადგა, მოიმარჯვა სადი-  
რიგორო ჯოხი და დაიძრა გულიდან  
ანოხეთქილი მულოდების ნიღვარი.  
ცხადე — ზაქარია მთელი სხეუ-  
ლით ცახცახებს. დამთავრდა ოპერის  
წესხალი და აგუგუნდა საზოგადოე-  
ბა, ქარიშხალით იფეთქა ტაშმა  
მსურველ შეძახილებით. დაიწყო  
პირველი მოქმედება. ზაქარია პეტ-  
რეს ძე თითქოს ოდნავ დაშმვიდა,  
მარამ იურედა კვლავ აეთხო, ზეზე  
წამოიჭრა და მულევაოდ წარმო-  
სთქვა: „ვანი ტემპებს ანელებს, ხომ  
გაფაფრთხილე, რატომ არ დამოიჯერა?  
არ შეიძლება შენელება... ასე პირველ-  
ად მთელი პირველი აქტის მანძილზე.  
მალხაზის არიის „თავო ჩემოს“ უკა-  
ნასკნელი აკორდები მქუხარე ოვაცი-  
ებში შოაინთქა, თავზარდამცემმა აპ-  
ლოდისმენტებმა და სამარისებურმა  
სიჩუმემ საოცარი კონტრასტი შექმ-  
ნეს. სამჯერ გაამორებინეს არია, რო-  
მელსაც „საქართველოს ბუღებულად“  
წოდებული ვანო სარაჯიშვილი ასრუ-  
ლებდა. დამთავრდა პირველი მოქმე-  
დება, დაუბო ფარდა, მაყურებელი  
დაცხრა, ზაქარია ჩუმად გავიდა ლო-  
კიდან და სადღაც გაქრა. განსაკუთ-  
რებით მეორე აქტის ფინალი ადელ-  
ვებდა, რადგან ბევრჯერ მოუხდა მი-  
სი შესწორება, გადაკეთება, მგონი  
დაუხვევია კიდევ კლავირის ეს ფურ-  
ცლები, პრემიერაზე კი სწორედ ამ  
ნაწილმა მოიპოვა არაჩვეულებრივი  
წარმატება.

მიწყდა მეორე მოქმედების პანე-  
ბი, ზაქარია უკვე აღარ ღელავდა,  
ის მიედიდურად იჯდა და მადლიერე-  
ბით აღსასვე თვალებით მისჩერებო-  
და დიდ რეჟისორს — კოტე მარჯა-  
ნიშვილს, რომელიც იმ დღეს არანაკ-  
ვლებ ღღევდა.

აუდიტორია ალტაცებული იყო, იგი  
შეძახილებით, ოვაციებით იწვევდა  
კომპოზიტორს, რომელიც დიდხანს  
არ გამოდიოდა. როგორც იქნა, სცე-  
ნაზე გამოჩნდნენ. დარბაზი აშანზარ-  
და, არ ცხრებოდა ოვაციები. როცა  
ინებმა ერთმანეთი გადაკოცნეს, ორ-  
კესტრის მსახიობების ალტაცებამ ზე-

ნიტს მიაღწია, ცრემლები ვერ ვიკა-  
ვებდი. იმ საღამოს სიხარულის ცრე-  
მლებმა ბევრი დიდი ქართველისა და  
მგზნებარე პატრიოტის თვალები და-  
ნამეს.

დაიწყო მესამე მოქმედება. თით-  
ქოს შენედა აუდიტორიის მაჯის-  
ცემა. მოჯადოებული მსმენელი სულ-  
ჯანაბული ისმენდა „მწუხრი დაი-  
წყოს“ პანეებს.

დამთავრდა სამქტაკლი. აუდიტო-  
რია ადელვებულ ზღვასავით მყოთო-  
ვდა. გამაოგნებელი ოვაციებით მთა-  
ვალჯის იწვევდნენ სცენაზე „დაი-  
სის“ ავტორს, ყველა მისკენ მიილ-  
ტებოდა — მუხინიერი, მწერალი, მუ-  
სიკოსი, მხატვარი, მსახიობი, მგეო-  
ნობი, ახლომელი, ნაცნობი და უც-  
ნობი.

თეატრიდან გამოსვლის დროს ახა-  
ლგაზრდობა აღფრთოვანებით შესა-  
ხიბა: დიდება, ვაჟა, სიციცხლე დიდ  
კომპოზიტორს!

ზაქარია პეტრეს ძის თვალბზე  
მადლიერება და სიხარულის ცრემ-  
ლები ბრწყინავდნენ. ტრუფმულუ-  
რად ჩაჭრადა „დაისის“ პრემიერა.

მეორე დღეს მოუთმენლად ველო-  
ბდა ზაქარიას. მოვიდა დადლილი,  
მოქანცული. ხელთ ვაყრა ლამაზი ვე-  
რცხლის ლარნაკი წარწერით: „ნ. ი.  
ბუხოდლისას ოპერა „დაისის“ პირ-  
ველი დადგმის სახსოვრად. ავტორი  
საბან. თბილისი 19/XII, 1923 წ. და  
ოპერა „დაისის“ მისივე ხელნაწერი  
კლავირი წარწერით: „უგოდენი ნ. ი.  
ბუხოდლისას, ავტორისაგან“.

სავარძელი მივაგებე, შევეკითხე —  
კმაყოფილი ხარ?

— ჩემო კარგო, ამაზე ლაპარაკი  
ჯერ ადრე, პირველი დადგმის წარ-  
მატება ჯერ კიდევ არ ნინნავს გა-  
ნარჯვებას. ენახოთ, რას მოგვტანს  
მორიგი დადგმები, მხოლოდ მაშინ  
წვედებით გადაჭრით ვილაპარაკოთ  
„დაისის“ ღირსებაზე.

თუ რა ბედი ეწია ზ. ფალიაშვი-  
ლის „დაისს“, ყველასათვის კარვად  
წარის ცნობილი. ღღემდე იგი დიდი  
პრომატებით იდგმება საბჭოეთ ქვე-  
ნის თეატრების სცენაზე.

უკვადვების შარავანდელი ფიწრება  
„დაისსა“ და მის ავტორსაც.



# პოლიფონიური სპრხაბი ოპერაჲი

## „აბესალომ და ეთერი“

სულხან ნასიძე

საქართველოს ფოლკლორის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ ქართული პროფესიული მუსიკის პირველი სრულყოფილი ქმნილებაა. მის ავტორს წილად ზედა დიდი ისტორიული მისია — მან ფასდაუდებელი როლი შეასრულა ეროვნული-პროფესიული მუსიკალური კულტურის ჩასახვასა და განვითარებაში. ამ ოპერის დაბადებამ განაპირობა ძალზე თვითმყოფადი მუსიკალური ფოლკლორის ნიადაგზე განზრახვადი მრავალსახეობიანი და შემოქმედებითი ინდივიდუალობებით მდიდარი კულტურის — ქართული საბჭოთა მუსიკის აღმოცენება. მაგრამ „აბესალომ და ეთერი“ ამის შემწეობა მხოლოდ ისტორიული როლით რიდი ამოიწურება, იგი უაღრესად დახვეწილი, სრულყოფილი ქმნილებაა და მალაღმბატკრული თვისებებით არის აღბეჭდილი. სწორედ ამიტომ „აბესალომ და ეთერის“ უკვდავი მუსიკა ნახევარ საუკუნეზე მეტია ცოცხლობს. მისი ზემოქმედების ძალა, არა თუ შენედა, არამედ მყარად დაამკვიდრდა ქართველი ხალხის ყოფაში და ჩვენი სულიერი კულტურის ხელთუქმნელ ძეგლად იქცა.

„აბესალომ და ეთერის“ შექმნამდე, ქართულ მუსიკაში არ მიმდინარებდა ისეთი შემოქმედებითი პროცესები, რომლებიც ნიადაგს მოუზადებდნენ ესოდენ სრულყოფილი ნაწარმოების შექმნას. თითქმის ყოველი ნიადაგზე მოულოდნელად აღმოცენდა ჭეშმარიტად კლასიკური ქმნილება.

ერთი შეხედვით, ეს ფაქტი განცვიფრებას იწვევს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ წინამძღვრებს, რომლებიც უშუალოდ ჰქმნიდნენ ამ მოვლენის შინაგან კანონზომიერებას; აი ისინიც: ზ. ფალიაშვილს ხელთ ეყარა ქართული მუსიკალური ფოლკლორი, მკაფიოდ და სრულყოფილად ჩამოყალიბებული რიტმო-ინტონაციური, კილო-პარმონიული და პოლიფონიური თავისებურებებით. ზ. ფალიაშვილმა პირველთაგანმა მიაგნა ამ განძის შემოქმედებითად ათვისების მეთოდს, დრამა შეიცვალა ხალხური მუსიკის სამყაროში. მეორე მხრივ, ზ. ფალიაშვილმა მყარი მუსიკალური განათლება მიიღო.

ოპერის შექმნას წინ უძღვდა ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდი, იგი დიდი გატაცებითა და თავდაუზოგავი ენერჯით აგროვებდა მასალას, წლების მანძილზე ამოვიდებდა ოპერის ჩანაფიქრს და მხოლოდ 39 წლის ასაკში შეუდგა ამ ჩანაფიქრის რეალიზაციას.

„ქართული ნაციონალური მუსიკალური სტილის ფორ-

მირების ეპოქაში, ფალიაშვილმა გადატრია მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც იდგნენ იმ დროის ქართული მუსიკალური ხელოვნების წინაშე.

პირველი ასეთი პრობლემა იყო ქართული მუსიკის პროფესიონალიზაციის პრობლემა. ქართველ კომპოზიტორთა შორის ფალიაშვილი იყო პირველი, რომელმაც სრულყოფილად აითვისა რა მსოფლიო მუსიკალური კულტურის მალაღმბატი მიღწევები, შესძლო საუკუნეობით გამოუმუშავებული მდიდარი მუსიკალური საშუალებანი გამოყენებინა ქართული ხალხური სასიმღერო შემოქმედების ორიგინალურ და უმდიდრეს საგანძურისადმი.<sup>1</sup>

მართლაც, ზ. ფალიაშვილმა დრამა კვალი დააჩნია საკომპოზიციო შემოქმედების ყოველ სფეროს. ჩვენი მიზანია „აბესალომ და ეთერის“ საფუძველზე განვიხილოთ ზ. ფალიაშვილის შემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მხარე ორიგინალური პოლიფონიური აზროვნების ზოგიერთი თავისებურება.

„აბესალომ და ეთერი“ გამოყენებულია მკაფიო ჩამოყალიბებული ფორმები, რომლებიც მხატვრულ სახეებს მოწოდებენ. ისინი ნაწარმოების ფაქტურასა და მელოდურ საწყისს მრავალფეროვნებასა და სიმდიდრეს ანიჭებენ. „აბესალომ და ეთერის“ თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მისთვის უცხოა გარეგნული დინამიკა, კონტრასტული მუსიკალური ფაქტურებისა და განწყობილებების დაპირისპირება. ზ. ფალიაშვილი არა მარტო ცალკეულ მუსიკალურ ეპიზოდებს, არამედ მთელ სცენებსაც კი აგებს ერთ მთლიან მუსიკალურ განწყობილებაზე და პრინციპი განვითარებისა აგებულია არა კონტრასტული მომენტებისა და სახეების დაპირისპირებაზე, არამედ ერთი ემოციური მდგომარეობის სხვადასხვა წახანგადან ჩვენებაზე. მიუხედავად ამისა, ოპერის მუსიკა აღსავსეა შინა-

<sup>1</sup> ვ. დონაძე. „ზაქარია ფალიაშვილი“.

განი დინამიკითა და მძაფრი ემოციური ტონუსით. „აბესალომ და ეთერი“ სიმფონიზმის მკაფიო გამოვლენა სა-  
ოპერო მუსიკაში. კომპოზიტორი აქ მალდულად დრამატულ-  
ო შინაარსის სიმფონიურ-განზოგადებულ გახსნამდე.<sup>2</sup>

ეს გახლავთ ამ ოპერის უაღრესად მნიშვნელოვანი თეი-  
სება. „აბესალომ და ეთერი“ სიმფონიზმს მრავალგვარი  
ელემენტების კომპლექსი წარმოქმნის, რაშიც მნიშვნელო-  
ვანი ფუნქცია სწორედ პოლიფონიურობას აკისრია. იგი  
ორგანულად ერწყმის კომპოზიტორის მუსიკალურ აზროვნებას და დიდად უწყობს ხელს ოპერის მხატვრული სა-  
ხეებისა და ძირითადი იდეის გახსნას. ოპერაში პოლიფონიური ხერხები და ფორმები თვითმხრედ დამოუწვლვებს  
როდი ასრულებენ. პოლიფონია ოპერის გამომსახველობითი  
სისტემის კომპონენტია. ამიტომაც თითქმის არ ვხვდებით  
დამოუკიდებელ პოლიფონიურ ფორმებს. იგი ცალკე არ-  
სად არ გამოიკვეთება და მთლიანი მუსიკალური ორგანი-  
ზმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

ზ. ფალიაშვილი, ერთი მხრივ, დაეუფლა ქართულ მე-  
სიკალურ ფოლკლორს, რომლისთვისაც დამახასიათებელია  
უნიკალური პოლიფონიური აზროვნება, მეორე მხრივ, მან  
საფუძვლიანად შეისწავლა საუკუნეობით ჩამოყალიბებუ-  
ლი მსოფლიო პოლიფონიური მუსიკის კლასიკური ნიმუ-  
შები. „აბესალომ და ეთერი“ პოლიფონიურობა სწორედ  
ამ ორი კულტურის სინთეზმა წარმოშვა.

ზ. ფალიაშვილი შემოქმედებითი ცსოვრების პირველი-  
ვე ნაბიჯებიდან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართულ  
ხალხურ მუსიკასთან. მან სიმღერების შესწავლისა და  
ჩაწერის მიზნით შემოიარა საქართველოს სხვადასხვა კუ-  
რსე. მანამდე ლ. აღნიაშვილის გუნდში მღეროდა, რომე-  
ლიც ერთგვარ შემოქმედებით ლაბორატორიას წარმოად-  
გენდა ქართველი მუსიკოსებისათვის. შემდეგ თვითონვე  
ჩამოყალიბდა გუნდი, რომელსაც დიდი გულმოდგინებით  
ხელმძღვანელობდა. ამრიგად, ხალხური მუსიკა მისი სტი-  
ლი იყო.

„სხვა სიმღერებს შორის, — წერდა ზ. ფალიაშვილი. —  
ჩემს მიერ ჩაწერილია გურული „ხეხუბავი“, სადაც ერთ  
ადგილას ისე მოქმედობდა არის გადახალართული ორი,  
სრულიად სხვადასხვა ხასიათის თემა, რომ თვალწინ ნათ-  
ლად წარმოგვიდგება ბახის ფუგების თემები. მას შეუძ-  
ლია აღტაცებაში მოყვანოს ხეებისმიერი ევროპიული მე-  
სიკისი და დაარწმუნოს იმაში, რომ ქართველი ხალხი,  
რომელმაც შექმნა ასეთი რთული და ამავე დროს ორიგინალ-  
ური სიმღერები, ჭეშმარიტად დახვეწილია მუსიკალურ  
ხელოვნებაში.“<sup>3</sup>

ზ. ფალიაშვილის შემოქმედებითი ბუნებისათვის განსა-  
კუთრებით ახლოებული აღმოჩნდა ლირიულ-ეპიკური ხა-  
სიათის ქართულ-კახური და მოხუმრებელი სვანური სიმღე-  
რები. მასვე იზიდავდა უძველესი ქართული საგალობ-  
ლების ანალოგული, ვაგაკური და თავშეკავებული ბუნე-  
ბა. ზემოთ ჩამოთვლილი სიმღერებისათვის კომპოზიციური-  
პოლიფონიური წყობა დამახასიათებელი, რამაც არსებით  
შეგავლდა მოაღონმა „აბესალომ და ეთერი“ მუსიკალურ  
სტილის ორგანიზაციას.

ამრიგად, ზ. ფალიაშვილის მუსიკალურ აზროვნებას  
თვითმოვლად ქართული ხალხური მუსიკა ასაზრდოებდა,  
მაგრამ ამ გრანდიოზული მუსიკალური მასალის შემოქმე-  
დებითი ათვისებისათვის საჭირო იყო დახვეწილი და გა-



ს. ინაშვილი მუხრანის როლში

მსოფლიო ოსტატის ხელი. მართლაც, მსოფლიო კლასიკუ-  
რი მუსიკის მიღწევათა ათვისებამ განაპირობა კომპო-  
ზიტორის დახვეწილება. სწორედ ამ გზით შესსლო ზ. ფა-  
ლიაშვილმა უდიდესი შემოქმედებითი ამოცანების გადაჭ-  
რა. დიდი ხელოვანის ინტონაციამ, ტლანტმა, შრომამ  
არგუნა მას უდიდესი ისტორიული მისია — ქართული  
პროფესიული მუსიკალური აზროვნების დაფუძნება.

ზ. ფალიაშვილის პროფესიული საკვანტება ადრე  
დაიწყო. ბავშვობაში იგი ქუთაისის სასკოლო გუნდში  
გალობდა, შემდეგ 15 წლის მანძილზე ორდნისტიდ მუშა-  
ობდა. ასრულებდა ბახის, მოცარტის, ჭერუბინის, ბეთ-  
ჰოვენისა და სხვათა საკულტო მუსიკას.

ნაყოფიერი იყო მცადონიობის წლები მუსიკალურ სას-  
წავლებელში, სადაც სწავლობდა ვალტორნის კლასში,  
ხოლო მუსიკის თეორიას კომპოზიტორ ნ. კლენოვსკის ხე-  
ლომძღვანელობით ეუფლებოდა. ამ პერიოდში შექმნა მან  
ოთხნაწილიანი მესა, რომელიც კარგა ხანს სრულდებოდა  
კათოლიკურ ეკლესიაში. უკვე ამ ნაწარმოებში ზ. ფალია-  
შვილი აშკარააზნებს გარკვეულ პოლიფონიურ ოსტატობას.

ზ. ფალიაშვილის შემოქმედებით ბიოგრაფიაში განსა-  
კუთრებით მნიშვნელოვანია მოსკოვის კონსერვატორიაში  
სწავლის პერიოდი (1900-1903 წ.წ.) გამოჩენილი კომპო-  
ზიტორისა და დიდი პედაგოგის ს. ი. ტანევეის კლასში  
მეცადონიობის წლები. ს. ტანევეი პოლიფონიის ბრწყინ-  
ვალეს ოსტატი იყო.

ზ. ფალიაშვილისათვის უაღრესად ნაყოფიერი გამოდგა  
მსოფლიო მუსიკალური კულტურის დიდი ტრადიციისა

2 იხივ.  
3. ზ. ფალიაშვილი. „მოგზაურობა კახეთში და ქართული ხა-  
ლხური სიმღერების ახლანდელი მდგომარეობა“, გაზეთი „ამი-  
რანი“, 1908 წ., 5 X.

და განსაკუთრებით პოლიფონისტ კომპოზიტორთა მიღწევების ათვისება ს. ტანევის ხელმძღვანელობით.

„აბესალომ და ეთერში“ პოლიფონიური ხერხები ჩამოყალიბდა, ერთი მხრივ, ქართული ხალხური სიმღერების, ხოლო, მეორე მხრივ, ევროპული კლასიკური პოლიფონიის ზეგავლენით. აღსანიშნავია, რომ ზ. ფალიაშვილისათვის უფრო ახლობელი აღმოჩნდა შუა საუკუნეების ბაზის ეპოქამდელი პოლიფონისტების საგუნდო-სასულიერო მუსიკის დინჯი, აბაღლებული და დაიდა სულთ გაქვდნითი შემოქმედება. მართლაც, „აბესალომ და ეთერში“ გამოყენებულია ვოკალური და არა ინსტრუმენტული პოლიფონიის ელემენტები, რაც ვლინდება არა მარტო ოპერის სოლო-ვოკალურსა და საგუნდო პარტიებში, არამედ საორკესტრო თანხლებამაც.

ამრიგად, „აბესალომ და ეთერში“ პოლიფონიურობას წარმოქმნიან ქართული ხალხური სიმღერები და შუა საუკუნეების პოლიფონისტთა საგუნდო შემოქმედება. მათი შეზავება ბუნებრივად და ორგანულად ხდება. ისინი ავსებენ და ამდიდრებენ ერთმანეთს. ქართული ხალხური და კლასიკური ევროპული პოლიფონიის სტრუქტურული სხვაობის მიუხედავად (ხალხური პოლიფონია კონტრასტულობის პრინციპზეა აგებული, კლასიკური პოლიფონიის საფუძვლს კი, იმიტაციურობა შეადგენს) მათ აკავშირებთ ერთიანი ემოციური ტონუსი. ეს ვლინდება მუსიკის საერთო ხასიათში აუქტარებელი მღერადობის მოლიან ნაკადში.

ნ. ქუმისაშვილი აბესალომის როლში



ბუნებრივია, ხალხური პოლიფონიის ნიშან-თვისებებმა იჩინეს თავი ოპერის იმ ეპიზოდებში, სადაც უშუალოდ არის გამოყენებული ფოლკლორული მასალა. თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ სანადირო სიმღერა „ავთანდილ გადინადირა“ (I აქტიდან) და „ჩაკრული“ (II აქტიდან). პირველ მათგანს საფუძვლად უდგას ამავე სახელწოდების კახური ხალხური სიმღერა, რომელიც მომთხრობს წყობის და ანტიფონურად სრულდება. ზ. ფალიაშვილმა ამ სიმღერის რიტმო-ინტონაციური მასალის საღებველზე შექმნა პოლიფონიურად განვითარებული გუნდი. საინტერესოა, რომ ამ გუნდში გამოყენებული პოლიფონიური ხერხები გურული ხალხური სიმღერებისათვის არის დამახასიათებელი. ამას მოჰყობს ბანის მოძრაობა, აქტიური ბუნება, ვოკალურ კომპლექსებში ცალკეულ ხმათა აქტივობა, ხმების განლაგება კონტრასტულობის პრინციპით.

გურული სიმღერის პოლიფონიური თავისებურებების გამოყენებით კახური კომოფონური სიმღერა „ავთანდილ გადინადირა“ ახალ მხატვრულ ხარისხში იქნა აყვანილი.


„დინდარის გუნდი“ თვალსაჩინოდ ცხადყოფს ვოკალური მასალისადაც კომპოზიტორის ორიგინალურსა და აქტიურ შემოქმედებით მიდგომას.

„აბესალომ და ეთერის“ „ჩაკრული“ თავისი სტრუქტურით ახლოს დგას ხალხურთან. თუმცა კომპოზიტორმა სოლო-პარტიებს მეტი ინდივიდუალობა მიანიჭა და სოლისტთა ხმებს შორის ტერციული ურთიერთ-დამოკიდებულება მოშალა. სოლისტთა რეჩიტატიული გადახაზვები და საგუნდო რეალიტები ხალხური პოლიფონიის ბრწყინვალე ნიმუშს ქმნიან.

ოპერაში დრამატული საწყისი აბესალომისა და ეთერის შესვლდრის სცენაში ჩაისახება. ეს მომენტი აბესალომსა, ეთერსა და მურმანში ჩანსადაც ემოციურ განწყობილებას ბადებს. შეყვარებული აბესალომი რომანტიკულ არიოზოს მღერის, მზურავლედ გამოხატავს თავის აღფრთოვანებას. ამ არიოზოს მურმანის მკაცრი, მღელვარე და დაბაბული რეჩიტატივი უპირისპირდება. ამ გზით ხდება მუსიკალური ფაქტურის მკვეთრი ცვლა. შემდეგ კვლავ გლერს აბესალომის ალტაცებელი მიმართვა, ეთერისადმი. „აა, მზეო ხელმანდილი — ოქრომკედით მოჭარგული“. მასში გრძელდება არიოზოს მელოდიური ხასი, ეთერი გაურკვეველ მდგომარეობაშია, მის წინაშე რთული ამოცანაა წამოჭრილი. მურმანის პირქუშ რეჩიტატივებში მქვანდება მისი ძლიერი და შეუპოვარი ხასიათი. ეთერისა და აბესალომის დიალოგი დუეტში გადაიზრდება, რომელიც მთავრდება ტერცეტით — მურმანის მონაწილეობით. მთელ ამ სცენას (აბესალომის არიოზოდან ტერცეტის ჩათვლით) დიდი დრამატურგიული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ხდება მთავარ გმირთა ექსპონირება. მათი კონტრასტული ხასიათები ერთდროულად ერთ სიტუაციაში ვლინდება. წარმოიქმნება მკვეთრად განსხვავებული ემოციებისა და განწყობილებათა რთული პოლიფონიური სურათი. ამ შემთხვევაშიც საკმე გვაქვს პოლიფონიურობის ისეთ სახეობასთან, რომელსაც ქმნის არა მარტო მუსიკალური ფაქტურა, არამედ განწყობილებათა რთული ქსილი. ამგვარი პოლიფონიურობა ნაწარმოებს შინაგან დინამიკას ანიჭებს. დუეტსა და ტერცეტში პოლიფონიურობა თავს იჩენს თვით მელოდიურ ფაქტურაშიც, რომლის თავისებურება ქართულ-კახური სიმღერის ბუნებიდან გამომდინარეობს და პოლიფონიური ქსილიც ამავე საფუძვლს ემყარება.

ასეთივე ტიპის პოლიფონიურ-მელოდიურ ფაქტურაზეა აგებული აბესალომისა და ეთერის მეორე დუეტი I მოქ-





„აბესალომ და ეთერის“ II მოქმედლება თბილისის კონსერვატორიის სტუდიელთა დადგობით (1936-1937 წლების სეზონი), დამდგმელი ა. წუნუაძე, მხატვარი დ. შვეარცნაძე, ღირსი იოანე ს. ნასიძე.

მედებიდან, ეთერისა და ნათელას, აბესალომისა და მურმანის დეკორები IV მოქმედებიდან.

ამ ანსამბლებისთვის დამახასიათებელია ორი დამოუკიდებელი, უფრო მეტიც, კონტრასტული-რეჟიტატიული და კანტილენური თემების პოლიფონიური შერწყმა, ან მათი მანოვრება. მონაცვლეობის პრინციპი დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს საგუნდო სიმღერებისათვის, სადაც ცალ-ცალკე წარმთქმელი რეჟიტატიული ფრაზები შემდეგ ერთდებიან. კანტილენური ხასიათის მდგარი პარმონიული ბანის ფონზე ზ. ფალიაშვილი ბანს ზოგჯერ უნარჩუნებს იმ ფუნქციას, რომელიც მას ხალხურ სიმღერაში აქვს დაკისრებული (გამბული ბანი). მაგრამ უფრო ხშირად ბანი მელოდიურულია და ამდენად უფრო აქტიური. იგი პარმონიულ ფონს კი არ ქმნის, არამედ ზედა ხმების პოლიფონიურ ურთიერთობას აწყარებს.

ოპერის სოლო ეპიზოდებში, პოლიფონიურობა იქმნება ვოკალურ ხასხასა და საორკესტრო თანხლების სოლო ინსტრუმენტების ურთიერთდამოკიდებულებაში (საორკესტრო პარტიკაში ძირითადად ვოკალური ხასიათის მელოდიურ-რეჟიტატიული მასალა მოვედოდა). ყოველივე ეს მოწმობს, რომ ოპერის მთელი ფაქტურა საგუნდო ძლერადობის პრინციპზეა აგებული.

IV მოქმედების კვარტეტი გურული პოლიფონიური სიმღერების პრინციპზეა აგებული. პირველი ხმა კრიმანჭლის მოვარგონებს, დანარჩენები კი დამოუკიდებლად მოძრაობენ, ისინი სხარტი და მოქნილია. ეს კვარტეტი ერთგვარად ინსტრუმენტულ ხასიათს ატარებს.

ძველ ქართულ საგალობლებში პოლიფონიურობა წარმოიქმნება აკორდულ კომპლექტებში ხმათა აქტიზირებით მელოდიური საწყისის განვითარებით, აკორდებს შორის არსებული სივრცის შევსებით, აკორდული მელოდიური ბეჭდვით.

ასეთი ტიპის პარმონიულ-პოლიფონიური წყობა გვხვდება „აბესალომ და ეთერის“ მიუღ რიგ ეპიზოდებში (მურმანის არია I მოქმედებიდან, საორკესტრო თან-

ხლება, გუნდი „აბო მუფე“ II მოქმედებიდან. ამავე პრინციპით არის დამუშავებული „ქართველი, ხელი ხმალს იკარ“).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოპერის მუსიკალური ფაქტურის ჩამოყალიბებაში ზ. ფალიაშვილი ფართოდ და ოსტატურად იყენებს წარსული საკუნეების ოსტატ-პოლიფონისტების გამოყენებით საშუალებებსა და ფორმებს. გამოყენებული აქვს სხვადასხვა სახის იმიტაცია, კანონი, სტრეტო, პასაკალია, ფუგატო. იგი მრავალ სცენას იწყებს პოლიფონიურად (ე. ი. ხმების თანდათანობითი ჩართვით). ასე, მაგალითად: მურმანის არია (I მოქმედება), აბესალომის არია (III მოქმედება), III მოქმედების ფინალური სცენა, ეთერის არია (IV მოქმედება), საორკესტრო შესავლები.

III მოქმედების სადიდებელი გუნდის — „აბო მუფე“ — მე-11 — მე-15 ტაქტების სტრეტოსებურად არის აგებული. ამავე მოქმედებიდან საორკესტრო ეპიზოდი — „საქორწილო სვლა“ — დაწერილია კანონის ფორმაში ბანის ოსტინატურ ფონზე.

აღსანიშნავია, რომ ხმების ჩართვა სტრეტოსა და კანონში კითხვებურად, აღმავალი მიმართულებით ხდება კინტის, სექსტისა ან კვანტის ინტერვალებზე.

III მოქმედების გუნდი — „რაღე დაგვიდა“ ... მკაცრ, პირქუშ, არქაული ხასიათის თემაზე აგებული პასაკალია. ეს თემა გადის როგორც Basso ostinato, რომელზედაც მიმდინარეობს ხმების თანდათანობითი დაშრეკვა — ჯერ პირველი და მეორე ტენორები, შემდეგ ალტები. ხმოვანების გაძლიერებასთან ერთად ჩაერთვებიან სობრანობიც. ამ მოკლე საგუნდო ეპიზოდს ემიციური ზემოქმედების დიდი ძალა აქვს.

ოპერის პირველი კულმინაცია (III აქტის დასკნითი გუნდი და ანსამბლი), ტემპირატ ტრაგიკულ აღწევს. ეს არის აბესალომისა და ეთერის განშორების მძლავრ სცენა. დოს საორლანო პუნქტზე ფუგატისებურად ჩაერთვებიან ხმები: ტენორები, ალტები, სობრანობი. გუნდს



ერთვის ანსამბლი, რომელიც ასევე იმიტაციურად ატარებს თემას. ხმების ასეთი დამრგვეტა ამზადებს უაღრესად კომპაქტურ კულმინაციას, Andante molto maestoso. ბანებში მთელი სიძლიერით ჟღერს პასაკალიის არქაული თემა, ზედა ხმებში კი ეს თემა შებრუნებული სახით გადის. შემდგომში პასაკალიის თემა მოიცავს მთელ ორკესტრს, გუნდას და ანსამბლს. ამ ეპიზოდის დასკვნით ნაწილში, ორკესტრის ბანებში, კვლავ ჩუმად ჟღერს პასაკალიის თემა, რომელსაც გუნდის სამგლოვიარო ფრაზები ერთვის. ამრიგად, ზ. ფალიაშვილმა ოპერის კულმინაცია პოლიფონიური საშუალებებით ააგო და ჭეშმარიტად უკვდავი მუსიკა შექმნა.

აკვარელური სინატიფითა და დახვეწილობით გამოირჩევა პოლიფონიური ქსოვილი IV მოქმედების ანსამბლებში. განსაკუთრებით კი ანსამბლში — „წამწამსა და წამწამს შუა“. რთულ პოლიფონიურ ხლართებში შეინიშნება ერთი წამყვანი მელოდია, ხოლო დანარჩენი ხმები ამ მელოდიას ჩუქურთმებით გასდენენ. მთავარი მელოდია გადაეცემა ხან ერთ ხმას, ხან — მეორეს, ხანდახან კი იმი-

ტაციურად ტარდება. ეს ანსამბლი, რომელიც ნახი სიყვარულის ატმოსფეროს ქმნის, ზ. ფალიაშვილის მიერ დაწერილია მაღალი პოლიფონიური ოსტატობით. აქ გამოყენებულია ორმაგი კონტრაპუნქტი.

ოპერა „აბესალომ და ფერიას“ პარტიტურაში ჩანს პოლიფონიის რთულ ხელოვნებაში გაწეული ოსტატის ხელი. მასში აირველა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერებისათვის დამახასიათებელი პოლიფონიური აზროვნება. ამავე დროს კომპოზიტორმა ერთგულ მუსიკალურ მასალას ოსტატურად დაამყნო მსოფლიო კლასიკური პოლიფონიის ელემენტები.

ქართული მუსიკალური ფოლკლორის თვითმყოფადი რიტმი-ინტონაციული, პარმონიული და პოლიფონიური თავისებურებები კვლავაც ფართო პერსპექტივებს სახავენ ეროვნული პროფესიული მუსიკის წინაშე. ხოლო ეროვნული მუსიკის ამოუწურავი პოტენციის ბრწყინვალე გამოვლინებას სწორედ „აბესალომ და ფერიას“ წარმოადგენს.

# დიდი კოეპოზიტორის შ ე ს ს ა ხ ე ბ

**საპარტიშვლოს სსრ** მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დატულია ცნობილი პედაგოგისა და კათალიკოსის კალსტრატე მიხეილის ძე ცინცაძის მოგონება ზაქარია ფალიაშვილზე (შვიდი კ. ცინცაძის არქივი, № 109).

ზ. ფალიაშვილი და კ. ცინცაძე წლების მანძილზე თანამშრომლობდნენ ქართულ გიმნაზიაში და თავდადებულად იღვწოდნენ მამულიშვილური საქმეებისათვის.

ფიქრობთ, კ. ცინცაძის მიერ მოთხრობილი ფაქტები შეავსებენ დიდი კომპოზიტორის ბიოგრაფიის ფურცლებს და ფართო საზოგადოების ინტერესსაც აღძვრენ.

კ. ცინცაძის მოგონებას, რომელიც 1939 წლის 8 მარტით არის დათარიღებული, მიაკვლია მიხეილ ქავთარიამ და მანვე მოკვარდა გამოსაქვეყნებლად.

ზაქარია კმტრის ძე (ანხანავ-მეგობრებში: შაქრო) ფალიაშვილი გაიყვანა 1903 წ. დასაწყისში ქართულ გიმნაზიაში. სამასწავლებლო დარბაზში შემოვიდა სუფთად ჩაცმული, მაღალ-მაღალი, ტანწვრილი, პირხმელი და შავ-ცხცისფერქვევ დიდთავლებიანი ახალგაზრდა ერთ-ერთი მასწავლებელიან ერთად და ნერვულად ისუბრებოდა მას. შევეციოთუ ჩემს გვერდზე მჯდომარე, მოხუცეულბაშისც კი „ყმაწვილ“ არისტო ქუთათელაძეს, — ვინ არის ეს ახალგაზრდა, ან რა უნდა მეთქი. პასუხად მივიღე: მუსიკის მასწავლებელია შაქრო ფალიაშვილი. ეტყობა „ფრანკი“ უნდა იყოს მეთქი. არისტო გაკვირვებით შემეკითხა: რაზე ეტყობაო? ასეთი ბრწყინვალე თვალები მარტო კათოლიკეებში შემხვედრია და ისიც მორწმუნე კათოლიკეთა შორის მეთქი. არისტომ გადაიხარხარა და დაუძახა შაქროს: მოდი აქ, გაგაცნო ჩვენი მოძღვარი, მეონია მოეწონეო. შაქროც მოვიდა და გაეცინა ერთმანეთი. არ გასულა ამის შემდეგ დიდი ხანი, რომ მიზნად ერთი შემთხვევა, რომელმაც უფრო მტკიცედ აღებდა ჩენს მუსიკერებაში შაქროს პიროვნება.

საქმე შემდეგდა: ქართულ გიმნაზიას ბევრი მტერი ყავდა, რომლებიც ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ მისთვის ადგილობრივი მთავრობის უშლელს წარმომადგენელთა თვალში. იმ დროს მთავარმართებლად იყო გენერალ-ადიუტანტი თავადი გ. გოლიცინი, კაცი ფიცხი, ანჭრებულე და სამოქალაქო საქმეებში ნაკლებად ჩახედული. მთავარმართებელს უყვარდა გარეულ ღირებზე ნადირობა, რის გამო დაახლოვებული ყავდა ცნობილი მონადირე გენერალიც გ. გაბაშვილი. ერთხელ, ყარაიში ნადირობის დროს, თ. გოლიცინს ეთქვა გ. გაბაშვილისათვის: თქვენს ქართულ გიმნაზიაში ხეირიანად თურმე არაფერს ასწავლიან, განსაკუთრებით რუსულსო. გ. გაბაშვილს მოუსხენება: მაგვარ ჭორებისათვის ყურის თხოვებას ან სჯობდა, გავგეჯათ ფეხი სასახლის ბაიდიან, შებრძანებულეყვით გიმნაზიაში (ჩიტბასი და ძერქინსკი ქუჩების კუთხეში) და ყველაფერი საკუთარი თვალით გენახათო? მამ, კარგი, გადაცეით გუბერნიის წინამძღოლს (გიმნაზიის

1 იგულისხმება კათოლიკე.


მფარველად ითვლებოდა), მე მსურს თქვენს გიმნაზიაში მოსლა და წამყვანოსო. ვ. გაბაშვილს ეს ამბავი ცნობების თ. შურან-ბატონისათვის, ისიც ხლებოდა მთავარ-მართებელს და რამდენიმე დღის შემდეგ სასახლიდან გამოგზავნილმა კაცმა შეატყობინა გიმნაზიის დირექტორს ექვთიმე თაყაიშვილს — მთავარმართებელი მიობრანდუბაო. დირექტორმა ვერც კი მოასწრო გაკვეთილების ბიუჯეტ კლასში მყოფი მასწავლებლები, რომ სტუმრებიც გვეწვევენ.

შემოსვლისთანავე მთავარმართებელს წინადადება მიეცა დირექტორისათვის წაეყვანა რუსული ენის გაკვეთილზე. კლასში მიმავალს დიდ დარბაზში დაენახა ჯგუფად მდგომი მოწაფეები და ვკითხნა, ესენი აქ რას აკეთებენო. დირექტორს მოესხებოდა, მუსიკის გაკვეთილზე არიანო. ებრძანებოდა, რუსული გაკვეთილის შემდეგ, აქ მრავლდეთ. ექვთიმეს აღმზრდელის პირით შეეთვალა შ. ფალიაშვილისათვის, მანდ მოვლენ, მზად იყავით.

შესულიყო თუ არა რუსულის გაკვეთილზე მთავარმართებელი, მოწაფეები მკვირვლად, მაგრამ წყნარად წამომდგარიყვნენ, ლამაზად თავისდაკერით სალაში მიუციათ სტუმრისათვის და ფეხზე მდგარიყვნენ, სანამ დასახდომის ბრძანება არ მიეღოთ. მთავარმართებელს ჯერ ყური დაეგდო მასწავლებლის მიერ გაკვეთილის ახსინასათვის. შემდეგ ლექსები ეთქმევივნებოდა მოწაფეებისათვის, და სხვადასხვა კითხვები მიეცა იმ მიზნით, რომ გაეგო, რამდენად შეთვისებული ჰქონდათ ენაწილებს რუსული ენა. ამ დროს ზარიც დაგრავილიყო: გამომვიდომებისას მთავარმართებელს ეთქვა: хорошо, молодца, და გამოსულიყო კლასიდან. გრძელდა და განიერ კარიდორში შეჩერებულყო, სადაც ყმაწვილებმა მწყობრად ჩაუჭირეს სტუმრებს და მოხდენილად უსაღებეს. მიუყვნა.

სტუმრები გაემუხრენ დიდი დარბაზისაკენ, ჩვენც უკან დარბაზში უკვე თავი მოყვარათ საუკეთესო მომღერლებს. სალაში შემდეგ მთავარმართებელმა მოითხოვა «Боже, царя храни»-ის გალობა. ახალგაზრდების წყარია და სუფთა ხმებმა მშვენიერად შეასრულეს რუსეთის გროველი „იმინა“. იამა. შემდეგ ეთქვა: ქართულადც იმღერეთ რამეო. ანდრია ყარაშვილი მიუჯდა რთილად, შაქრომ ტონი მისცა და გაიხმა „სამშობლოს, სამშობლოს“. შაქრომ აენთო, უიმისიდაც დიდრონი თვალები უფრო გაუფართოვდა. სტუმარი სმენად გადაიქცა, როცა პეტრედნენ „ამოდუდნი მარგალიტო“-მდე, მოხუც ფეხები აუტოვდა, ტანმა რხევა დაუწყო და მუსიკის დასრულებამდე არ შეჩერებულა. შემდეგ თ. გოლიცინი მოესმინა მუსრან-ბატონს, გადაუხვდა მადლობა სიამოვნებისათვის. ჩამოართვა შაქროს ხელი და ეთქვა: «дальше не играйте и не пойте, но хочу портить впечатление; прощайте, спасибо...»

იშვითი სტუმრები კმაყოფილები წავიდნენ, არც ჩვენ დავრჩენილართ უკმაყოფილონი. მიუზრუნვით ამქამად უკვე გამოირბოლ და აცახცახებულ შაქროს, გამოეუცხავდა და მადლობა, შევაქეთ, გადასახელო. „სამშობლოს“ მუსიკის ატორიც არ დაგვიტოვებია უსურადღებოდ, ისიც შევაქეთ. ორივე სიამოვნებით მიიღეს ამხანავეური თანაგრძობა, მაგრამ სხვადასხვანაირად. ანდრია მდინჯად და გულდამშვიდებით, შაქრომ კი ნერვიულად და აღუღვებით. ასეთი აღუღვებელი შაქრო არ მენახა, ამისათვის შემეცოცხდა: რა მოვიდა, რად ღრუღავ შეთქი. მიპასუხა — გარწმუნებთ, ერთ ბავშვსაც რომ ეძალატუნა და სულ ციტა რამ შემოღდა — ეს კი მოსალოდნელი იყო მთავარმართებლის უცნაურ მოსვლის გამო — აქვე გამისადგებოდა გულიო, ვერ ვახერხებ სკაქის მოუწავლელად გაკეთებას და ამივე დროს გულგრილად ყოფნასაო.



წ. ფალიაშვილი სკანეთში (1903 წ.)

1904 წელს შაქრომ მიმიწვია მამისერთა ირაკლის მონათლავად. თან წაიყვანე კარგად ცნობილი „ტკბილად მაგალიტო“ ქვაშეთის მედავინზე მელიტონ კახეთლიძე. როდესაც უკანასკნელმა „რაოდენთა ქრისტეს მიერ ნათელ გიღების“ დაიწყო, ივანე რატკვიელმა (ნათლია ის იყო) მიორე უთხრა, შაქრომაც ხმა ააყოლა და გამოვიდა საუცხოო trio. ნათლობის გათავების შემდეგ შაქრომ ეთქვა: ეს რა მშვენიერი კილო ყოფილაო. მიგუბრუნდი და გავეუბრე: ვინომ (რატკვიელმა) არ გაიგონოს, თორემ გაგიჯარგდება, ნუთუ აქამომდე არა გაქვს ჩაწერილიო! მართლაც, განვარტე არა უბრბობის კილოთი, დღეს თუ ხვალ ნიკოლაი შენგილი (ცხედრად) ისეთ ეკლესიას უშმადებს ჩვენს გიმნაზიას, რომ სირცხვილია, ახალ შერნაში გადასვლისათვის არ გვექონდეს ნოტებზედ ოთხ ხმად გადღებულ საგალობლები და არ გვყავდეს კარგად გაწერტილი გუნდი შეთქი. შაქრომ მიპასუხა: შენც და ვანომაც იცოდეთ, რომ ჩაწერას წინ უსწრებს ცოდნა, მე კი მართლმადიდებელ ეკლესიის საგალობლების ცოდნა თითქმის არა მაქვსო. „ვანგუშე“, შენ ოლოდნი მოკიდე ამ საქმეს ხელი შენგური გულმოდინებით და „უკოლინარს“ მე გაგზიდი „მცოდნე“ შეთქი. სტუმრებმა (დიდი ნაწილი ჩვენი მასწავლებლები იყვნენ) სიცილი დაიწყეს: დახეთ, ჩვენს წრეთში შაქროზე უკეთესი გალობის მცოდნე გვეყოლა და ჩვენ კი არ ვიცოდითო. შაქრომაც გააცინა: მომართე შაქროს: შენ მავათ ყურს უუკედებ, შაბათს, ოთხ საათზე, უტყვევლად მოდი ჩემთან და მე გაჩვენებ, როგორი მცოდნე ვარ გალობისა შეთქი...



სცენა „დაისის“ შესაშუ მოქმედებიდან (სარატოვი, 1964 წ.). დამღვპელი ე. ზავრატიანი, მხატვარი ე. ბერძენიშვილი, ღირსიორი გ. ორლოვი, მალხაზი — ა. საბოლაშვილი, შარო — გ. ტანისლაველი.

დანიშნულ დროზე შაქრო მართლა მოვიდა ჩემთან ქვა-შეიშოში, ჩავსხედით ეტლში და გავემგზავრეთ ავლაბრის ფერისცვალების მონასტერში. ლოცვა უკვე დაწყებული იყო. გალობდა ოთხი თუ ხუთი ბერი სამ ხმაზე. გუნდს ამწვენიებდა არჩილ<sup>2</sup> ბერის ტკბილი ხმა. შაქრო გამეშვებული იდგა ლოცვის გათავებამდე. საყდრიდან გამოსვლისას კი მითხრა: აქ მარგალიტების ბუდე ყოფილა, მე კი არ ვიცოდი. ამის შემდეგ აქ ხშირი სტუმარი ვიქნები და იყო კიდევაც. თუმცა შაქრო არას მებუნებოდა, მაგრამ ეს მე ბერებისაგან ვიცოდი. თვით მას კი არ ვეკითხებოდი, ვიყავი რა დარწმუნებული, რომ შაქრო ინტენსიურად მუშაობდა ამ საგანზე.

გავიდა კარგა დიდი ხანი. ერთხელ გიმნაზიიდან (უკვე ვაკეში) მოვიღობოდი: პეტრე მირიანაშვილი, დეკ. ანტონ თოთიაბაძე, შაქრო და მე. პეტრემ ყაზბეგის ქუჩის დასაწყისამდე მოგვაცილა, სადაც შაქრო უნდა დავემოზრებოდა. პეტრემ, თითქოს შემთხვევით, იკითხა: როგორ მიღის საგალობლების დაწერის საქმე? ეს შეკითხვა, რომელიც, რასაკვირველია, შაქროსადმი იყო მიმართული, უკანასკნელს, როგორც შევატყვე, არ მოეწონა. მცირედი ყოყმანის შემდეგ თქვა: დაწერით კი დაწვერე, ყოველივე შემთხვევაში, უმეტესი ნაწილი, მაგრამ დაწერილს დასტამბვა უნდა, ამას კი ფული ესაჭიროებაო. მაგისტრის რად სწუხარ, შე კარგო კაცო, — მიუგო პეტრემ. მივმართოთ გიმნაზიის გამგე კომიტეტს, ცელსოიებს, შეძლებულ ქართველებს და ფულს ვიმოწინო. აი, მე ხომ ხელმოკლე კაცი ვარ, მაგრამ ვიძლევი სიტყვას, ყოველთვიურად თითო თუმანი გავიღო ამ საქვეყნო საქმისთვის. ჩაიყო ჯიშეში ხელი, ამიიღო თუმანი და გაუწოდა შაქროს. ჩვენც მივბაძეთ პეტრეს, მაგრამ შაქრო უარზე იდგა: რა უნდა გავითვინო კერძოდ შვერებილი ფულით, სულ სხვა საქმეა კერძო პირები რომ გავერთიანდებოდეთ, შევადგენდეთ ფილარმონიული საზოგადოებას და ის გაუძღვებოდეს საქმეს.

ეს ჩემი მუშაობისათვისაც უფრო ხელსაყრელი იქნება. ხომ იცით, მე „ფრანგა“ ვარ და როცა „ფრანგების“ ყურამდე მივა, შაქრო საკუთარი ინიციატივით სწერს მართლმადიდებელი ეკლესიის საგალობლებს, მეტი რომ არა ვთქვა, არ მომიწონებენო. სულ სხვა შთაბეჭდილება მოხდება, როცა გაიგებენ, შაქრო საზოგადოების „დავალებით“ სწერს საგალობლებს. სიფრთხილე მოვეწონეთ, თუმცა იქვე შეენიშნე: მართალია, „საზოგადოება“ ერთგვარი საფარია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, იქ ჩვენი მასწავლებლების გარდა, თითქმის ვერავის შევხვდებით. მიუხედავად ამისა, მივალე საზოგადოების დამფუძნებელ წევრად, პარაკლისის ზემით გადახდა და „ორქი“ ჩემზე იყო მთელი. შაქრო შეგვიპირდა „წესდების“ შედგენას და მისი დამტკიცებისათვის ზომების მიღებას.

ამანარად დაედო დასაწყისი „ფილარმონიული საზოგადოების“ დაარსებას, წყნეთისა (მელიქიშვილის) და ყაზბეგის ქუჩების კუთხეში ჩაიყარა საძირკველი ხსენებულ საზოგადოებისა. შაქროს ენერგიული მეცადინეობით წესდებაც დაიწერა, საზოგადოებაც დაარსდა და 1908 წლის ნოემბრის 2 სკოლაც გაიხსნა, რომლის კურთხევავე წარმოთქმული ჩემი სიტყვა დაიბეჭდა იმავე წლის „მინაური საქმეების“ (ქუთაისში გამოდიოდა) 30 ნომერში. ერთი წლის შემდეგ შაქროს მიერ გადაღებული „წმ. იოანე ოქროპირის წირვის წესი“ ისტამბულოდ მოსკოვის ე. გოსსეს სტიამპში „ფილარმონიული საზოგადოების“ საფუძვლით.

1910 წლის შემოდგომაზე უნდა მომხდარიყო კურთხევა ქვაშელის ახალი ტაძრისა, ამ ერთადერთის ქართული საეკლესიო ხელოვნების ყველა ნიმუშის შემცველ შენობას თბილისში. ეკლესიის მსუვეურთ გადაწყვიტეს აღნიშნული დროისათვის მოწვევით ოთხ ხმაზედ მაგალობელი მუშები გუნდი, რომლის შედგენა სიხონოვს (პარიზის 10-ს) ფილარმონიული საზოგადოებას. უკანასკნელი სიათვინებით შეხვდა ჩვენს თხოვნას და შეუდგა 25 ტალ-ვაჟიდან შემდგარი გუნდის გაწერას. ეს საქმე თავს იდგა პირადად შაქრომ და ისე კარგად მოაზრდა უნდა, რომ ეკლესიის კურთხევის დღეს (ოქტომბრის 31) იგი მე-

2. გვარად ხელაშვილი იყო. ცნობა მოგვეწოდა პაპის ობოლაიძემ, მ. ქ.



ტოტოპას უყვდა ექსარხოსის სახელოგანთქმულ გუნდს. ორი-სამი თვის განმავლობაში ლოტარობას ეწეოდა თვით შაქრი, შემდეგ კი გუნდს დაუყენა მეთაურად ჯერ გ. დლაქიშვილი და მერე მ. ნ. სულხანიშვილი, ვ. დანთოს-კი, ზ. ჩხიკვაძე და გ. სვიანიძე, რომელთა ხელმძღვანელობას შაქრი თვალ-ყურს ადევნებდა ტაძარში არა იშვიათად ყოფნის დროს. ოთხ ხმაზე გამართული გუნდი ქართულ ინტელექტუალური მოწონებას ანიჭებდა ჯორჯეძემ წერილობრივ კი უდგენდა „სახალხო ფურცელში“. რომელშიაც, სხვათა შორის, ამბობდა, — „შენ ხარ ვენახი“ ქართველი ერის ტრაგედიის გამომხატველი საგალობელიაო. შაქრი მეტად ნასიამოვნები იყო.


მაგრამ მოგვსენებამ, ყოველივე ახალი ფეხს ნელ-ნელა იკიდებს, ძველს თავისი მომხრეები ჰყავს. ჩვენს გუნდსაც გამოუჩნდნენ მოწონებლები, მგავე პატრიოტის სახით. ერთმა მათგანმა გამომქმედებდა თავისი უმკაცროფილგმა ბრესაში, — ქართული გალობა სამშხივანია, ოთხხმინიანია კი გარუსების ნიშანი, რის დამამტკიცებელია ისიც, რომ გუნდი რუსებისაგან შეუდგებიათო. შაქრი გაცქცხლდა, სხვას რომ თავი დაეანებოთ, რომელია ჩემს გუნდში რუსო, თუ ჩემი გერი ჰყავთ სახეში, ის ხომ ბავშვობიდანვე ქართულ ოჯახშია აღზრდილი და ქართულის მშვენიერი მცოდნეაო, რა ვუყოთ, რომ გვარი რუსისა აქვსო. ახლავე გაეყვიან გუნდიდან გერსაც და დგმსაცაო. შევფევეწუ, ხუ ჩაბრობ, გუნდს რომ ვინმე გამოვკლო, ავტორი უფრო გათამამდება, უარესს დაგვიწერს. ჩვენ თუ ყურადღებას არ მივაქცევთ, ის იძულებული იქნება ხმა ჩაიკმოდოს მეტიო. შაქრი ბოლოსდაბოლოს დამეთანხმა. ერთი ორი კვირის შემდეგ ჩემთან შემოიარა ჩვენმა (შაქროს და ჩემმა) ახლი ნაცნობმა, გალობის სახეებით უკუდიწარმა ინტელექტუალმა და ვითომდაც ხუმრობით, მითხრა: „შეგაფუცხუნეთ“ თუ არაო... გაეკვირდი, მაგრამ მომაგონდა წერილის ავტორმა რამდენჯერმე მისაყვედურა, რატომ გეღესის კურთხებაზე არ დამაპტიეთო. ვთხოვე ჩვენს კრიტიკოსს, ნება მომეცი, შენი ფსევდონიმი გავაცნო შაქროს მეტიო. მივიღე ნებაართვა. შაქრომ ბევრი იცინა: ის კარგი კაცი პირდაპირ მოაწერდა თავის გვარს, რაღას იმალეობოდა, მაშინ ხომ აღარ „შეგაფუცხუნებდებოდიო“, არ მეგონა თუ ასე „დახურადვებოდა“ ეს დიხჯი ადამიანო. ამის იქით ვინც რა უნდა დაწეროს, ყურადღებას აღარ მივაქცევო.

შობამდე გუნდი მხოლოდ „წირვას“ გალობდა, საშობაოდ „მწუხრ-ციკრის“ გალობაც დაიწყო. ამას მოჰყვა ქორწილის, პანაშვილის და ანდრძის აგების „წესების“ ნოტებზე გადაღება და მათი ეკლესიაში თუ სახლში გალობა. „წესების“ შესრულებისათვის გასამრჯელოს გაღების დროს რომ ადგილი არ ჰქონოდა ვაჭრობას და მით სახელი არ გატეხიდა საზოგადოების გუნდს, შაქრომ შეადგინა და ეკლესიაში და საზოგადოების დარბაზში გამოჰქიდა (აქვე დართული)<sup>3</sup> დასტამბული ნიხრი, მორწმუნე საზოგადოება მეტად კმაყოფილი იყო ნიხრით, რომელიც სობდა ყოველგვარ უსიამოვნებას გირში თუ ლხინით უუნდის მიწვევის საკითხისას. სამწუხაროდ, აღნიშნული „წესების“ დასტამბეა შაქრომ ვერ მოასწრო. სად არის ახლა ეს წესები არ ვიცი. ჩვენს თხოვნაზე — გამოეცათ ისინი ჩვენითვის, პატივცემულმა იულია მიხეილის ასულმა (შაქროს ქვრივმა) გვიპასუხა: „ყველა ხელნაწერი წაიღესო, ალბათ კონსერვატორიაში“.

1919 წელში უნდა დაეღათ შაქროს „პირშმო“ ოპერა „აბესალომ და ეთერი“. ამ საქართველოს მუსიკისათვის ისტორიული დღის ერთი კვირის წინად, შაქრი მივიდა ჩემთან და მითხრა: მინდა „აბესალომ და ეთერის“ პირველ დადგმას კიროთ კათალიკოსი, ლეონიდ მიტროპოლიტი და სამღვდლოებაც დაესწროს და დამემაზრო. აღვუთქე, მოველაპარაკებო და შეგატყობინებ მეოქი. როდესაც დასტური მივიღე, შაქრი თვატრის დირექტორთან ერთად წარუდგინე მღვდლოებარებს და მათგან პირადად მიიღეს თანხმობა, გახარებულმა შაქრომ შემომიარა და გამიზიარა თავისი კმაყოფილება კირონის გაცნობის გამო (ლეონიდს წინათაც იცნობდა): სახე სასტიკი გამომეტყველებასა აქვს, მაგრამ საუბრის დროს „შაქრიანო“... ოპერის უკანასკნელ ანტაქტზე შაქრი შემოვიდა მღვდლოებარების ლოტეში. მათ განუცხადეს მადლობა და სიხარული ქართული პირველი ოპერის დაწერისა და პირველი დადგმის ჩინებულად ჩატარებისათვის. კირონიმა ისიც კი აღნიშნა, რომ ესა და ეს ადგილები ამადა ამ ხალხური სიმღერებებან უნდა იყოს ამოღებულიო. შაქრი ბრწყინვდა, როცა თქვენ ასეთ შეფასებას იძლევი (ორივე მღვდლოებარის კარგი მცოდნენი იყვნენ სიმღერა-გალობისა), სხვებისა არ მემინიანო, ვეცდები, რაც ამას ნაე-

<sup>3</sup> სამწუხაროდ, ხელნაწერში დასახლებული ნიხრი არ არის.

სტენა სპექტაკლიდან „დიისი“. კიანო — შ. კიანაძე, მალხაზი — ვ. გულენაძე, მარი — თ. კუხნიკოვა.



ლი აქვს, ის შევასწორო და სხვა უმჯობესი დავწერო. დანაპირი შაქრამ პირნათლად შეასრულა, — მშვენიერი „აბესალომ და ეთერი“ დაგვირგვინდა უმშვენიერესი „დაისით“.

1925 წ. აპრილის 12-ს ქართველ საზოგადოებას უნდა გადაეხადა შაქრის მოღვაწეობის 30 წლის იუბილე. გავიცხე ეს თუ არა, საკათალიკოსო სამჭოში შევიტახე განცხადება ზეიმში მონაწილეობის მიღებისათვის. საკ. სამჭო სიამოვნებით შეხვდა ჩემს განცხადებას და აპრილის 8 განმარტებით დაგვავალა მე და ივანე რატიშვილს გამოგვევთხოვა საიუბილეო კომისიიდან სათანადო ნებართვა და გვეტვირთა სამჭოს წარმომადგენლობა ზეიმზე. მიემართეთ წერილობითი განცხადებით კომისიას ნებართვისათვის, ადგილთქვეს, მაგრამ ზეიმის დღეს გამოგვიცხადეს. ნებართვას ვერ მოვცემთ... რამდენად სასიამოვნოდ დარჩებოდა სამჭოს ეს უარი, გასაგებია. მეტად გულნატკენი დარჩით მე და ვანო რატიშვილიც. შაქრის ნიჭი ჩვენს თვალწინ იხრდებოდა და ვითარდებოდა თხუთმეტი წლის

მანძილზე. იძულებული გავხდით დამზადებული ადრესი და ნოტების ჩასალაგებელი „პაპკა“ მიგვერიმია შაქრისათვის ბინაზე. დანიშნულ დროს სახლში დაგვხვდა შაქრი და მისი მუღლუც, ძმა ვანო და დები. წაგვეითებე ადრესი, შაქრის ცრემლები გადმოსცივდა, — ასეთი შეფასება ჩემი მოღვაწეობისა ზეიმზედაც არ მომისმენიათ, ადრესის გულწრფელობა და უბრალოება აიხსნება იმით, რომ იგი დაწერილია მათ მიერ, ვის წრეში ვატარებდი? ჩემი ცხოვრების შეგნებულ და საუკეთესო ნაწილსა. შაქრი ალღულა, მოავნდა ბეჭერი რამ გინმასიის ცხოვრებიდან. ჩვენ რამდენჯერმე დავაპირეთ ადგომა და წამოხვალა, მაგრამ არ გამოვივსევა, ცოტა კიდევ მოითვალდეთ, ძველ ამხანაგებს, ისიც უხუცესებს და ორს ერთად, აბა როდის ვნახავთ კიდევო, მინდა თქვენთან საუბრით „გაგძღვ“ და დაეტკებო. გამხიარულეულ შაქრის თავი ძლივს დავაღწიეთ. თურმე ეს საუბარი შაქრისთან უკანასკნელი იყო: ამის შემდეგ იწვიათად თუ შეხვედრებივარ მას (ქუჩაში) და ორიღვე სიტყვით მოგვაკითხავს ერთმანეთი.

## უცნობი წიკილი ზაქარია ფალიაშვილზე

ღიმი კომპოზიტორი და საზოგადო მოღვაწე ზაქარია ფალიაშვილი მწიფებდა ხალხთან სისხლბორცველად იყო დაკავშირებული. ქართული ხალხური სიმღერების ჩაწერის მიზნით მის მიერ ორგანიზებულმა ექსპედიციებმა საქართველოს სხვადასხვა მხარეში და აღმოჩენილი ძვირფასი ფოლკლორული მასალის გამოქვეყნებამ ერთბაშად მიიქცია სპეციალისტთა ყურადღებაც. სწორუბოვანი ქართული ოპერის „აბესალომ და ეთერის“ დაბადებამ კი მამოწვევ გახსნაზღვრული ინტერესი აღძრა.

1919 წლისთვის ზაქარია ფალიაშვილი ერთი ოპერისა და რამდენიმე კამერულ-ვოკალური ნაწარ-

მოების ავტორი იყო, რაც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა მისი აღიარებისათვის. ქართველი ხალხის მუსიკალურმა პოტენციამ იფეთქა ზ. ფალიაშვილისა და მისი თანამოღვაწე კომპოზიტორების შემოქმედებაში.

ჩვენს მიერ რუსულ ჟურნალ „ორიონში“ (1919 წ., № 2) მიკვლევონა თბილისის კონსერვატორიის პროფესორის, გამოჩენილი მუსიკოსის თომას პარტმანის წერილი „ზაქარია ფალიაშვილი“. იგი აგრეთვე ავტორია ფრიად მნიშვნელოვანი წერილისა „ჩემი შეხვედრები რინარდ შტრაუსთან“, რომელიც იმავე ჟურნალ „ორიონში“ დაბეჭდილი და სხვ.

ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი პარტმანის წერილი ძალზე საყურადღებოა. იგი არა მარტო ისტორიული მნიშვნელობისაა, არამედ სათანადო ადგილს დაიკვიდრებს ფალიაშვილის შემოქმედების შესწავლა-შეფასებისას. ეს წერილი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ქართული მუსიკალური კულტურით დაინტერესებულ მკვლევარებსა თუ ისტორიკოსებს.

თ. პარტმანის აღნიშნული წერილი არ არის შეტანილი 1966 წელს გამოცემულ ბიბლიოგრაფიულ კრებულში „ზაქარია ფალიაშვილი“.

აი, ეს წერილიც:

შახტანა სიდაშინიძე.

პარმუსი სიმღერა ხალხური მრავალმხიანობის საუკეთესო გამომსახველია, რომელიც მოგვაცხადებს შავთვალწარბა ღამაზე ჭალს, აღმოსავლეთის სამოსელში, ქრისტეს ჯვრით, წმინდა გიორგის კურთხევით. აქ მე გვულისხმობ მრავალი ქართული სიმღერის დამახასიათებელ თვისებას — სპეციფიკურ ქართულ კვლესიურ ხასიათს. ეს თავისებური ქართული კვლესიურობა ზოგიერთი სიმღერისა შეადგენს მათს განსაკუთრებულ სიმშვენიერეს. სიმღერების განხილვას თეორიული თვალსაზრისით შემდგენისათვის გადავებ, ახლა კი მინდა ვილაპარაკო ზაქარია ფალია-

შვილის შესახებ, რომელიც არის შემოქმედი უკანასკნელი უდიდესი მოვლენის თბილისში, ავტორი ხუთნი „მეგობრნი ქართული ოპერისა, შემკრები ქართული სიმღერებისა. სწორი იქნება თუ არა მის ნაწარმოებს პირა ვუწოდოთ? ცოტაა შიგ საოპერო თვისება, რომელიც ახასიათებს დასავლეთის ვაგნერის წინადროინდელ სასცენო ვოკალურ ნაწარმოებებს. მეორე მხრივ, აქ არაფერია მუსიკალური დრამისაც, თუ არ მივიღებთ შევდევლობაში აბესალომ და ეთერის თემებს. ვფიქრობ, რომ ნამდვილ სახელს „აბესალომ და ეთერისათვის“ გამოვინახავთ და მის კულტურ-


რულ მუსიკალურ მნიშვნელობას გავიგებთ მხოლოდ მაშინ, თუ ამას დავუკავშირებთ. ერთი მხრივ, ავტორის მიერ მოღვაწეობას და, მეორე მხრივ, ქართულ ხალხურ სიმღერას, რომელიც არის არამც თუ მუსიკალური მასალა ოპერისათვის, არამედ ყოველთვის იყო გზის მამვენებელი ვარსკვლავი ავტორისათვის და იგი ბევრ ხიფათს გადაარჩინა.

„აბესალომ და ეთერი“ სამართლიანად არის ქართული სიმღერის ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი და ამიტომ მის ავტორზე უნდა ვილაპარაკოთ, როგორც მოღვაწეზე სახალხო სიმღერის სფეროში, რომლის შესაკრებად ბევრი იღვწა. ძალიან დამახასიათებელია, რომ ფალიაშვილის ცხოვრებაში ბევრი ისეთი გარემოება იყო, რომელსაც შეეძლო შეეცვალა მისი გზა. გზა ხალხური სიმღერისა; როგორც ვიცით, ფალიაშვილი ორღანისტია და კათოლიკურ ეკლესიაში კარნაკტილი სამახურისას რეჟიჟემის შესისი მიმზიდველ ფორმას შეეძლო სამუდამოდ მიეპყრო მისი ყურადღება როგორც კომპოზიტორისა, მით უფრო, რომ იგი სწავლობდა სერგო ტანევეთან, რომელიც თანამედროვეთა შორის საუკეთესო მცოდნე ამ ფორმისა. გარდა ამისა, ფალიაშვილი მშაა ცნობილი საოპერო კაპელმეისტერისა, თვითონაც საუცხოო კაპელმეისტერია, (ეს ახლაც დაამტკიცა, როდესაც დირიჟორობდა საკუთარ ნაწარმოებს). ყველა ამ გარემოებას შეეძლო წარმოეშვა დასავლეთ ვეროპის ტიპიური კომპოზიტორი და არა მხოლოდ ეკლესიური სასიათისა, ყოველ შემთხვევაში საოპერო, რომელიც დაწერდა რამდენიმე ოპერას „დემონისა“ და „ოლატისა“ შვაგასა და, მაგრამ ეს არ მოხდა. თავისი მასწავლებლის ტანევეის მოღვაწეობაში მან კპოვა ის მიჯნები, რომელთაც უწევნეს გზა ხალხური სიმღერების შესაკრებად. წარსული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ტანევეი, მაქსიმე კოვალევაკისა და პროფ. ივანეკოვთან ერთად იყო სვანეთში, სადაც შეაგროვა მეტად საინტერესო სასიმღერო მასალა. შეიძლება მასწავლებლის მაგალითმა მიუთხინა ფალიაშვილს ზედა სვანეთზე, სადაც ტანევემა ფეხის ტვილის გამო ვერ მოახერხა ასვლა და, რაც ვერ შეძლო მასწავლებელმა, დაასრულა მისმა მოწაფემ. სვანური სიმღერე-



მარო — ნუცა შიქელაძე.

ბის შეკრება დიდ სამსახურად უნდა ჩაეთვალოს ფალიაშვილს, რომელსაც გარდა ამისა, სხვა მრავალი სიმღერა აქვს შეკრებილი. ნაწილი ამ სიმღერებისა ხელნაწერის სახითაა, რომელთა გამოქვეყნება კულტურული მოთხოვნისა უნდა უნდა იყოს ყველასათვის, ვისთვისაც მჭირფასია ხალხური მუსიკა, ვისთვისაც ნათელია მისი კულტურული მნიშვნელობა. ფალიაშვილის მიერ ჩაწერილი სიმღერე-



სცენა სპექტაკლიდან „დისი“ (საოპერო სტუდია). კიაზო — ლ. გომაძე, მარო — თ. თაქთაქვილი, მალახვი — ა. ვოგოლაშვილი.



ბის ნაწილი დამუშავებულია გუნდისათვის acapelle და აგრეთვე ორკესტრის აკომპონიმენტისათვის. სამწახაროდ, ამ ნაშრომთა მხოლოდ მცირედ ნაწილია გამოცემული, მაგრამ რაც გამოცემულია, ისიც მეტად საინტერესოა. ნაზი შინაგანი განცდა თვით სიმღერის სულისა, პარმონიზაციის ხასიათი, რომელიც გამოდინარეობს დამუშავებული სიმღერის არსებიდან, შემოქმედებითი ნათესაობა ავტორისა მშობლიურ სიმღერებთან — აი, დამახასიათებელი თვისებანი ფალაშვილის ნაშრომისა. ვფიქრობ, რომ ეს რვა ქართული სიმღერა ახლო მომავალში მუდმივად ნაწილი იქნება სიმფონიური კონცერტების პროგრამებშიც, იმდენად მომნიშობელი არიან ისინი თავიანთი სინამდვილით, რომელსაც აღიერიტებს გონივრულად თანდართული ორკესტრი. მაგრამ ამ კრებულისად ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა გასაოცარმა მურმანმა, სიყვარულის მშვენიერმა სიმღერამ და ორიგინალურმა სეპსურმა „ვი და ვომ“. ძალიან ეფექტური უნდა იყოს „გოგონა“, რაც შეეხება „ხალხური პარმონიზაციის“ კრებსა, რომელიც შეიცავს თვით ფალაშვილის მიერ ფონოგრაფული ჩაწერილ ხალხურ სიმღერებს, მეტად ძვირფასი წილითა ხალხური მუსიკის საგანძურში.

ფალაშვილის განსაკუთრებულ ღირსებად ის მიჩანია, რომ ჩაწერის დროს იგი არ „შეასწორებდა“ ხალხურ სიმღერას, არამედ სწამდა მისი სიბრძნე, თვით სწავლობდა მისგან და დატოვა უეჭოდღა იმ ხასიათი, როგორც მოისმინა ხალხური მომღერლისაგან, ამით საშუალება მოეცა ამ გასაოცარი წინაშემის თეორიული შესწავლისათვის. მაგრამ გარდა ნომედა თეორიული მნიშვნელობისა, ამ კრებულს, რასაკვირველია, ფრიად დიდი კულტურულ-ესთეტიკური დარბეულება აქვს. იმედია ახლო მომავალში სახალხო გუნდების საზოგადოებანი დაარსდება არა მხოლოდ თბილისში, არამედ საქართველოს სხვა ქალაქებშიც. სოფლის ხალხი კარგად იცნობს თავის მშობლიურ სიმღერებს. ქალაქური კულტურის წყალობით ხალხი ხშირად ივიწყებს თავის სიმღერას და შეაგრება მისი სიყვარულიც. ამანარ საზოგადოებათა შიგარე ცენტრი უნდა იყოს თბილისში, იგი მიაწოდება სასიმღერო მასალას თავის უმცროს ძმებს. წელიწადში რამდენჯერმე ეს გუნდები თავს მოიყრიან საუბნოდ დღეხასწაულზე და წარმოდგენილი მაქვს რა გრანდიოზულ შთაბეჭდილებას მოახდენდა თუნდაც „წმინდა გიორგის ჰიმნი“, „აიღოშაშა“, „მუზრანია“ და სხვა იმ მომღერალთა მრავალრიცხოვანი გუნდის მიერ შესრულებული, რომელნიც გამსჭაღულენი არიან სახალხო სიმღერის სიყვარულით. ყველაფერი ეს ახლო მომავლის საქმეა. სიმღერის ინტერესი და აგრეთვე კარგი ხმები ქართველ ხალხს მოეპოვება. დროა საქმის დაწყებისა.

გარდა სხნებულ ნაწარმოებთა, ფრიად ძვირფასია ზაქარია ფალაშვილის „წირვა“, დამუშავებული დიდი გუნდისათვის. იპოლიტოვ-ივანოვის მიერ ჩაწერილი ხმების მიხედვით, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის გარემოებაც, რომ ფალაშვილი იპოლიტოვ-ივანოვის მიერ ჩაწერილი ხმების დამუშავების დროს ყოველთვის ცდილობდა აღედგინა საცელესი ხმების დღენი, რომელიც იპოლიტოვ-ივანოვს ჩაწერილი ჰქონდა. სხვანაირად, ვიდრე ეს მიღებულია ქართლ-კახეთში. ქართული საცელესი გლობის ცემა ცოდნამ აიძულა ფალაშვილი შეეტანა ზოგიერთი ელემენტები იპოლიტოვ-ივანოვის ორიგინალში. გარდა „წირვისა“, რომელიც დაბეჭდილია, ფალაშვილის გამზადებული აქვს ბევრი სხვა საცელესიო საგლობელი. მათი გამოქვეყნება ახლო მომავალში ფრიად დასურველია

არა მარტო ქართველებისათვის, არამედ რუსების გელესიოსათვისაც, რომლის სასულიერო საგლობელნი ხშირად წარმოადგენენ უნიკო ლიტურგიების ნაწარმოებებს. საცელესიო გლობის ჭეშმარიტ მოყვარულთათვის, მათთვის, ვინც ეძებს ხალხის რელიგიური გრძნობის ნამდვილ გამოხატვლებას, რომელმაც თავისი ღრმა რწმენით გარდაქმნა არამარტო ქართული საცელესიო მელოსი, არამედ მისი პარმონიული სამოსი, ამათვის ფალაშვილის „წირვა“ ყოველთვის იქნება წყარო სულიერ განცდათა.

რაც შეეხება ფალაშვილის „მწუსრს“, მე გგონია მისი შესრულება სასულიერო კონცერტზე ძლიერ შეეწყობა მისთვის დასაცვლებლად თუნდაც ხელნაწილის სახით, რადგან ნოტების დაბეჭდვა დღეს მეტად საძნელთა დასავლეთ ევროპაში ერთი კარგი ჩვეულება აქვთ — სულიწმინდის მოწვევის დღეს გამოათავებ ხოლმე თვალსაჩინო საცელესიო საგლობელთა კონცერტს.

ახლა გადავალ ზ. ფალაშვილის მოვარე ნაწარმოებ „აბესალომ და ეთერზე“. უწინარეს ყოვლისა მინდა ავცნო მინი, რომ ამ ნაწარმოებს შემდეგ შევხვით სხვაფერი, ვიდრე დასავლეთ ევროპის უმემკვიდრეს ჩვეულებრივ ოპერას. პირველი — მისი წარმოშობა არ უნდა შევადაროთ გლინკას ოპერების წარმოშობას, ვინაიდან მამინდელი სულიერი განცდა და დღევანდელი სულ სხვადასხვა და ყოველი მსატრული ნაწარმოები ხომ გამოხატველია თავისი დროის სულიერი განწყობილებისა. მეორე — მუსიკალური მასალის გამოხატვის ფორმა დღეს სხვადავარია, ვიდრე ეს იყო გლინკას დროს. გლინკას ორივე გენიალური ნაწარმოები თუმცა რუსული სულით არის გატყუებული, მაგრამ წარმოადგენს დასავლეთ ევროპის საოპერო წერის უადრეს გამოხატვლებას, სტილის საუკეთესო მცოდნე. ტანევეისაა ზამთარ „რუსლანის“ პირველი აქტი თავისი მუსიკალური გაძქურის სიფაქიზით შეიძლება შევადაროთ მოცარტის ანსამბლებს, ადამიანის გენიის ამ უდიდეს შემოქმედებას. თუ გლინკას დაუპირისპირებთ მისდროინდელ დასავლეთ-თურქობულს, უპირატესობა პირველს უნდა მიეცეთ, ვინაიდან მისი თანამედროვენი დაძველდნენ, იგი კი ისევ ახალია. ზ. ფალაშვილის ნაწარმოების შესახებაც უნდა გავივიშოროთ — ახლა სხვა დროა.

... მე რომ მეთობინ: რა სახეს დაეკრძვედი „აბესალომს“ ფორმის მხრივ, ვიტყვიდი — ესაა სასცენოდ გამოთქმული სიმღერა სასცენო წარმოებისათვის. ეს დროის შესაფერი ახალი ფორმაა, დიდ ღირსებად უნდა ჩაეთვალოს ავტორს. ეს სასცენო სიმღერა არ წარმოადგენს მხოლოდ დამუშავებულ ეთნოგრაფულ მასალას, არამედ შეიცავს ორიგინალურ მუსიკასაც, რომელიც გაცილებთ აღმსატება წმინდა ხალხური თემებს. მართალია, ამ თქმულ გრძნობთ ხალხური სიმღერებიდან წარმოშობილ მელოდიურ მიმხობრებებსაც პარმონიასაც, მაგრამ მით უკეთესი ოპერისათვის, სწორედ იმითმ, რომ ფალაშვილის ნაწარმოები არის დიდი სიმღერა, შეიძლება რამდენამდე ეპოური ხასიათისა, მაგრამ ეს აიხსნება აგრეთვე, ვთქვათ, სიღნიჯით მუსიკისა, რომელიც ეკუთვნის ოპერის შინაარსის ბილიერ ხასიათს, აგრეთვე ტრავარტული დრამატისხის უკაოფით. ფალაშვილიმ გრამაზობ აბესალომ და ეთერის სვედანი პოეტური სიყვარული და გვიამო სადად. ფალაშვილის სიმღერის გმირებისთვის უნდა გავივიშოროთ მათეს სიტყვები: „ორივე უნდა მოკვდეს, რადგან ძლიერ უყვართ ერთმანეთი“, და ეს ვარდისფერი სვედა, არა მყვირალი, არამედ წყნარი, გულითად, დაფრქვეული მუსიკა მოქმედებამი, რომელიც საუკეთესო ჩაწილია მიერღი ოპერისა.

პირველ ადგილს რომ მიეხუთე მოქმედებას ვუთმობთ, სრულებით არ მინდა დაგვრდილო პირველი ორი სურათის საუცხოო ფურცლები, ნადიმის ღამაში გუნდები, ეფექტური ცეკვა, მეოთხე მოქმედების დასასრული, და სწორედ იმიტომ, რომ ფალიაშვილის სიმღერის პოეტური ლეიტმოტივის მწვერვალი მესუთე მოქმედებაშია. ასე კარგად დაწვირა იგი ავტორმა. ახლა თუ შევიხებით ოპერის ტექნიკას, უნდა ვთქვათ, რომ მუსიკის მხრივ იგი დაწერილია ნამდვილი მუსიკოსის გამოცდილი ხელით, როგორც მხოლოდ შეიძლება იყოს ს. ტანევეის მოწაფე, მაგრამ, ამას გარდა, ყველგან ჩანს ავტორის სიყვარული და პატივისცემა იმ ხალხის მუსიკალური მემკვიდრეობის წინაშე, რომელსაც იგი ეკუთვნის. სწორედ ამ გარემოების მეშვეობით ფალიაშვილის ნაწარმოებს ექნება დიდი მნიშვნელობა ქართული მუსიკის განვითარებისათვის. ამბობდნენ, რომ ინსტრუმენტების ხმარების მანერა ფალიაშვილის ოპერაში მძიმე მთაბეჭდილებას სტოვებს. შეიძლება ეს შეეხება იმას, რომ ავტორი ხშირად მიმართავს სპილენძის საკრავებს, რომელთაც „აბეჯალომში“ საერთოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი, მაგრამ ვიტყვი: თბილისის ორკესტრს რომ მოეპოვებოდეს იმდენი სიმებიანი საკრავი, რამდენიც აქვთ დასავლეთის თეატრებს, ეს ხშირი ხმარება სპილენძის

ინსტრუმენტისა თითქმის მიიჩნეოდნენ, გაკრებოდა სიმების ხმებში. მაკონდება მიუნხენის თეატრში დადგმული „მილიჩენის მოლოხი“, სადაც სპილენძის საკრავი ყოველ ნაბიჯზე გვხვდება, მაგრამ ეს სრულებით არ ახდენს არასასიამოვნო მთაბეჭდილებას, ვინაიდან ყოველთვის მძლავრად გაისმოდა სიმებიანი საკრავის ხმა. ვიტყვი ამახაც: ახლანდელ პირობებში სპილენძის საკრავების შემცირებამ „აბეჯალომში“ შეიძლება შეასუსტოს ორკესტრის ძალა.

ვათავებ წერილს და გამოვთქვამ გულწრფელ სურვილს, რომ ფალიაშვილმა მალე განაგრძოს თავისი საკომპოზიტორო მოღვაწეობა სწორედ იმ სასცენო შემოქმედების სფეროში, რომელიც ფორმის მხრივ, ჩემი ღრმა რწმენით, უფრო უახლოვდება ხალხურ მუსიკას, ვიდრე სიმფონია, კვარტეტი, ორატორია, უფრო და უფრო სრულ შეგნება ხალხური სიმღერის არსებისა, მისი კანონების მოთხოვნილებისა, ფალიაშვილს საშუალებას მისცემს ქართულ მუსიკას მიუძღვნას ახალი ნაწარმოებები, რომლებიც ძვირფასი იქნებიან არა მხოლოდ ფალიაშვილის მშობელი ერისათვის, არამედ ყველა იმათთვისაც, ვისაც უყვარს ხელოვნება ახალი გზების ახალი შესაძლებლობისა.

ასთავაკიძის საკითხები

# გეგენიერება და ხელოვნება

ვიკი ბარამიძე




„ხომ არ გგონიათ, ქალბატონო, რომ თქვენი სილამაზე განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენს ჩემთვის? თქვენს სახეს მე ვუცქერია როგორც უფრო მშვენიერი სულის აღთქმას, ვიდრე თვით თქვენ ხართ.“

ბალზაკი. „შაგრენის ტყეა“.

არაჩვეულებრივად ღამაში უცნობი ქალი პაპლო პიკასოს თაღაპირველად ზუსტად ისე გამოხატა ფერტიკოზი, როგორც იგი სინამდვილეში გამოიყურებოდა.

მისი მომხიბვლელობის საოცარმა სინთეზმა თითქოს თავისთავად გამოაღიზიანა მხატვრის ესთეტიკური იდეალი. ცოცხალი ნატურის შესაფერისად, პორტრეტული „ქარმონიულად გაერთიანდა“ სხვადასხვა რასის ქალური სილამაზის ამერიკული ნარევი. თავის დროზე ხომ სიზმრადაც ვერ წარმოედგინათ ცალკეულ მშვენიებათა თავმოყრასე მყოვნებე მხატვრებს — ალბერტის, რაფაელისა და დიურერის, თუ ბუნებას ამგვარად შეეძლო ერთ პიროვნებაში შეეთავსებინა მრავალთა მომხიბვლელობა. პიკასოს ქო უცებ „გაუღიმა ბედმა“. უცნობი ქალის დამატყვევებელმა სილამაზემ მას ერთბაშად მისცა შესაძლებლობა ნახვისთანავე



ო. როდენი.

მშვენიერი ოლმეირი

მთლიანობაში აღეჭვა ბერძნული პლასტიკურობა თუ ფრანგული სისადავე, პოლონური გრაციულობა თუ იტალიური სიხადადე, ესპანური კდემამოსილება თუ კავკასიური სილაღე...

რა თქმა უნდა, ეს ნახევრად შიშველი ამერიკელი ქალი, მხოლოდ დამესავით მუქი თმებითა და დღესავით ნათელი სახის დახვეწილი ნაკეთობით, გედვიით მიღერილი ყელკისრით და ოდნავ დახრბილი მხარ-მკლავებით, სახეე მკერდითა და მოქნილი წელებით, ნატიფი თეოქობითა და ჩამოსხმული ფეხებით ვერ წარმოისახებოდა ესთეტიკურ იდეალად, მხატვარს რომ მასში თუნდაც საკუთარი წარმოდგენით არ შეეცხოს ის შინაგანი, ღრმადა აღმაიანური ღირსებებები, რომლებიც მშვენიერების არსებით ნიშნებს წარმოადგენენ. უცნობის მთელ მომხიბვლელობაში პიკასომ მართლაც შესძლო გამოეხატა: სულიერი სიწმინდე, მოყვასი ბუნება, სიკეთის გრძობა, ქალური ინტელექტი და კეთილშობილება...

პორტრეტის პირველ ვარიანტს მალე მეორეც მოყვია, მეორეს — მესამე და... ასე შეიქმნა პაბლო პიკასოს „უცნობი ქალის“ პორტრეტის ცნობილი ათი ვარიანტი.

„ეს ხომ ღორია კუმბი“, — წამოიძახა ერთმა დამსწრემ პიკასოს ნაწარმოებთა გამოფენაზე მოსოვში, როცა კედელზე სხენებული ამერიკელი ქალის მეთაე პორტრეტს

შეხედა — და, როგორც თვითონ ამ შემთხვევის აღმწერილია ერენბურგი იხსენებს — „ოდნავადაც არ დამჭკებულა, რომ მათეე „პორტრეტი“, რომელმაც იგი ალტაცე-ბაში მოიყვანა, ამავე დროს იყო პირველი პორტრეტი „კუბისტური ღირსი“...“

ამ ფაქტში ბევრი რამ არის ნიშანდობლივი მშვენიერებისა და ხელოვნების საკითხთან დაკავშირებით. იგი საუკეთესო დადასტურებაა იმისა, რომ სინამდვილისა და ხელოვნების მშვენიერებას, გარდა განსკრული ურთიერთკავშირისა, განმასხვავებელი სპეციფიკური ნიშანთვისებებიც გააჩნია, რომ მათი პრინციპული დაპირისპირება (რომელი უფრო მაღლა დგას) არც თუ მთლად მიხანშეწონილია. თითოეული ერთმანეთისაგან გაუთიშავად, თავის ღირსეულ შეფასებას იმსახურებს. და თუ ხშირად ერთს სინამდვილის მშვენიერება უფრო ურჩვენია, ვიდრე ხელოვნებისა, ხოლო მეორეს — პირიქით, ეს წმინდა სუბიექტური თავისებურებებით უნდა აიხსნას და არა რომელიმე ცალკეული უპირატესობით.

ცნობილი პარნასელი პოეტის ტეოფილ გოტიეს ხატოვანი თქმით თუ „...ანტიკური ხელოვნების მუხუდში ბალზაი ვენერა მიღოსულს განსაკუთრებული აღტაცების გარეშე შეაყურებდა, მაგრამ პარიზელი ქალი, უკვდავი ქანდაკების წინაშე მდგარი, გახვეული ქიშმირის გრძელ მოსახსამში, რომელიც კისრიდან ქუსლებამდე ვეფება და ერთ ნაკესაც აქა აქნის, მაქმანებითანი რიდფოსსმული ქუდიითა და მუწვნირის ვიწრო ხელთათმანით, არმიაშეშოვლებული კაბის ქვეშოდან გამოიწული ჭრიჭინა ლაქის ფესაცემის წვერით, — ეს ქალი აიძულება ბალზაის თვალებს საიამოვნებით ებრწყინათ...“ თვით ტეოფილ გოტიეს „გემოვნებით ვენერა მიღოსელი უკეთესია“.<sup>2</sup> ხოლო დიდი გერმანელი პოეტი ჰაინრიხ ჰაინე მარმარილოსაგან გამოკვეთილ ამ მშვენიერ ქანდაკებასთან სიკვდილსაც კი ამჟობინებდა. ესთეტიკური აზროვნების ისტორიიდანაც ამ მხრივ ყველაზე მკვეთრ მაგალითს ჰეგელის მიერ ხელოვნების მშვენიერებისა და ჩერნიშევსკის მიერ სინამდვილის მშვენიერების უპირატესობის აღიარება წარმოადგენს. მაგრამ, ვიმეორებთ, რომ თვით საკითხის ამგვარად დაყენება (რომელი უფრო მაღლა დგას) რამდენადმე მიხანშეწონილია, რადგან საბოლოოდ სხენებულ არგუმენტაციებთან სინამდვილისა და ხელოვნების მშვენიერებას ერთმანეთთან მაინც ანტაგონისტურად აპირისპირებს.

თავის მხრივ, ამ მიხანშეწონილობას უნებურად თვით ჰეგელისა და ჩერნიშევსკის ესთეტიკური შეხედულებებიც ადასტურებენ. ჩერნიშევსკისეული სინამდვილის მშვენიერებას არსებითად მხატვრული გემოვნებით განმტკიცებული ესთეტიკური იდეალი უდევს საფუძვლად, ხოლო აკველი-სეული ხელოვნების მშვენიერებას სინამდვილის მშვენიერების ღრმა ცოდნა განაპირობებს. ასევე ითქმის ბალზაკისა და ჰანტეს მაგალითებზეც.

ბალზაკის „უცხო შედევრის“ გმირი, სახელმწიფოებელი და უკვე ხანდაზმული მხატვარი ფრენოფერე ახალგაზრდა მხატვარ პორბუთან კამათის დროს კარგად გამოხატავს თვით ბალზაკის შეხედულებას ხელოვნების მშვენიერების შესახებ: „ხელოვნების მისის ის კი არაა, რომ სინამდვილე გადახატო, — ეუნებუა იგი პორბუსს, — არამედ ის, რომ იგი გამოხატო! შენ ასლის ბეჩევი გადამღები კი არ უნდა იყო, არამედ — პოეტი!... ასე რომ არ იყოს,

<sup>1</sup> Графика Пикассо. М., «Искусство», 1967 г., стр. 13.

<sup>2</sup> იხ. იხ. ბალზაკი, „საპკოთა მწერალი“, თბილისი. 1959 წ., გვ. 9.



მოქანდაკე თავს დაანებებდა ყოველგვარ მუშაობას და ქალის ფიგურას ყალიბით ჩამოსახმდა. აბა სცადე, ჩამოსახსი ასლი შენი სატრფოს ხელისა და დიდე წიხ. შენ დანახავ სახარულ ლეშს, რომელსაც ორიგინალთან არავითარი მსგავსება არ ექნება. შენ იძულებული იქნები იმ მოქანდაკის საჭრეთელს მივაქთხო, რომელიც ასლის ზუსტად გადლების გარეშე განასახიერებს მოძრაობასა და სიცოცხლეს. ჩვენ უნდა დავიჭიროთ მოვლენათა აზრი, სული, ხასიათი“.

სავოლისხმოა ეს წინააღმდეგობა გოტიეს შეხედულებისა ხელოვნებისადმი ბალზაკის დამოკიდებულების შესახებ და საოცარი თანადამსხვევავა ჩვენს მიერ სწავნილებული პიკასოს მაგალითისა. „უნდა დავიჭიროთ მოვლენათა აზრი, სული, ხასიათი“. ასეთი აზრების მატარებელს არ შეიძლება, სინამდვილას მშვენიერების აღიარებასთან ერთად, ხელოვნების მშვენიერებისთვისაც განსაკუთრებული აღტაცებით არ შეეხნა. რაც შეეხება პანინა, ვენურა მილოსკელის თავყინისცემასთან ერთად, მას ასევე შეეძლო ქვიშ მოეხარა სინამდვილის ცოცხალი მშვენიერების წინაშე, თუნდაც იმავე ქალის სახით (ჩვენ სავანებოდ ვამაჯვალეთ ყურადღებას ქალის მიმართ, რადგან, როგორც სინამდვილეში, ასევე ხელოვნებაში იგი ოდითგანვე მშვენიერების სიმბოლოა), რაკი შეეძლო მისთვის მუხად ქცეული ამ ქვნილების იდილიური იერის, „ტრფობით დანისლული“ დიდრონი შავი თვალების, მოქნილი, ამალეებულად ენებანი და მიწიერი მშვენიერებით აღსილი სხეულის დანახავზე პოეტური ცეცხლით ანთებულყო.

სინამდვილე და ხელოვნება ყოველთვის ავსებენ ერთმანეთს. საზოგადოებრივი ადამიანის ცხოვრება წარმოუდგენელია ამ ურთიერთდამოკიდებულების გარეშე, რომლის საფუძველზედაც მშვენიერებას სრულფასოვნება ენიჭება ადამიანი, რომელიც სინამდვილის მშვენიერებისაგან განიცდის ესთეტიკურ სიამოვნებას, ასე თუ ისე, უკვე მხატვართა, იგი ავტორია დაუწერელი, მაგრამ სულში დრამად აღებჭდილი „ხელოვნების ნაწარმოებისა“ და რაც უფრო დიდა მასში „მხატვარი“, მით უფრო სრულყოფილია ესთეტიკური განცდაც. მხატვრულ ასახვას ყოველთვის უშუალო გაგონი აქვს სინამდვილის ესთეტიკურ ათვისებასთან. ბუნების „მხატვრულ ნაწარმოებსაც“ ის უფრო უკეთესად აღიქვამს, ვისაც დიდი ესთეტიკური გემოვნება და მხატვრული დანახვის უნარი აქვს, ვიდრე ის, ვინც ვერ კიდევ მხატვრულად და ესთეტიკურად ჩამოუყალიბებელია (გავისვენოთ თუნდაც მხატვრულად ჩამოუყალიბებელი ადამიანის მიერ რაფაელის ღვთისმშობლის ყალბად შეფასების მაგალითი დენი დიდროს ნაამბობიდან. ეს კი სინამდვილისადმი დამოკიდებულებაზეც ვრცელდება).

სინამდვილისა და ხელოვნების მშვენიერებისათვის ყოველთვის ერთნაირად დამახასიათებელი როდია ფორმისა და შინაარსის პარამონიული ერთიანობა. სხვადასხვაა მათი გამოსახვის საშუალებაც. ზოგჯერ, როცა მშვენიერების ფორმისა და შინაარსის ერთიანობაზე ვლაპარაკობთ, იგულისხმება არა ყოველგვარი „პარამონიული მთლიანობა“, არამედ შინაარსის როგორც ესთეტიკური იდეალისა და მისი შესატყვისი ფორმის ერთიანობაც. ან. დრემლის მართებული შეზენისა არ იყოს, თუ მშვენიერებად ჩავთვლოთ ყოველგვარ „პარამონიულ შეთანხმებას“, მშვენიერებადვე უნდა ვაღიაროთ ყოველი ამორალური საქციელი, რომელშიც ფორმა „პარამონიულად იქნება შეთავსებული“ შინაარსთან.



ფ. ლანგ.

ფლორა

როგორც ჩანს, ეს ჭეშმარიტება ძველ ბერძნებს კარგად გაეგონდათ. ისტორიამ ლეგენდად შემოგვინახა ამბავი ღვთის ურწმუნოებისათვის სამართალში მიცემული ულამაზესი მეძავის ფრინას შესახებ, რომელიც მხატვრულმა ერთხმად გაანთავისუფლეს, რათა მხატვრებისათვის არ მოეკლოთ შესაძლებლობა მისი უზნეო შინაარსის — მეძავობისათვის დამახასიათებელი შესატყვისი ლამაზი ფორმის გამოსახარებად.

და თუ, ამასთან დაკავშირებით, ისევ ჩვენს თავდაპირველ მაგალითს დავბრუნდებით, ნათელი უნდა გახდეს, რომ პიკასო, რომელიც მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, კი „არ ეძებს ახალ ფორმებს, არამედ პოულობს მათ“; პიკასო, რომელიც თურმე მხოლოდ იმისკენ ისწრაფობს, რომ „ის გამოსახოს, რაც მას სურს“, პრაქტიკულად წინააღმდეგობაში აღმოჩნდა თავისივე პარადოქსალური თეორიის მიმართ. მეტნისა და სინამდვილის არსში წვდომის, „მოვლენათა აზრის, სულის, ხასიათის“ აღმოჩენის გარეშე მხოლოდ ფორმის „უქნითი ქსოვილით“ ყალიბდ გამოძადას „ერთობი“, რაც მას „უქმნელად უპოვია“, არსებია და ის არ გამოვლიდა, რაც მას უნდოდა გამოესახა. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი აღარ შეუდგებოდა „ვარიანტების“ შექმნას და შეჩერდებოდა იმ თავდაპირველ პორტრეტზე, რომელიც კანტანარუი სუბიექტური ესთეტიკის პრაქტიკულ მაგალითს წარმოადგენს.

კანტის მიხედვით ხომ მშვენიერება არ შეიძლება შეფასდეს ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე, რადგან ასეთ შეფასებას სიკეთე უფრო იმასურებს. მშვენიერება კი თავისუფალია ყოველგვარი ლოგიკური შეფასებისაგან, ობიექტური დახასიათებისაგან, მოვლენათა აზრში, სულში

3 «Вопросы литературы». 1959, № 2, стр. 123.

წოდებისაგან და, საერთოდ, მისადმი სუბიექტის ყოველგვარი დანტრერებისაგან. მაგრამ, პიკასომ რაკი თავიდაც ვერ აღარ ისურვა, „წინდა გემოვნების მსჯელობით“ შემოეფარებოდა სილამაზის ზედატარებელი მოწონება და უცნობი იბიექტს გინების თვალთ დაუწყო გაყვანა, ამით საგნისადმი დიდი დანტრერებაც გამოავლინა. რის გამოც უნებლით, კანტის ესთეტიკის ერთ-ერთი ძირითადი დებულებაც დაარღობდა, რომლის შესაბამისად მშვენიერების მოწონება ყოველგვარი ინტერესის გარეშე უნდა განსაზღვროს გემოვნების მსჯელობა კანტის ამ დებულების მიხედვით პიკასომ, „საგანს“ მაშინ კი არ შეხდა ესთეტიკურად, როცა საბოლოოდ ჩასწავდა იბიექტის არსს და სინამდვილესეულ ნიადაგზე ამოცენებულმა მხატვრულმა სიმართლემ უცნობი ქალი თავის შინაარსის შესატყვისად „ეკუბისტური ღორის“ სახით წარმოადგინა, არამედ მაშინ, როცა თავდაპირველად „ლამაზი უცნობის“ ზედაპირული ჭრებაც თავისუფალი იყო „ცნობიერი ხედვისაგან“.

მსგავსი შემთხვევის საპირისპირო შინაარსია მოთხრობილი ემილ ზოლას რომანში „შემოქმედება“. მხატვარი კლოდ ლანცე (რომლის პორტრეტებზე დეუარდ მანესა და პოლ სეზანს ასახელებენ) ასევე შემთხვევით შეხედრილი უცნობი ქალიშვილის პორტრეტს ქნის, მაგრამ მხატვარი თავიდაცვე უცნობის სულში ეძებს სხვადასხვა მხარეს, ცდილობს შეიხოს მისი შინაარსი, აზრი, ნასათი და მხოლოდ ამ საფუძველზე „ერთადერთ ვარიანტში“ წარმოკვდიდებს პორტრეტს იმ დიდ ფერწერულ ტილოზე, რომელზედაც მას უკვე ჰქონდა სულ სხვა გამოსახულება. მხატვარი ამ შემცდარა. უცნობი სწორედ „მოდელური“ ქმნილება აღმოჩნდა, რომელსაც იგი წლების განმავლობაში ეძებდა და ახლა შესატყვისი ფორმითა და შინაარსის ერთიანობით წარმოსახა. ამ შემთხვევამ ბევრად გაანაპირობა მხატვრის მომავალი ბედიც. „უცნობის“ ქრისტინა ალბრეტი მისი რთული და დაბურთული ცხოვრების ერთადერთი საიმედო სხევი აღმოჩნდა.

სინამდვილე, რა თქმა უნდა, პირველწყაროა ხელოვნებისა. სინამდვილის ჭეშმარიტი შემეცნების საფუძველზე იქმნება ხელოვნების ესთეტიკური იდეალიც, რაც სრულებით არ გულისხმობს სინამდვილის მშვენიერებას და ხელოვნების მშვენიერების იფივეობას. როგორც სინამდვილეს, ასევე ხელოვნებას თავისი თვითმყოფადი ესთეტიკური არსი და მნიშვნელობა გააჩნია. საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი უმაღლესი ფორმა—ხელოვნება სინამდვილის თავისებურ ასახვას წარმოადგენს. ეს თავისებურება იმას ნიშნავს, რომ ხელოვნება თავისი საპეიფიკური კანონებით განსხვავდება საზოგადოებრივი ცნობიერების სხვა ფორმებისაგან.

გაყოველთაო ესთეტიკური იდეალის გარეშე მხატვარი ვერ შეძენს ადამიანის „სიხარულისა და შთაფრების“ წყაროს — მხატვრულ ნაწარმებს. ესთეტიკური იდეალი თავისთავად მოიცავს ესთეტიკურ გემოვნებასაც. ამბობენ — ცხოვრებაში რამდენი ადამიანია, იმდენიც ესთეტიკური გემოვნება და იდეალია. ეს ჭეშმარიტება კიდევ უფრო ნიშანდობლივი უნდა იყოს მხატვრებისათვის. ჩვეულებრივ, მხატვრის გემოვნება და იდეალი იმ საზოგადოებრივი გამოვლენისა და იდეალის გამოხატულებაა, რომელსაც იგი ეკუთვნის, მაგრამ არის არაჩვეულებრივიც; როცა გენიოსი ხშირად მაღალდება ეპოქაზე. არაფერი თქმის იმ უნიჭო მხატვრებზე, რომლებიც არამც თუ ვერ უტოლდებიან თავისი დროის დონეს, არამედ სამარცხვინოდც ჩამორჩებიან ხოლმე. მხატვრის შემოქმედებით შესაძლებლობაა იგი ბევრი რამა დამოკიდებული. თითქმის ყველა ქვეყანას და ყოველ ეპოქას ვაჟს თავისი უნი-

ჭო, საშუალო დონისა თუ გენიოსი შემოქმედი. ვინ მოთვლის, რამდენი „ფაუტსტი“ შექმნილა ეკოლოზე, გოგოზე დროსა და შედგომ ეპოქებშიც, მაგრამ ყველაზე მეტად მხოლოდ გოეთეს ესთეტიკურმა იდეალმა გააწერა თავისი დროის საზოგადოებრივი იდეალისა და მისი „ფუსტიტი“ საზიარისობა დღარა კაცობრიობას, როგორც ჭეშმარიტის უკვდავი ძიძინა. აურაცხელი „მადონა“, „ენეიდა“ და „დავით აღმაშენებლის მსოფლიოში, მაგრამ იშვიათია ისეთი ზონადაცაგობრიული მნიშვნელობის მადონა, ვენერა თუ დავიდა, როგორც რაფაელის, აგასანარტეს თუ რემბრანტის მსგავს ხელოვნება მიერ შექმნილა. შექსპირის გენიათ თავისი დროის ერთი ჩვეულებრივი სიუჟეტებიც კი ამაღლა საკაცობრიო ჭეშმარიტური იდეალის წვეურავლებამდურენესანის ტიტანებმა თავიანთი მაღალი ესთეტიკური იდეალის შესატყვისად შესძლეს ანტიკური ბერძნების მსგავსად ლმობიერი ჩამოყვანათ მიწაზე, ხოლო მიწიერი ადამიანები „აიშვლებინათ ღმერთებამდე“.

ჭეშმარიტი ხელოვნების მარადიულობას არასოდეს ედება საუკუნობრივი ჭაჭი. საზოგადოებრივი იდეალის ცვლილებებს სასწავლებრივად უძლებენ გენიალური ქმნილებები. ნ. ჩერნიშევსკი ბუნების მშვენიერი „ნაწარმოების“ წარმატებასთან შედარებით ამტკიცებდა: არც ხელოვნების ნაწარმოებია მარადიული, რომ ხელოვნების ნაწარმოებს ან დრო ანადგურებს ფიზიკურად, ან მოდების კაპრიზი და მასლის მოქცელებითა ხდის დროშემულადი. მაგრამ ფაქტიურად მაინც უფრო ბედნიერ ვითარებასთან გვაქვს საქმე. დაუშაბურებულ უნდობლობითაც რომ მოვედოთ იმ უდიდეს მყნებრიულ და ტექნიკურ მიღწევებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი ხდება სახელოვნების ნაწარმოებთა რესტავრაცია და სრული აღდგენაც, თანამედროვე (მი თუმცეს მომავლის) უნივერსალურ მხატვრულ-ესთეტიკურ აზროვნებას თავად შესწევს უნარი ფიზიკურად დაზიანებული ნაწარმოებზე სრულყოფილად აღიქვას თავისი მაღალი გემოვნება და ღრმა განსაზღვრების უნარზე დაყრდნობით. უნიჭო ნაწარმოებს ფიზიკური არსებობის უფლებას დრო ჩამოართმევს, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსი შედევრები ხალხის მფსიოლოგიაში ინარჩუნებენ უკვდავობას. ამ შემთხვევაში გამოხატვისი როდია სანახაობითი ხელოვნებაც. პროგრესული კაცობრიობა თვატორნთა განხრევეს, გადაშლილ ფრესკებსა და ფრთამოტიტულ ქანდაკებებსაც უსანგრძლივებს სიციცხლეს. თუ მართალია, რომ პლატონი საგანგებოდ ყიდულობდა დემოკრიტეს წიგნებს, რათა შემდეგ დაეწავა და სრულიად „აღეგავა მიწისაგან პირისა“, მაშინ ჩვენამდე მაინც ცოცხლად შემორჩენილი დემოკრიტე კიდევ უფრო ნათელი დადასტურებაა დიდი ადამიანური შემოქმედების უკვდავებისა. ამ მხრივ, ხელოვნებას მეტ უპირატესობა აქვს მეცნიერებასთან შედარებითაც.

უძველესი გმირული მხატვრული სახეები: ბაბილონური გილგამეშისებრი, ეგვიპტური ოზირისები, ჩინური იუიები, ბერძნული პომეითები და ჰერკულესები ახლაც დიდ ესთეტიკურ შემოქმედებას ახლენენ ჩვენს. მაგრამ შედარებით არც თუ დიდი ხნის წინანდელი კომპიუტერის, გალიკების, ლობაჩევსკებისა თუ უიტსონების თავის დროსათვის გმირულა მცნებრიულა მიღწევებმა ახლა უკვე დაკარგეს თავიანთი ადრინდელი მნიშვნელობა და მხოლოდ ისტორიის საპატით კუთვნილება იქცნენ. უბერებელი ბუნება ხელოვნებას განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებს საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმებს შორის, თუმც ესთეტიკას კვლავ ამოუხსნელი რჩება ხელოვნების იდეალი ძირი, მისი არსი, რომლის წყარო მშვენიერების ფენონია.

ჩვენ გეპონდა საუბარი<sup>4</sup> ესთეტური გემოვნების, გან-  
 ცლის, ერთობის, შეფასების, დასოიადებულების, სინამდვი-  
 ლისა და ხელოვნების მშვენიერების შესახებ, შევხვით ეს-  
 თეტის საკანთან დაკავშირებულ სადისკუსიო კამარასაც,  
 რამაც საბოლოოდ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ესთე-  
 ტიკა არის მშვენიერება მშვენიერების კანონების მიხედვით  
 სინამდვილის მხატვრული ათვისების, ხელოვნების არსის,  
 მისი განვითარების კანონების და სასოგადობრივ-გარ-  
 დამშენილი როლის შესახებ. სიტყვიერად ამ განსაზღვრე-  
 ბაში ნახსენებ არ არის ცნება ესთეტური, მაგრამ იგი  
 თავისთავად იგულისხმება. როცა ვლადიმერმა მშვენიე-  
 რების კანონების მიხედვით სინამდვილის მხატვრულ ათ-  
 ვისებაზე, ბუნებრივი, თვით მშვენიერების კანონე-  
 ტიკა და მხატვრული ათვისებაც გაუყოფელად და-  
 კავშირებული ესთეტურთან და ესთეტური ათვისე-  
 ბასთან. ესთეტის სხეულები განსაზღვრება თა-  
 ვისთავად მოიცავს აგრეთვე იმ სამი ძირითადი მხა-  
 რის ერთიანობასაც, რომელთა შესახებაც ადრე გეპონდა  
 ვლადიმერ (1. ობიექტურ სინამდვილში მშვენიერებასა და  
 ესთეტურის საფუძვლების არსებობა, 2. სუბიექტურ-ეს-  
 თეტურებზე (ესთეტური შექმნება) და 3. ხელოვნების  
 ესთეტურობა არის).

ამ სამივე მხარის დიალექტიკურ ერთიანობასთან ერ-  
 თად, ესთეტის ერთ-ერთ (და არა ერთადერთ) ძირითად  
 საგნად ძალშია რჩება მშვენიერების აღიარება, რაც, ცხა-  
 დია, არ გულისხმობს ამაღლებულს, ტრაგიკულს, კომი-  
 კურსსა თუ სხვა ტრადიციულად მიჩნეული ესთეტური  
 ცნებების ესთეტის მიღმა დატოვებას.

ავადიეოსი ანგია ბოჭორიშვილი წიგნში „კანტის  
 ესთეტიკა“ გარკვევით ანალიზებს კანტის ესთეტიკაში შე-  
 სარჩევ ანგია რეუსამართლებს თავისი აზრით სილამაზის,  
 დასოიადებული სილამაზისა და ამაღლებულის ცნებათა  
 დასასაბუთებში და დასკვნის: კანტის „მხატვრობა ესთე-  
 ტიკურზე ხშირად ისეთია, რომ ის არ შეიძლება გავრცე-  
 ლდეს ამაღლებულზე, ეს გარემოება ჩვენ ნორმალურად  
 მივიჩნით, რამდენადაც ესთეტურის ცნებას მშვენიერე-  
 ბის შემოფარგლავთ“<sup>5</sup>.

პროფესორი ნიკო ჭავჭავაძე ა. ბოჭორიშვილის სხენე-  
 ბული წიგნისადმი მიძღვნილ რეცენზიაში (იხ. ჟურნალი  
 „საბჭოთა ხელოვნება“, 1970 წ., № 3, გვ. 57-62). შენიშ-  
 ნავს: „ჩვენშიც, ხშირად, ესთეტურ კლდეა-ძიებაში ისე-  
 თი საკითხები განიხილება, რომელთაც ესთეტისათვის  
 საერთო არაფერი აქვთ. ესთეტიკა უნდა იყოს ესთეტიკა,  
 ისევე, როგორც ეთიკა ეთიკა, ხოლო ლოგიკა — ლოგიკა-  
 ყველა მშვენიერებამ თავისი საკმე უნდა აკეთოს, წი-  
 ნააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ გაუგებრობასთან, მცენი-  
 რადანა ურთიერთლერვეასთან გვეყვება საქმე“. მართალია,  
 იგი ემხრობა აზრს, რომ „ესთეტიკა უნდა დაფუძნდეს  
 როგორც მშვენიერება სწორედ ესთეტურის (და არა ეს-  
 თეტურის) და ეთიკურის, ესთეტურისა და გნოსოლო-  
 გიურის, ესთეტურისა და ფსიქოლოგიურის და სხვა ასეთ  
 ნარჩეთა შესახებ“, მაგრამ ესთეტიკის საკნის შესახებ  
 მსჯელობის დროს ესთეტურის სფეროს შემოფარგლავს  
 მშვენიერების ცნებით მაისც გაუმართლებლად მიიჩნევს,  
 რადგან, ჯერ ერთი, გაურკვეველი რჩებიან ტრაგიკული-  
 და კომიკურის ცნებები, რომლებიც ტრადიციულად  
 ესთეტურ კატეგორიებად არიან მიჩნეული, ხოლო „მშვე-  
 ნიერების ცნებაზე მათი დაყვანა, ალბათ გაჭირდება, თუნ-

დაც იმიტომ, რომ ტრაგიკულს კატეგორია წარმოუდგე-  
 ნელია ამაღლებულის მომენტის გარეშე, რომელიც ჩვენ  
 ესთეტის ფრთხვების გარეშე დაგვირჩობდა, თუ ამ მე-  
 ნიერების მშვენიერების ცნებით შემოფარგლავდათ. თე-  
 ლია ისეთი მშვენიერების მომენტაც, რომელიც „შეიკვლე-  
 ბდა“ ტრაგიკულია და კომიკურის ცნებაში“.


ჩვენ მაინც იმ აზრს ვუბრუნდებით, რომ „ესთეტურის  
 ცნების შემოფარგლვა მშვენიერებით დასაშვებია, რადგან  
 ხელოვნების ასაკის ობიექტი, რა თქმა უნდა, მხოლოდ  
 მშვენიერება ვერ, კატეგორიის მიმშვენილობით არ წარ-  
 მადგენს, მაგრამ მისაც არ უნდა ასახავდეს იგი, მისი  
 საბოლოო მხარეა მისი მშვენიერება. ხელოვნებისათვის  
 ყოველგვარი ობიექტი ამ მიზნის მისაღწევი საშუალებაა.  
 სინამდვილე, ტრაგიკული, კომიკური, მდაბალი და სხვა...  
 ხელოვნებაში იმდენად წარმოდგენს ასაკის აუცილებლო-  
 მას, რამდენადაც მხატვრული და ემოციური ზემოქმედებით  
 უნდა დაერწმუნდეთ იმაში, თუ როგორ არ უნდა იყოს  
 შემოღობილი მშვენიერება. ამაშია მისი ესთეტური ღირე-  
 ბულებაც. მშვენიერად არის დასატყობი სუქსპირის მიერ  
 იაგოს, ხოლო ზოლერის მიერ ფრანკის სტეფანის სიმბინ-  
 ჯე და ჩვენ მათი წარმოსახვის (და არა წარმოსახულის)  
 სიმშვენიერეც იმდენად უფრო დიდ ესთეტურ სიმარე-  
 ნებას გავნიჭებ, რამდენადაც, გერმუნდებით თუ ამ სი-  
 მბინჯეთა სახით როგორ არ უნდა იმდებოდეს ოტე-  
 ლობეზა და კარლ შორტიუსის სულიერი სილამაზე. ხელო-  
 ნება ხომ სინამდვილის მხატვრულ ასახვასთან ერთად, ასე-  
 ზეულის თავისებურ შეფასებასაც იძლევა, რაც მას სინამ-  
 ველის გარდაქმნისა და განვიითარების მაღალ ფუნქციას  
 ანიჭებს.

აქვე უნდა აღინიშნოს ესთეტურისა და ხელოვნების  
 ერთი წინააღმდეგობრივი გარემოება: რეალისტური ხე-  
 ლოვნებისათვის ერთნაირად საინტერესოა ტიპური სიმბ-  
 ინჯეცა და ტიპური მშვენიერებაც, მაგრამ ესთეტურ  
 გრძობისათვის გაცილებით უფრო არსებითია მშვენიერად  
 სახეული მშვენიერი სინამდვილე, ვიდრე მშვენიერად სა-  
 ხელი სიმბინჯე, ხომ მშვენიერად არის გამოკვეთილი  
 როდენის მიერ „მშვენიერი ოლივიერი“, ხომ ნათლად  
 ვგრძობთ მოქალაქის მიერ დიდი ოსტატის განდომეც-  
 ბული მოხუცებულობის სიმბინჯეს! ჩვენს განცვიფრებ-  
 იქვეს ამ ოდესდაც ულამაზესი კურტიანას ანგამად სი-  
 ციცილობისაგან გამოიწურულ ხეულში ადამიანური ოცნიე-  
 ისა და სურვილის დატყვება და ღრმად განვიცდით უწვე-  
 ბისთვის მიერ დაკარგული სილამაზის დატყვებასაც, მა-  
 გრამ არ ვიქნებით გულწრფელი — ვვთქვა: აღდი ოს-  
 ტატობით აწვერილმა ამ მახინჯმა შინაარსმა ისეთივე ეს-  
 თეტური სიმარეცხვა დაიკავდაცენია, როგორც თქვით,  
 ფლოკონის მიერ ასევე დიდ ოსტატობით გამოსახული  
 „ფლორანს“ შინაარსიან მშვენიერებამ. ანგარად მოქან-  
 დაკის ოსტატობასთან ერთად ესთეტურად გვატყობს  
 მის მიერ გაზაფხულის ღმერთის სახით გამოსახული  
 მშვენიერი ქალიშვილის სიციცილობისა და სილამაზის კიმ-  
 ნი. გვიკვირებს მისი სიწმინდისა და ქალური მომბინვე-  
 ლობის უშუალობა.

როცა ვავსებთ როდენის ოსტატობას, სიამოვნებისათ-  
 ვის ვიღებთ ესთეტური ტიპობის ნაწილს, კერძოდ, მშვე-  
 ნიერ ხელოვნებას, მშვენიერ სახასაც, მაგრამ უსიამოვნოდ  
 განვაწყობს მისი შინაარსი თავისი ამაზრუნველი სიმბინ-  
 ჯის გადმომცემის სიამოლოთ. მოქანდაკეს ვერ უსაკვე-  
 ლურებთ, რომ მან ასე უმამბეჭდავად გავგრძობინა სიმბ-  
 სინჯე. პირიქით, მაღლობის მეტი რა გვეთქვას, რაეი შე-  
 სდომ უნდაღება გამახვილებია იმისადმი, თუ როგორ  
 არ უნდა დაინაჯოს ბოროტად სხეულებრივი და სულიე-  
 რი სილამაზე, მაგრამ ეს მაღლიერება უფრო მაინც ხელო-

<sup>4</sup> იხ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1969, № 2, 9, 10.  
<sup>5</sup> ანგია ბოჭორიშვილი „კანტის ესთეტიკა. ვამოკვებობა  
 „მესტეტიკა“, თბილისი, 1967 წ., გვ. 215.





გუდონი.

ვოლტერის ქანდაკება (ფრაგმენტი)

ენებათმცოდნეობის სფეროდან მომდინარეობს, ვიდრე ეს-  
თეტიკურიდან. ეს რომ ავა, ალბათ ამის გამო არც თვით  
როდენს ქაონია საწარუარე იმ შემთხვევების მიმართ,  
რომლებიც თურმე ამჟამა ზიზღით შესცქეროდნენ მის  
„ოლივიერს“. მოქანდაკე მიზანს მიღწეულად თვლიდა და სა-  
მართლანადაც, რადგან თავად მას, როგორც დიდ მოქან-  
დაკეთს, სწორედ მხატვრულმა ოსტატობამ მიაბიჭა უკვდა-  
ვება.

ესთეტიკური ტკბობის გაცილებით უფრო მეტ ნაწილს  
ვიღებთ, მაგალითად, გუდონის მიერ შესანიშნავად გამო-  
კვეთილ „ვოლტერიდან“, რადგან ხანდახმულობასთან და-  
კავშირებულ მის რამდენადმე დისპარმიონულ ფორმას  
სჭარბობს მშვენიერი შინაარსის გამობატულება — ჰუმან-  
ურობა, სიბრძნე, თბილი იუმორი და სხვ.

მშვენივრად ასახულ სიმახინჯეუ გაცილებით უფრო  
ამაზრუნვია მახინჯად ასახული მშვენიერი. არსებობს სა-  
უკუნეების მანძილზე შემორჩენილი მშვენიერების კლასი-  
კური ნიმუში აგესანდრეს (ალექსანდრე) ცნობილი ქან-  
დაკება „ვენერა მილოსელი“ და არსებობს სალვატორ  
დალის მოდერნიზებული ქმნილება „ვენერა მილო-  
სელი მოძრავი სუბიტი“. ამბოა ყოველგვარი ცდა ზო-  
გიერთი თეორეტიკოსის მიერ აგესანდრეს „ვენერა მილო-  
სელის“ მოძველებული მშვენიერების მტკიცებისა. იგი  
მარადის რჩება ჯანსაღი სიციცხლისა და სილამაზის შთა-  
გონებად, ადამიანური სულის გამამხნეებელ ძალად, მაგ-  
რამ რა შეუძლია „ახალი მშვენიერების“ შემომთავაზებელ

სალვატორ დალის მოიპოვოს მისი დამაზინჯებისათვის,  
გარდა სულით ავადმყოფთა აღფრთოვანებისა და ჯანსა-  
ღი, ესთეტიკური გემოვნების მქონე ადამიანების სამართ-  
ლიანი კრიტიკისა. თუმცა დალის ამ სიმახინჯეს როგორც  
ფორმის, ასევე შინაარსის სახით აქვს არსებობის გარკვეუ-  
ლი გამართლებაც, თუ გავისხენებთ ჰერაკლიტეს შედარე-  
ბითობის აუცილებლობასაც („ადამიანის მოდგმასთან შე-  
დარებით უმშვენიერესი მაიმუნი საზოზღარია...“)

ამ მხრივ საზოგადოებრივი განვითარების ყოველ ეტაპ-  
ზე ქვეშარჩე ხელოვნებას ბედი უღიმოდა, ყოველთვის მო-  
იხიზნებოდა და მოიძებნება სიმახინჯე სილამაზის გვერ-  
დით, რათა ამაღლებულმა არასოდეს დაკარგოს უპირატე-  
სობა მებაბათთან.

მშვენიერება შედარებითია და ეს შედარებითობა ყო-  
ველთვის როდი გულისხმობს მხოლოდ ორი უკიდურესო-  
ბის დაპირისპირებას. ჰერაკლიტეს ხსენებულ ფრაზა,  
როგორც სინამდვილეში, ასევე ხელოვნებაშიც უკიდურესო-  
ბათა დაპირისპირების გარეშე პოულობს თავის დასაყრ-  
დენს. შედარებითობა აადვილებს გარკვეული ადგილი მიე-  
ცეს ერთიანი დონის ხელოვნათა ქმნილებებს. გუთვებს  
„ფაუსტი“ შეიძლება გაცილებით იგებდეს თავისი ესთეტი-  
კური დონით ბაირონის „მანფრედთან“ შედარებით, ან  
ვთქვათ, ბაირონის „ჩაილდ ჰაროლდი“ ბუქსინის „ვეგენი  
ოზეგინთან“ შედარებით, „ვეგენი ოზეგინი“ ბაირონის  
„დონ ჟუანთან“ დაპირისპირებით, და ა. შ. მაგრამ შე-  
დარებითობასაც აქვს თავისი კანონზომიერება. არ შეიძლე-  
ბა დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ ფლობერის „მადამ  
ბოვარის“ შევადაროთ ან ეს უკანასკნელი შექს-  
პირის „ჰამლეტს“. ანგარიშასასწავლია ჯანრული, თებატური  
თუ მსოფლმშვენიერებრივი თანამსგავსება, მიმდინარეო-  
ბების, „იზმების“ ერთიანობა. ასევე შეუსაბამო შედარება  
იქნებოდა, ვთქვათ, თუნდაც მოდილიანი შვევედარბინა  
რენუართან. მართალია, თეორიულად ზოგჯერ რენუარიც  
მოდილიანის მსგავსად უარყოფდა კარმონიული მთლიანო-  
ბის ზუსტ დაცვას, მაგრამ უნდა გაეთავალისწინოთ ისიც,  
რომ მოდილიანის სურათების დეფორმირებელი დისპარ-  
მიონა მისივე ცხოვრების სოციალურმა სიღუპტრემ გან-  
საზღვრა, ხოლო რენუარის თეორიულმა მისწრაფებამ კარ-  
მონიულობის რეგევისაკენ პრაქტიკული განხორციელება  
ვერ პოვა, რადგან თვით მისი ცხოვრება დისპარმიონუ-  
ლად არ წარმართულა.

ხელოვნების მშვენიერება ყოველთვის უნდა შეფასდეს  
შესაბამისი დროის, ადგილისა და პირობების მიხედვით.  
ყოველი დროის ნებისმიერ მხატვრულ ნაწარმოებში შეიძ-  
ლება აღმოვაჩინოთ სხვადასხვა ოსონისა და მიმდინარეო-  
ბის ელემენტები, მაგრამ თითოეულში უნდა დავინახოთ  
დამახასიათებელი და არა შემთხვევითი. თუ მ. გორკის  
ალიატება სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებლად სავ-  
სებით გამართლებულია, კუროიზული იქნებოდა ბაირონის-  
თვის სოციალისტური რეალიზმის წარმომადგენელი გვერუ-  
დებით მსოფლ იმის გამო, რომ მან ლორდათა პლატაში  
თავის დროზე ფეტიერის დასაცავად მგზნებარე სიტყვა  
წარმოსთქვა.

არ არსებობს ისეთი მშვენიერი ადამიანი, რომელსაც  
დროის გარკვეულ მოსაკვეთში საკუთარი თავიც არ მოეჩ-  
ვენოს მახინჯად, ან პირიქით. ასევე, არ არსებობს ხელო-  
ვნების ისეთი ნაწარმოები, რომელიც დროის გარკვეულ  
მოსაკვეთში არ გამოიყურებოდეს ხან მახინჯად, ხან მშვე-  
ნიერად. დროის გარკვეულ ფრაგმენტში არა ერთი გენია-  
ლური ნაწარმოები გამოცხადებულა მანვე, ხოლო ხანმ-  
დვილად მანვე — გენიალურად. შედარების, დროის, ადგილისა  
და პირობების ამ თავისებურებამ განაპირობა მშვენიერი  
ნაწარმოების დაღუპვაც და გადარჩენაც.

ყოველ მშვენიერში შეიძლება მახინჯის აღმოჩენა ისევე, როგორც მახინჯში მშვენიერისა. ეს დამოკიდებულია თვით მხატვრის ესთეტიკურ დონეზე. კაცობრიობა საუკუნეების მანძილზე მოკრძალებით იხრის კვლდს მშვენიერი ელადის წინაშე. ანტიკური საბერძნეთი ევლავც სახეალოთა თა-ვისი კლასიკური ნიმუშებით, მაგრამ თურმე მასშიც შეი-ძლება სინაზინჯის დახაზვა, თუ კი ამახ საგანგებოდ მოი-სურვებს ადამიანი. მაგალითად, წიგნში „ანტიკური თეა-ტრი“<sup>6</sup> დ. კალისტვი გულმოდგინებით გვიხატავს დამა-ხინჯველბ საბერძნეთს. თურმე სწორედ იმ დროს, როცა ექნებოდა მშვენიერი ანტიკური ტრაგედიების და ავადებას განიცდიდა პოეზია და ხელოვნება, ფილოსო-ფია და ესთეტიკური აზროვნება, მაშინ, როცა „პლასტიკუ-რი საბერძნეთი“ სახელმწიფოებრივ ბრძოლას უცხადებდა ყოველგვარ ყოფით სინაზინჯსაც კი, უფრო დამახსია-თებელი ყოფილა სიბინძურე და უგუნურება. თურმე ათე-ნის ჯურეში ხშირად ნახავდით ქუჭყსა და კეთროვან ადა-მინებებს, ადგილი ჰქონდა უკიდურეს არაკივიერულობას. ანტიკურმა ეპოქამ მთელი თავისი არსებობის მან-ძილზე არ იყოდა თუ რა იყო საპოინი. მუდმივი სიმკრავ-ლე, მასობრივი ავადყოფობა, გონიერული შეზღუდულო-ბა და სხვ. მომდევნო საუკუნეების სირცხვილს დაუფარავს და კაცობრიობისათვის თურმე „ხელშესახებად“ ძალად შე-თხზული „ესთეტიკური იდეალი“ შემოუნახავს. ისტო-რიული სინამდვილის ამაზე უფრო მახინჯი აღქმა ძნელი წარმოსადგენია ამის შემდეგ ავტორის მიერ ანტიკური საბერძნეთის სიდადეზე ლაპარაკს დამაჯერებლობა აღარ გააჩნია. რა ემეველებოდა საბერძნეთს, რომ კულტურის ძეგლები თუნდაც ნანგრევების სახით არ შემორჩენილა.

შესანიშნავმა კონორეგისორმა ჯან რენუარმა გამოქვეყ-ნა ბიოგრაფიული რომანი თავისი მამის ოვიუსტ რენუ-არის შესახებ.<sup>7</sup> მთელი მსოფლიო აღიარებს მისსა და ბედ-ნიერების, ფერებისა და სინათლის მომღერალს — ოვიუსტ რენუარს. ხალხის გონიერებაში დრმად ჩაიბეჭდა ამ მხა-ტრის წმინდა, გამჭვირვალე, მოხებზე და ხალისიანი გა-ნწყობილება. შვილიც მისი ცხოვრებისა და შემოქმედების გულმოდგინე აღწერით თითქოს ხარკს უხდის მამის საკა-ტით სსოვნას, მაგრამ უკვე წიგნის დასაწყისიდანვე მქდა-ვდება, რომ ნაკლებადა აქვს გაგებული მისი სულსკვეთე-ბა. სამოქალაქო ომი, კოსპიტალი, ავადყოფობა, რომ-ლის დეტალური აღწერითაც შევყავართ ავტორს დიდი რენუარის სამყაროში, თავიდანვე გვიქმნის მისი ბუნების სრულიად საწინააღმდეგო განწყობილებას...

ადამიანის მიერ სამყაროს მხატვრული ათვისების არ-სი განისაზღვრება არა რაიმე ფორმალური ნიშნებით, არა-მედ მისი შინაარსის თავისებურებით, რაც მის მიერ სინა-მდვილის მხატვრულ-სახეობრივ ათვისებაში მდგომარეობს. ყოველგვარ მხატვრულ ნაწარმოებში, სახვით ხელოვნებას მიეკუთვნება იგი, მუსიკას, თეატრს თუ კინოს, ყველა ელე-მენტს (სიუჟეტი, კომპოზიცია, კოლორიტი, ენა...) მხატ-ვრულ სახეობრივი ხასიათი გააჩნია. მხატვრული სახე, აზ-როვნება მხატვრული სახეებით, ხელოვნების სპეციფიკური ნიშანია. მხატვრული სახის ფორმის განსხვავება მენიერუ-ლი გაგების ფორმისაგან მათივე შინაარსის სხვაობით აიხსნება. ხელოვნებას თავისი სპეციფიკური მიზანი გააჩ-ნია, რომელიც ცხოვრების ადამიანური, ესთეტიკური არ-სის ახსნაში მდგომარეობს ყოველივე ადამიანური მშვენიე-

რია. სინამდვილისადმი ადამიანის ესთეტიკური დამოკი-დებულების უმაღლეს ფორმას — მხოლოდ მხატვრულ შე-მეცნებას აქვს საქმე საგნებისა და მოვლენების ესთეტიკურ, ადამიანურ არსთან და მხოლოდ მას შეუძლია ახსნას მშვე-ნიერების კანონები. აქედან თავისთავად გამომდინარეობს ისიც, რომ მხატვრული მემკვიდრის, ხელოვნების საგანია სინამდვილესთან ურთიერთობაში მყოფი ადამიანი, მაგრამ ხელოვნების საგნის შესახებ დავა, რატომღაც, ჯერაც გა-დაუწყვეტელი რჩება.

ა. ბურუს (თავის წიგნი „ხელოვნების“ ესთეტიკური არსი“) მიაჩნია, რომ „ხელოვნების სპეციფიკურ საგანს წარმოადგენს საოვადობრივი ადამიანი, როგორც ერთი-

აგესანდრე.

ვენეტა შილონელი



<sup>6</sup> Д. П. Каллистов. Античный театр. «Искусство». 1970 г., стр. 16-17.  
<sup>7</sup> Жан Ренуар. Огюст Ренуар. «Искусство», М., 1970 г.

ნი, ცოცხალი მთელი თავისი ადამიანური თვისებებისა და დამოკიდებულების მრავალფეროვნებით<sup>8</sup>. ვ. ვანსლოვი (წიგნებში „მშვენიერების პრობლემა“ და „შინაარსი და ფორმა ხელოვნებაში“) უარყოფს ბუროვის განსაზღვრას და თვლის, რომ ხელოვნების საგანს „წარმოადგენს სინამდვილის მოვლენის ესეთეტიკური ღირსება, რომელიც თვითონვე მას გააჩნია ობიექტურად“. ანუ სხვაგვარად — ხელოვნების საგანი არის „ობიექტური სინამდვილე თავის ესეთეტიკურ მრავალფეროვნებაში“. ა. დრემოვი ეს წიგნი — „მხატვრული სახის შესახებ“ (1956 წ.) გამართლებულად არ მიიჩნევს ხელოვნების საგნის ძიებას და წერს: „ხელოვნებასა და მეცნიერებას ერთი საგანი გააჩნიათ“, მეცნიერებასა და ხელოვნებაში ადგილი აქვს „ერთი და იგივე ასახვას, მაგრამ სხვადასხვანაირად“ (გვ. 590). ტიმოფევი თავისი „ლიტერატურის თეორიის საფუძვლებში“ (1963 წ.) აცხადებს, რომ ხელოვნების საგანს წარმოადგენს «Человек в жизненном процессе, показанном в сложности и многомерности его развития» (გვ. 29).

შვავს განსაზღვრებას იძლევიან ნ. გულიაევი, ა. ბოგდანოვი, ლ. იულკევიჩი, გ. აბრამოვიჩი და სხვ. კამათი ხელოვნების საგნის შესახებ ჩვეთანაც გრძელდება. ნ. ტაგაიანისა, ნ. კუპრავას, მ. დულერავას, გ. კიბლაძის, ვ. ტელიძისა და სხვათა შრომებში. ზოგჯერ ეს კამათი გამოთქმის ფორმულირებას უფრო ეხება, ვიდრე ტექნიკური არის გარკვევას. ასე, მაგალითად, გამართლება არა აქვს ვანსლოვის მიერ ბუროვიზმ კრიტიკას იმ საფუძველზე, რომ ხელოვნების საგანი ადამიანი კი არა, სინამდვილის მოვლენის ესეთეტიკური თვისებათა ვანსლოვის რატომღაც მხედველობიდან რჩება ის გარემოება, რომ სინამდვილის ესეთეტიკური თვისება, მისი ობიექტურად არსებობის მიუხედავად, მოკლებულია ყოველგვარ ღირებულებას, მისი ტექნიკური შემფასებლის — ადამიანის გარეშე. ესეთეტიკურის ობიექტურ-სუბიექტური თავისებურებაც ხომ ამაში მდგომარეობს. მაშასადამე, ბუროვის განმარტებაც უკვე თავისთავად არ გამოირჩევა სინამდვილის ესეთეტიკურ ობიექტურობას (ადამიანის სუბიექტურ მიმართებაში) ისევე, როგორც, პირიქით, ვანსლოვი ვერ უგულებელყოფს ადამიანის განსაზღვრულ როლს სინამდვილის ესეთეტიკური თვისების შეფასებაში. დრემოვის განსაზღვრაც („მეცნიერებასა და ხელოვნებაში ადგილი აქვს ერთი და იგივე

ასახვას“) თავისებურად ადამიანს ანიჭებს უპირატესობას, რადგან „ერთი და იგივე ასახვის“ საგანს — სინამდვილეს ხელოვნებაში ყოველთვის საზოგადოებრივ ადამიანთან მიმართებაში აქვს ესეთეტიკური მნიშვნელობა. ტიმოფევი ამას უფრო გარკვევით გამოხატავს. საბოლოოდ, ფორმულირებათა სხვადასხვაობის მიუხედავად, მაინც ერთ დასკვნას აქვს გამართლება — ხელოვნების საგანს წარმოადგენს ადამიანი სინამდვილესთან ურთიერთობაში. სხვა დანარჩენი თვით ადამიანურის ცნებაშია გაერთიანებული.

მშვენიერების არსში წვდომა, მისი დამახასიათებლობის მახვილი დანახვა, — აი, რა უნდა იყოს უმაღლესი მხატვრისათვის, მაშინაც კი, როცა იგი ბრევიგელის სიმპლოტიკური, თვალუხილავი კაცობრიობის სიმბოლოდ უბედურ ბრემების მახინჯ სამყაროს ასახავს. დიდ ხელოვანთა ნაწარმოებებში ასახული სიმახინჯე ყოველთვის ის ტუჭრუტანაა, რომლიდანაც შეიძლება ათასჯის უფრო ფართო მშვენიერების დანახვა.

„ამ ქვეყნად ყველაზე საამური, ყველაზე კეთილშობილური და ყველაზე მაღალიან გრძობაა გიყვარდეს, ცნობდე და გეპობდე მშვენიერება: აი, რატომ უნდა გიყვარდეს ყველაფერი, რაც კი ახლოსაა მშვენიერებასთან, რატომ უნდა ვიფიქროთ მასზე გამუდმებით, ყველგან ვეძებოთ ის და იმ სახით ვცნოთ, რა სახითაც ვიპოვით“ — ამბობს ჟორჟ სანდი თავის „მოხაიკის ოსტატებში“ და ზედმიწევნით ანხორციელებს ამ მოწოდებას თავისავე ნაწარმოებებში.

ხელოვნების მშვენიერება ტექნიკური შემოქმედის მიერ შექმნილი მშვენიერებაა, რომელსაც საფუძვლად უდევს ესეთეტიკური იდეალთი გაღრმავებული მთელი სინამდვილისა და ადამიანური ცხოვრების შინაარსიანი სიღრმეზე. ხელოვნების მშვენიერება — ეს არის ტექნიკურების, სიმართლის, ადამიანური კეთილშობილების, ჰუმანიზმის, ხალხურობის სახეობრივი სიღრმეზე. მხოლოდ ნამდვილ მხატვარს შეეძლება უნარი არა შექმნიერად, არა სარკისებურად და გაუნაბიჯებლად გადაიღოს სინამდვილის სიმშვენიერე, არამედ თავისი მაღალი ესეთეტიკური გემოვნებისა და იდეალის შესატყვისად, ზომიერების ტაქტიკით გააღრმავოს და აქციოს ადამიანური პიროვნების შთაგონებისა და სულიერი სიმდიდრის წყაროდ.

მშვენიერების სამყარო შეტად ფართო და საინტერესოა ხელოვნებაში. ამ სამყაროს შეცნობის ერთადერთ უტყუარ გზას ყველაზე უფრო თვით ხელოვნების დარგების სპეციფიკაში გარკვევა და მათი სოციალურ-ფილოსოფიური ანალიზი წარმოგივლენს.

<sup>8</sup> А. Буров. Эстетическая сущность искусства.





ნოვანი რეპუტაცია. მაგრამ ამ უმაგალითოდ სისხლის-მღვრელი ომის მძვინვარება საქართველოს მიწა-წყალს უშუალოდ არ შეეხებია.

საკითხავია — რად დასჭირდა ჩვენს მალაღნიჭიერ მწერალს ესოდენ უკიდურესი პირობითობის დაშვება? უნდა ვიფიქროთ, რომ ეს იყო ერთგვარი რეაგირება ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებაში ერთ დროს საკმაოდ გავრცელებულ ისეთ მკადარ ტენდენციასზე, რომელიც ნატურალისტური დაკნინებითა და გალარიბებიტო ემუქრებოდა სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკის უპირველეს მოთხოვნას — ცხოვრებისეული სიმართლის და ტიპიურობის პრინციპებს. ამ მალაღნიჭიერების ვულგარიზაციისა და პრიმიტიულად გაგების შედეგად ჩვენს მწერლობასა და ხელოვნებაში საკრძნობლად იჩნდა თავის მოსაწყენი ერთფეროვნების, ემიპირიული, „მიწიერების“ საფრთხე. ასეთი მანკიერი ტენდენცია კი ბუნებრივად ზაღებდა მოთხოვნილებას ფართო ზუსტ გასასწავლად მწერლის ფანტაზიას, მხატვრულ გამომგონებლობას, ვიწრო „ფაქტოლოგიური“ სინამდვილისაგან ამაღლებას, ცხოვრების ესთეტიკური აღქმისა და განსაზღვრების ნაირფეროვანი გზებისა და საშუალებების ძიებას. ასეთი ძიებების პროცესში ყოველთვის რთოდ ხერხდებოდა ზომიერების დაცვა, ადგილი ჰქონდა ხოლმე ცალკეულ უკიდურესობებს, მხატვრული სიმართლის კანონიერებისაგან საგალოლო გადახვევებს. ასეთი შემთხვევები შეინიშნებოდა კერძოდ გ. შატერაშვილის დრამატურგიულ შემოქმედებაშიც. მაგრამ მწერლის ამგვარი მისწრაფება მოასწყვეტდა მის აქტიურ მონაწილეობას ჩვენი მხატვრული კულტურის გამდიდრებისა და ამაღლებისათვის ბრძოლაში.

ომის შემდგომი პერიოდის საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ფრიად აქტუალურ პრობლემას მიუძღვნა გ. შატერაშვილმა თავისი უკანასკნელი პიესა „უჩინობი ქალი“. პიესაში ასახულია ნაწარმოების რეალისტურ ქლერადობის, ზოგიერთ შემთხვევაში, ზიანს აყენებდა კიდევ სცენური მოქმედების დამაჯერებლობასა და, მასთანამებ, ემოციური შემოქმედების ძალასაც. მაგალითად, „რკინის პურანგში“ მოთხრობითი ამბავი მიმდინარეობს პიტლერული ურდობის მიერ დროებით ოკუპირებულ ქართულ სოფელში, ეს კი არ შეესაბამება ცხოვრებისეულ სიმართლეს, რადგან, საბუნდოვროდ, საქართველოს უშუალოდ არ განუვლიდა ფაშისტ დამპყრობელთა სისხლიანი თავიერი. როგორც ცნობილია, ქართველმა ხალხმა უდიდებამ მხვედრული გაიღო დიდა სამამულო ომის წლებში და თავის საუკეთესო შვილთა სისხლის საფასურით დიდი წვლილი შეიტანა ფაშისტური ცივილიზაციის გადარჩენაში. ამ მხრივ ქართველობა პროპორციულად არ ჩამორჩენია არც ერთ მომენტს საბჭოთა ხალხს. პირიქით, საბჭოთა სამშობლოს სიკვდილ-სიცოცხლის გადამწყვეტ ვითარებაში საოცარი ძალისა და ცხოველყოფილობით აღორძინდა ჩვენი დიდებული ეროვნული სამართლი ტრადიციებიც, რამაც ნაცისტური მარაგანდვდით კიდევ ერთხელ შემოსა ქართველი ხალხის გმირობისა და ეთიკაობის მრავალსაუკუ-

## ცხოვრება —

## თეატრი —

## დრამატურგია \*

### ბესარიონ ქლენტი

რწმინდა თავის პირველ დრამატურგიულ ქმნილებებში „ფიქრის გორა“, გიორგი შატერაშვილი „რკინის პურანგში“ მიმართავდა გადაჭარბებულ პირობითობას, რაც ერთგვარად ანელებდა ნაწარმოების რეალისტურ ქლერადობას, ზოგიერთ შემთხვევაში, ზიანს აყენებდა კიდევ სცენური მოქმედების დამაჯერებლობასა და, მასთანამებ, ემოციური შემოქმედების ძალასაც. მაგალითად, „რკინის პურანგში“ მოთხრობითი ამბავი მიმდინარეობს პიტლერული ურდობის მიერ დროებით ოკუპირებულ ქართულ სოფელში, ეს კი არ შეესაბამება ცხოვრებისეულ სიმართლეს, რადგან, საბუნდოვროდ, საქართველოს უშუალოდ არ განუვლიდა ფაშისტ დამპყრობელთა სისხლიანი თავიერი.

როგორც ცნობილია, ქართველმა ხალხმა უდიდებამ მხვედრული გაიღო დიდა სამამულო ომის წლებში და თავის საუკეთესო შვილთა სისხლის საფასურით დიდი წვლილი შეიტანა ფაშისტური ცივილიზაციის გადარჩენაში. ამ მხრივ ქართველობა პროპორციულად არ ჩამორჩენია არც ერთ მომენტს საბჭოთა ხალხს. პირიქით, საბჭოთა სამშობლოს სიკვდილ-სიცოცხლის გადამწყვეტ ვითარებაში საოცარი ძალისა და ცხოველყოფილობით აღორძინდა ჩვენი დიდებული ეროვნული სამართლი ტრადიციებიც, რამაც ნაცისტური მარაგანდვდით კიდევ ერთხელ შემოსა ქართველი ხალხის გმირობისა და ეთიკაობის მრავალსაუკუ-

\* დასაწყისი იხ. „საბჭოთა ხელოვნება“ № 5, 1971 წ.

ასეთი პიესის გამოჩენა ქართულ დრამატურგიასა და ჩვენი თეატრის ცენზურ თავისთავად მოსაწყვეტად ერთგულ მწერლობისა და ხელოვნების კეთილშობილურ მისწრაფებას — გამოხმაურებდა იმ ახლებურ პროცესებს, რომლებიც იმაღლებდა სამბოთა საზოგადოების განვითარებაში ჩვენი სამშობლოს ისტორიის ახალ საფეხურზე. გაცხილილი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პერსპექტივები ახალ ამოცანებს უყვებდა სამბოთა მუცნიერების ყოველ დარგს. ბრძოლა ყოველივე დრომოჭმულსა და კონსერვატორულ ცურვებთან წინააღმდეგ ასეთ ვითარებაში აუცილებელ პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენდა. ეს გარემოება განსაზღვრავდა გ. შატერაშვილის სწინებულ პიესის მნიშვნელობას, თუმცა იგი დასლევულს როდეს იყო ცალკეული პროფესიული ნოვოკრანტიზმისაგან, რაზეც თავის დროზე მიუთითებდა ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა.

ცოტა დროს ადრე ანალოგიურ თემაზე იღო მოსაშვილმა დაწერა იმ წლებისათვის საკმარის გახმაურებულ პიესა „მისი ვარსკვლავი“. ამ პიესაშიც დრამატული კონფლიქტის საფუძველს შეადგენს მძაფრი შეჯახება ნოვოკრატორულ მეცნიერულ აზრისა კონსერვატორულ დოგმატსა და რუტინიორულ ავტორიტეტებთან. ახლავაზრდა სპეციალისტის გამოგონებულ გიგანური ნამდვილი შთაგონებითა და გატაცებით იღვწის ცხვრის ახალი გაუმჯობესებული ჯიშის გამოსაყვანად, რასაც უდიდესი მნიშვნელობა უნდა ექნეს ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის. მაგრამ ნიჭიერი ნოვატორის შუამობას გააფთრებთ ეწინააღმდეგება ოდესღაც შეთვისებულ და გარდაულ შემხედველად მიჩნეულ მეცნიერულ ნორმებზე გაკეთებულ პროფესორი ზანდუკელი. ამ ორი სოციალური ტიპისა და ადამიანური ხასიათის, ამ ორი მეცნიერული პოზიციის მწვავე დაპირისპირების პერსპექტივები პიესაში გართულებული და გამძაფრებულია სხვადასხვაგვარი სიტუაციით, რომლებიც ხან საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფეროს მოიცავენ, ხან — პირად-ოჯახურ დამოკიდებულებათა რგალებს.

ეს პიესა მაშინ იწერებოდა, როცა სამბოთა მეცნიერების სხვადასხვა დარგში და, კერძოდ, ბიოლოგიურ მეცნიერებაშიც მწვავე დისკუსიები მიმდინარებდა მეცნიერული აზრის ახალი აღმავლობისათვის, ყოველივე პროგრესულია და ნოვატორულის დამკვიდრებისათვის ბრძოლის წინშით. ამგვარ მეცნიერულ დისკუსიათა ატმოსფერო იღო მოსაშვილმა უაღრესად, როგორც იტყვიან, მოვლენათა „ცხელ კვალზე“ გადმოიტანა თავის პიესაში, „სახეობადილად“ გადათარგმნა დრამატურგიულ ენაზე, რამაც ერთგვარი ელესტრატორული ხასიათი მისცა მის ნაწარმოებს და მიუღწეველი გახადა მასში ფართო მხატვრული განხილვა-დოღბინა. მაინც ამ პიესამ და მის საფუძველზე შექმნილმა სპექტაკლმა თავის დროზე ცხოველი საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვია.

ასევე მოწვევად გამოემხმარა მაყურებელთა ფართო წრე იღო მოსაშვილის პიესას „ჩაიბრული ქვები“. ჩვენი დროს ამ ერთ-ერთი საუკეთესო პოეტის დრამატურგიული ნიჭიერების უპირველესი თვისება მის იყო, რომ იგი ყოველთვის ეხმარებოდა უაღრესად აქტუალურ საზოგადოებრივ მოვლენებს. ყველა თავის დამოუკიდებელ ნაწარმოებში იგი აღწევდა მკითხველსა და მაყურებელს სულიერ სამყაროში ბრძედ წვდომის ძალას. სწორედ მაშინ, როდესაც, დიდი სამამულო ომის ძლიერამოსილად დაძაბურობასთან დაკავშირებით, ქართული საზოგადოების ფართო ფენებში ცხოველი ინტერესი აღძრა უცხოეთის მიერ მიტაცებულ ქართულ მიწა-წყალზე მცხოვრებ მრავალრიცხოვან ქართველი მოსახლეობის ბედ-იბღლის მიმართ,

იღო მოსაშვილმა დაწერა ღრმა პატრიოტული მკვლევარებით აღბეჭდილი პიესა „ჩაიბრული ქვები“. ქართული ლიტერატურის ისტორიაში ეს იყო პირველი ნაწარმოები, რომელშიც გამახატებდა ჰომეო უცხოეთში მოსახლე ქართველობის დღებში ყოფა-ცხოვრებამ, იმ უკიდურესმა სიციველურმა და ეროვნულმა ჩაგვრამ, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში განიცდიან დედამამშობლოსაგან მოწყვეტილი ჩვენი თანამოქმედნი, რომელთაც ისტორიის უკუღმართობამ ბედად არგუნა ცხოვრება კაპიტალისტურ სამყაროში, სადაც ეროვნული დიკრიმინაციისა და სოციალური ტირანიის უსაკრესესი პოლიტიკა მძვიზვარებს და სადაც დაუნდობლად იდევნება დემოკრატიული და პროგრესული მისწრაფებათა ელემენტარული გამოვლენებიანი. პიესაში შთამბეჭდავად არის წარმოსახული ის გასაოცარი, მართლაც სასწაულომჭიმელი სულიერი მშენობა და გამძლეობა, რომლის მეოხებითაც უცხოეთში მცხოვრებთ შეუნარჩუნებიათ შობილიური ნაც, ეროვნული გრძობა, და-უცხოებოში სიყვარული სამშობლოსადმი, შთაგონებული თვების აღორძინებულ საქართველოსათვის, განახლებული, ნათელი და თავისუფალი ცხოვრების მშენებელ ქართველ ხალხთან სისხლსორვეულ კავშირ-ურთიერთობაზე. მწერალმა პირუთენილი სიმართლით გვიჩვენა ამ ნაწარმოებში, რომ თანამედროვე იმპერიალისტური რეაქციის სამყაროში მძვიზვარე ყოველგვარი ბოროტებისა და უსამართლობის სურსათდამგმობა ამერიკის მმართველი წრეები, რომლებიც თანმიმდევრულად ისწრაფიან და ძალდონეს არ ზოგავენ იმისთვის, რომ მსოფლიოს ყოველ კონტინენტზე, დღემდეც ყოველ კუთხეში ჩაახშონ თავი-სუფილი აზრისა და სოციალური პროგრესის მოძრაობა, გაახანგრძლივონ ისტორიის მიერ სასიკვდილო განწირული კაპიტალისტური ტირანიის არსებობა.

იღო მოსაშვილი „ჩაიბრული ქვები“ იმგავანად წერდა, რომ პირადად ნახანი, უმუშაოდ მდგომარეობა და განცდილი არ ქონდა ის ცხოვრებისეული მასალა, რომელსაც პიესა ეყარება. ამიტომ ნაწარმოებში უფრო მეტრის მხატვრული ალბო, მისი შემოქმედებითი აზრი, პოეტური ფაქტაზია მოქმედებს, ვიდრე რეალური სინამდვილის დაწვრილებითი ცოდნა და ცოცხალი ცხოვრებისეული მოვლენების განზოგადების ხელოვნება. და მით უფრო მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ის იდეურ-მხატვრული ეფექტი, რომელსაც დრამატურგმა ამ თავისი ნაწარმოებით მიაღწია. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ამ პიესის დადგმა რუსთაველის სახელობის თეატრის ცენზაზე ორმოციანი წლების მიერვე ნახევრის ქართული თეატრალური ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო, თუ მხატვრული ნაწარმოების შეფასების უპირველეს კრიტერიუმად ხალხის სულიერი ცხოვრებაზე კეთილმოვლელი ზემოქმედების ძალას მივიჩნევთ. შენარალი ამ პიესაში უფრო ქართული ხალხის მრავალსაშუალონი ისტორიული ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე მწვავე და მტკივნეულ, მოუშვებელი წულუსა, ერთ-ერთ ყველაზე ბოროტ მემკვიდრეობას, რომელიც ჩვენმა მკაცრმა და სუსხინანმა ისტორიამ დაგვიტოვა და, რომელსაც ვერასოდეს შეურიგდებდა ქართული ხალხის აზრი და გული. უნდა ითქვას, რომ ეს პიესა წლების შთაგონებით და გულის სიბრძნედ ჩაწვდომი ხელოვნებით განასახიერა რუსთაველის სახელობის თეატრმა.

ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების განვითარების სრულიად საწინააღმდეგო პროცესი ასახა იღო მოსაშვილმა თავის უკანასკნელ დრამატულ ნაწარმოებში „გზა მომავლისა“. პიესაში წარმოსახულია ქართული ხალხის ცხოვრება მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, როცა მეზობელ შამადიანურ სახელმწიფოთა დაუსრულებელი

დამპყრობლური თავდასხმების შედეგად სისხლისგან დაცლილი საქართველო დაეინებით ეიბდა ფიზიკური გადარჩენის შემდგომი ეროვნული და სახელმწიფოებრივი არსებობის გზას. საქართველოს საუკეთესო შეიჯივრება და უკვიკავის ხელმძღვანელებს უკვე დიდი ხნის წინათ პიონრთა ალებზედა კურსი ჩრდილოეთ დიდ ერთმონებრულ სახელმწიფოსთან კავშირისა და მიერობის დამყარებაზე და აი, ამგვარი ორიენტიაციის საბოლოოდ ჩამოყალიბება და განხორციელება ისტორიამ არაბუნა წილად დიდ ქართველ მხედართმთავარსა და გამჭირას სახელმწიფო მოღვაწეს ერეკლე მეორეს. საქართველოს ისტორიის ამ ერთ-ერთი უპირველესი გმირის საბრძოლო ცხოვრებასა და ღვაწლს მიუძღვნა ილიო მოსაშვილმა სხენებული პიესა.

დრამატული კონფლიქტის საფუძვლად მწერალმა აიჩრია სწორედ ის მძაფრი წინააღმდეგობანი და მწვავე ბრძოლები, რომლებიც იმდროინდელს საქართველოში ქვეყნის მმართველ და ხელმძღვანელ წრეებში მიმდინარებოდა საკარგო-პოლიტიკურ ორიენტაციის საკითხთა გარშემო. როგორც ცნობილია, ვერაჯიბთან წინააღმდეგობაში, ვერც ირანის შაჰისა და თურქეთის სულთანის შუქრამ, ვერც შირსხანე შაჰ-აბასის სისხლიანა შემთხვევამ, ვერც ზოგადი თავისი უახლოესი თანამოღვაწის ანდრომამ და ლაღატკა — ვერაჯიბმა ვერ შეაკვლევინა ერეკლე თავისი მტკიცე გადაწყვეტილება ქართველი ხალხის მომავალი ბედის უზრუნველყოფის საკითხში. მის დიდებულ სასილთან არის დაკავშირებული ისეთი ორმა შემთხვევა საქართველოს ისტორიული ცხოვრების გზასა, როგორიც იყო რუსეთთან ჩვენი ქვეყნის საზღვაოდამეკობრება და შეერთება. რასაკვირრებლია, ადვილი არ იყო საქართველოსთვის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრებაზე ხელის ალება და შემდეგაც, თვითმპყრობლური რუსეთის ველურმა კოლონიზატორებმა პოლიტიკამ არა ერთი მწვავე ტაქტილი და განსაკუთრებული აწინააქართველ ხალხს. ამიტომაც სიცოცხლეშივე და სიკვდილის შემდეგაც ერეკლე მთორე გამუდმებულად იღვრა ერისა და მოამომავლობის სამსაჯაროს წინაშე. როგორც ცნობილია, გასული საუკუნის საქართველოს უდიდესი შვილები, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციური ბრძოლის მებრძოლები ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვები მხურვალედ უჭერდნენ მხარს და ამართლებდნენ ერეკლეს ორიენტაციას, ქართლის ბედის ერეკლესულ გადაწყვეტილებას და აი, ილიო მოსაშვილმა თავის პიესაში კიდევ ერთხელ აღმზარეს დიდი ისტორიული პირობლება, განაგრძო და განავითარა, ახალის ძალით მხატვრულად დასაბუთა ჩვენი კლასიკური მწერლობის მიერ შემუშავებული და დაცვნილი ტრადიცია ამ საკითხში.

„ჩაბირული ქვეები“ და „გზა მომავლისა“ — ამ ორი პიესით ილიო მოსაშვილმა თვალნათლივ ავიჩვენა, თუ როგორი ბედი მოელოდა ქართველ ხალხს, მთლიანად საქართველოს, რომ ერეკლე მეორეს მღვდარ მელაქას და გამჭირბა გონებას დროულად და ბრძნულად არ განეჭირებტა ჩვენი ქვეყნის შემდგომი ისტორიული განვითარების ერთადერთი შესაძლებელი და საიმედო გზა. ილიო მოსაშვილი ვეღარ მოხსწრო ამ პიესის დადგმას რუსთაველის სახელობის თეატრში. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ილიო მოსაშვილმა სულ რაღაც 4-5 წლის განმავლობაში ქართული საბჭოთა თეატრის რეპერტუარის ოთხი პიესა შექმნა: — „სადგურის უფროსი“, „ჩაბირული ქვეები“, „მისი ვარსკვლავი“ და „გზა მომავლისა“, ადვილი წარმოსადგენი იქნება, თუ როგორის ინტენსივო-

ბით მუშაობდა იგი თავისი ცხოვრების ბოლო წლებში დრამატურული ვარნი და როგორი დანაწილის განიცადა ქართულმა თეატრმა და დრამატურგიამ ამ მაღალნიჭიერი მწერლის მოულოდნელი და ნადრევი გარდაცვალებით.

ილიო მოსაშვილის ისტორიული დრამის გამოჩენა ირმევიდაათინა წლების ქართული თეატრის რეპერტუარში იმის მომასწავებელი იყო, რომ ჩვენი დრამატურგიის მკვეერი შემობრუნება თანამედროვე თეატრიკისაკენ სრულდაც არ ჩაუხშვია ჩვენი მწერლობისა და თეატრის შემოქმედებითი ყურადღება და ინტერესები ქართველი ხალხის იშვიათად გმირული და საამაყო ისტორიისადმი. რაგინდ დიდიც არ უნდა იყოს კანონიერი მისწრაფება ჩვენი ხალხის თანამედროვე ცხოვრების სრული და მართალი წარმოსახვის მხატვრულ შემოქმედებაში, ქართული მწერლობა და ხელოვნება მაინც ვერასოდეს ვერ იქნება ვერ-ლონი ჩვენი სამშობლოს იშვიათად ტრადიციულ, მაგრამ ასევე იშვიათად გმირული წარსულისადმი. ამიცანა მხოლოდ ის არის, რომ ისტორიული თემატიკა ან ჩრდილოდაც თანამედროვე მხატვრული კულტურის მასწავლებელი უპირველეს წყაროს — ჩვენს თანამედროვეობას, მის აქტუალურ თემებსა და პირობებმტკიცებს, თანამედროვეობის გმირის სულიერი ცხოვრების მხატვრული კვლევისა და გამოხატვის ამოცანებს. „დისტანციის პათოსის“ თეორია და პრაქტიკა დიდი ხანია დაძლეულია და გადალახულია საბჭოთა მხატვრულ აზროვნებაში. შეიძლება გადაუჭარბებულად ითქვას, რომ ამჟამად სიახლს გრძნობდა, დღევანდელი დღის სუნთქვა, განუყოფელია ბატონობს ჩვენს მხატვრულ კულტურაში. მაგრამ ეს იმას როდნი ნიშნავს, რომ თანამედროვე გამაინის სულიერი ინტერესების სფეროდან სასებეთი გამოთიშული და იგნორირებული იყოს ახლოდები თუ შორედები ისტორიული წარსულის განცდა და ბუნებრივია, რომ ქართული მწერლობა და ხელოვნება ვერასოდეს ვერ აუვლის ვეგდეს ხალხის ამ ბუნებრივად და კანონიერ მოთხოვნებს.

დამახასიათებელია, რომ სწორედ ისტორიული წარსულის თემზე დაწერილი პიესით შემოდგა ფენი ქართული დრამატულ მწერლობაში და ქართული საბჭოთა თეატრის სცენაზე მიხეილ მრეველოშილმა, რომელმაც უაღრესად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თანამედროვე ქართული თეატრისა და დრამატურგიის განვითარებაში.

მიხეილ მრეველოშვილის პირველი პიესა — ისტორიული-ბიოგრაფიული დრამა „ნ. ბარათაშვილი“ დიდი წარმატებით იდგმებოდა რუსთაველის თეატრის სცენაზე ორმოციანი წლების დამლოყისა და ორმოცდაათინა წლების დამდეგის თეატრალურ სეზონებში. გენიალური ქართველი პოეტის ცხოვრების ისტორია, აღსავსაა დრამად მხატვრული სიტუაციებით, უმწვავესი განცდებით, უაღრესად რთულ საზოგადოებრივ და პირდაპირ ურთიერთობათა პერიპეტეობით, გამოხატულია იმ ისტორიული ვითარების ფონზე, როდესაც საქართველოში რუსული თვითმპყრობელური რეჟიმის დამკვიდრება და მისი სასტიკი კოლონიზატორული პოლიტიკა შეურიგებელი პირობებტკაცსა და გულისწყრომას იწვევდა ხალხის ფართო ფენებში და განსაკუთრებით ინტელიგენციის პროტრესულ წრეებში. მაგრამ ამავე დროს საფუძველი ყურებოდა რუსული და ქართული კულტურის მოწინავე მოღვაწეთა წრეებ სულიერი ნაიფასობასა და თანამეგობრობას, რაც უაღრესად კეთილმყოფელ ზეგავლენას ახდენდა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე და ამახადებდა იდუარ-მორალურ



აქმოსფეროს ქართველი ხალხის გროვულ-განმათავისუფლებული მოძრაობის აღმოცენება-გარემავებისათვის.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი ცხოვრების ისტორიაში, მის აზროვნებასა და მოღვაწეობაში და უპირველეს ყოვლისა, მის პოეტურ შემოქმედებაში, როგორც ფოკუსში, ასევე აქ ურთულესი ისტორიული ეპოქის დამახასიათებელი პროცესები და სწორედ ამ საპქეტო პირის დახატული და გაშუქებული პოეტის სულიერი სამყარო მ. მრველშვილის პიესაში. დრამატურგი შეტად რთული შემოქმედებითი ამოცანის წინაშე აღმოჩნდა. მართლაც ძნელი იყო და ეგებ, შეუძლებელიც სცენური მოქმედების პლასტიკურ ფორმებში გამახსატვა მთელი იმ ფილოსოფიური სიღრმისა, აზრთა, გრძნობათა და განწყობილებათა იმ იშვიათი სიმდიდრისა და მრავალმხრივობისა, რითაც ბარათაშვილის პიროვნება, მისი უტყუარი პოეტური მემკვიდრეობა ხასიათდება. ამიტომაც მწერალმა პიესის სუბიექტური განვითარების ცენტრში ფაქტორიწე ჭაჭაჭავაძისაძენი პოეტის სატრეკული ურთიერთობის უფლებრი დასასრულის ისტორია დააყენა. ეს ურთიერთობა მართლაც შეიცავდა ღრმად დრამატიკულ სცენური სიტუაციებისათვის საკმარის მასალას, მაგრამ ამ პირადულ-ინტელექტუალ მოტყის არ შეიძლებოდა დაკარგებოდა პოეტის სულიერი ევოლუციის, მისი მსოფლმხედველობის და მისი მოქმედებითი ბუნების განმსაზღვრელი ფაქტორის მნიშვნელობა. ამ გარემოებას, რასაკვირვებელია, არ შეეძლო თავისი დიდი არ დაქინდა პიესის და სამექტაკლისათვის. მაგრამ ამან ვერ ჩაახშო მ. მრველშვილის ნაწარმოებისა და რუსთაშვილის თეატრის სამექტაკლის პატრიოტული ელენადობა, მათი თეოკული პათოსი, დრამატული მგზნებებება. პიესა და სამექტაკლი აღესაყვა ლირიკით, პოეზიით, მადალი აზრობრივი და ზნეობრივი შინაარსით, რითაც „მ. ბარათაშვილი“ წლების განმავლობაში იზიდავდა და ხიბლავდა ფართო თეატრალურ აუდიტორიას. სამექტაკლის უპირველეს მხატვრულ მიღწევას, რასაკვირვებელია, გიორგი გვიგეძკორის მიერ შექმნილი პოეტის წარმეტყულები წარმოდგენდა, რომელიც არა მარტო ამ გამოჩენილი მსახიობის, არამედ საერთოდ ქართული საბჭოთა აქტიური სკოლის თვალსაჩინო მონაწილე იყო.

ასე „იღობიანად“ დაიწყო მიხეილ მრველიშვილის მოღვაწეობა დრამატული მწერლობის დარგში. მალე მორფანოშვილის სახელობის თეატრში დაიდგა მისი მთავარი პიესა „ხარტაბანთ კერა“. ეს იყო სცენური რეაქცია თავის სახელწოდების მისი მოთხრობისა, რომელიც თავის დროზე ომის შემდგომი პერიოდის დასაწყისის ქართული მხატვრული პროზის ერთ-ერთი თვალსაჩინო შენაძნედა იყო აღიარებული. პიესაში ასახულია ქართული საკულტურული სოფლის დაძაბული და მრავალმხრივად გართულებული ცხოვრება სამაშალ ომის წლებში. პიესის ძირითადი პათოსი და მიზანდასახულობა იმაში მდგომარეობს, რომ გვიჩვენოს სულიერი ძალა, სიმტკიცე და მორალური კეთილშობილება საბჭოთა ადამიანისა, რომელმაც უდრეკი ნებისყოფით გადაიტანა ყოველგვარი განსაცდელი და შეუბრალავდა შენარჩუნა თავისი ადამიანური ღირსება და მორალური სახე. პიესის მთავარ გმირს — ასალგაზრდა კოლმურენე ჭალს ნატო ხარატელის ცხოვრებამ მრავალი სხვადასხვაგვარი სიძნელე და განსაცდელი დატეხა თავს. ბრძოლის ველზე წასული მისი საყვარელი მუღლისაგან აღარაფერი ისმოდა და იგი დაღუპულად ით უგზო-უკვლოდ დავარგულად მიიწინა სოფელმა. ასალგაზრდა ჭალს გაუარესდა ოჯახის მიწოდის, საკულტურული სოფლის შრომის ცხოვრებაში მონაწილეობის ტვირთი. ამას ისიც დაერთო, რომ უქმროდ დარჩენილამას ასალგაზრდა ჭალს მაცდუნებლად ეტრფოდა კოლ-

მურნების თავმჯდომარე, საყოველთაო პატივისცემით გარემოსელი სოფლის თავიკვი ამისა სუკურაული. ეს გარემოება აბრახუნდა ნატოს მამამილის, პატრიარქალური ადამიანევიტი გონებადამნებულ სურის ხარატელს, რომელიც ეჭვებით შეპყრობილი, გადაჭრით უწინადადებოდა რძლის მინაწილბრის საკულტურული შრომაში და ცდილობდა ჭალის ოჯახში ჩაკეტილი დაეცვა შინთვისკვლიერითადიერი ვაჟის სახელი და ღირსება. ყოველივე ამას ის დიდი უხედურებაც დაერთო, რომ ნატოს მძიმედ დაუყავდა ერთადერთი პირში და დედის თავგანწირული ბრძოლა ამო აღმოჩნდა, ბავშვი დაიღუპა. ყოველივე ამან, ცხადია, უმწავაკის ტკივილები აწვინა ნატო ხარატელს, მუშახრება და განკურნებელი წყლული გაუჩინა მის სულიერ სამყაროს, მაგრამ ვერ გატეხა, ვერ დასცა, ვერ დააბრუნა იგი, ვერ შებრალა და დაამახინჯა მისი მორალური სახე. და როდესაც ყველასათვის მიუღწეულად, სამუდამოდ დაკარგულად მიჩნეული მუღლე ნატო ხარატელსა უცვლად დაუბრუნდა მშობილურ სოფელს, ჭალი პირნათლად შევიდა ბრძოლის ქარცხენლმად განარჯვებულად დაბრუნებულს, მიმივე ჭრილობებისაგან განკურნებულ ვაკაცს. ნატო ხარატელს ერთი წუთისადაც არ უღალატინა თავის მაღალი ადამიანური მთავრობისათვის ხალხის და კოლმურენების, ქმარ-შვილისა და ოჯახის, საკუთარი სინდისისა და მოქალაქეობრივი შეგნების წინაშე.

ეს პიესა და მის საფუძველზე ჩვენი მადალიტიკური რეჟისორის არჩილ ჩხარტიშვილის მიერ შექმნილი სამექტაკლი ელენა, როგორც მთავარიტიკონი მძინე სამბჭოთა ადამიანის სულიერი მტერებისა და მშვენიერებისაძენი, რომელთა მეობრითაც ქვირება სამშობლოდ მოიპოვა დიდი ისტორიული გამარჯვება საკურნის უპირობეს ძალაზე — ფაშისტურ გერმანიაზე. ამ სამექტაკლმად ერთსულიერი მოწოდება პიესა როგორც მათურებლობა ფართო წრეებში, ისე პიესასა და თეატრალურ კრებებაში.

მაგრამ მიხეილ მრველიშვილის ყველაზე მნიშვნელოვან წარმატებას დრამატულის დარგში წარმოადგენს პიესა „ზვავი“, რომელიც ომის შემდგომი ჩვენი ერთეული არ დრამატული მწერლობის საუკეთესო ნიმუშია რიჩხეს მიეკუთვნება. ეს პიესა საბჭოთა სასოჯადობის ისტორიის — ხოსის რკაპის — გაშლილი კომუნისტური სასოჯადობის მწვენილობის თანამედროვე პერიოდის გარიჟრაჟზე იწერებოდა, როცა კაპიტალისტური წარსულის ნეტივად გამოწინაშობისაგან საბჭოთა ხალხის სულიერი სამყაროს საბოლოოდ დატყვევების ამოცანას მძაფრი აქტუალობა და სასოჯადობად უკლებილი მნიშვნელობა მიენიჭა. „ზვავიში“ მონაწილეობილი მთელგვარობა და დიდი მამოხლებელი ძალით არის გამომხატული მავნებელი და საბჭოთა სასოჯადობის განათავრების შემაფრნებელი მნიშვნელობა, ძველ, დროშობულ ცრომომწუნებულ ტკივილში მყოფი, კერძომსაკუთრული მორალისა და ფსიქოლოგიის მახინჯი თვისებების მტარებელი მანკიერი ადამიანი და ამასთანავე დამარწმუნებლად არის ნაჩვენები ასეთი ადამიანის გარდულადი სასიკვდილო განწირულობა თანამედროვეობის ნათელ ტყენილყოფიან და ახალი სამყაროს მწუნებელ ადამიანებთან შეჯახებისას.

ზ. წერეთლი  
შემოდგომა.

# კამერული მუსიკის საღამო

ნანა ქავთარაძე

ჩემში ოპერის სოლისტთა არტისტულ ბიოგრაფიაში აღორძინებულ კამერული კონცერტების ტრადიციას კიდევ ერთი სასიამოვნო საღამო შემატა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ნათელა ტულუშის მონაწილეობით ამ საქმის ერთგულმა თაოსანმა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა, კონცერტმეისტერმა ვაჟა ჩაჩავამ.

კამერული კონცერტებით თბილისის ოპერის წამყვან სოლისტთა და ინტერესების ფაქტი თავისთავად მეტყველებს მათს მაღალ ვოკალურ კულტურასა და სამეცნიერებლო ოსტატობაზე, ხოლო ამგვარ საღამოებზე მათთან შეხვედრები კი გვარწმუნებენ იმ მხატვრული შესაძლებლობების მანამდე მთვლემარე მხარების უჩვეულო გამოხატებაში, რომელიც ხშირად მსმენელისათვის

შემუხრცველი რჩებოდა მათი საოპერო რეპერტუარის ერთფეროვნების ნიღაბქვეშ.

საკონცერტო რეცენზიის ტრადიციის დარღვევას ალბათ არ მისაყვედურებენ ვოკალისტები, თუ კონცერტის შეფასებას დაევიწყებ არა სოლისტის ერთობლივი მხატვრული ტაქტით, როგორცაა ვაჟა ჩაჩავა, რომლის კამერული საღამოები ჩვენი თეატრის მომღერლებთან ერთად ხშირად საინტერესო შემოქმედებით დღეცად იქცევა ხოლმე.

მედია ამირანაშვილის, ზურაბ სოტკოლავას, რეზო კაკაბაძის, თენგიზ მუშკუდიანის, ლამარა ჭყონიას, ირაკლი შუმანიას, ნათელა ტულუშის კამერული კონცერტები ვაჟა ჩაჩავას კონცერტმეისტერობით ჩვენი მუსიკალური ცხოვრების მართლაც სამახსოვრო საღამოებად იქცა თავისი

მრავალფეროვანი პროგრამით, თითოეული მომღერლის ვოკალური ბუნების შესატყვისად საინტერესოდ შერჩეული რეპერტუარით ანსამბლის მაღალი ხელოვნებითა და მხატვრული ტაქტით. ამავე დროს ყოველი მათი კონცერტით იგრძნობა დიდი შრომის, ძიების, მხატვრულ ინტერესთა გაფართოების მომცველი წინამძღვრები და ის გატაცება, ერთსულფენება, რაც ამ საღამოებს ოსტატურ ელვარებასთან ერთად გამერული მუსიკისათვის დამახასიათებელი ინტიმური სითბოსა და სიმყუდროვის მომხიბვლელი შარავანდედით მოსავს.

ასე იყო ნათელი ტულუშის კამერული კონცერტი. ამ მომღერლის სამემსრულებლო სტილი, ვოკალური მონაცემები, მაღალი პროფესიული



ნათელა ტულუშის და ვაჟა ჩაჩავა.

სახე და ადგილი ჩვენს თეატრისა და რესპუბლიკის მუსიკალურ ცხოვრებაში უკვე მკაფიო ხანია გარკვეულია, თუნდაც სახალხო არტისტების სპატიო წოდებით. ჩვენს მაყურებელს ქართული ოპერის სცენიდან იგი ხშირად მოუხმენია „როგოლეტოში“, „ტრაჯიატოში“, „ტრუბადურში“, „დონ-ჟუანიში“, „დონ პასკალიში“, „აბესალომ და ეთერში“, „ლუნია დი ლამერმურში“ და სხვ. ნათლად ტულუმს ქართული ვოკალური ხელოვნების დირსება დაუცავს აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის არა ერთ ქალაქში.

მისმა პირველმა გამორეულმა კონცერტმა, შემოქმედებითი „განახლება“ თვალსაზრისით, სასიამოვნოდ გაგვიკაჟა მომღერლის მხატვრული შესაძლებლობების სიფართოვით და დაგაფიქრა მისი გამონახტვის შემზღუდევე პირობებზე თეატრში რეგლამენტირებული საოპერო რეპერტუარის გამო. რეპერტუარს დამუშავებანება კი, მოგეხსენებათ, ჩვეულების სტაბილურობას იწყევს და შემოქმედის მხატვრული ზრდის დამამუშუებელიც არის.

კამერული მუსიკის საღამო, უპირველესად იყო შეხვედრა მრავალფეროვანი და სტილისტურად რთული პროგრამის საინტერესო დამუშავებასთან. აქ იყო კლასიკა და თანამედროვეობა, ევროპელი, რუს და ქართველი კომპოზიტორთა ნაწარმოებები; მათ შორის ისეთი ავტორებიც, რომელთა საშემსრულებლო ტრადიციას ჩვენში საკმაოდ ღარიბია. ეს ითქმის ნათლად ტულუმის მიერ შესრულებულ ჰენდელის, მოცარტის, ბახის არასაოპერო არიებსა და აგრეთვე მეტნერსის ვოკალურ მინიატურებზე, რომელთა სტილიც და ვოკალური მეტყველების თავისებურება შესატყვის ინტონირებას, დახვეწილ კამერულ ხმოვანებასა და გემოვნების ინტელიგენტობას მოითხოვს. მით უფრო მისასაღებელი იყო ამ მინიატურების სტილისაღმი ვოკალისტის ფაქიზი დამოკიდებულება

და მეტნერსეული „ლირიკული აღსარების“ ინტიმურობაში შეჭრის უნარი, თუ გავითვალისწინებთ ისეთ ანაკამერულ ატმოსფეროს, როგორცაა ოპერის თეატრის სცენა. შესაძლოა, სწორედ ამ უკანასკნელმა მიაყენა ჩრდილი კამერული მომღერლის ერთ-ერთ აუცილებელ ფენომენს — მაკაფიო დიქციასა და მხატვრული სიტყვის მსმენელამდე მიტანის რთულ ხელოვნებას.

საინტერესო იყო კონცერტის ავტორთა მიერ პროგრამის თანმიმდევრობის დაცვა. მინიატურების ნატიფი კამერული ხმოვანებიდან კრემჩენდის პრინციპით ვერდისა და ბელინის ბრწყინვალე არიების სასვე ხმოვანებზე გადასვლა, რასაც ნათლად ტულუმმა არ მოაკლო ოსტატური ელვარება და ბელკანტოსეული ვირტუოზობის სხეი.

კამერული კონცერტის პროგრამის ზოგიერთი ვოკალური მინიატურა, ერთი შეხედვით, თითქოს არც კი შეეფერებოდა კოლორატურული სიპრანოს ტრადიციულ ამპლუსს, მაგრამ თანამედროვე ვოკალური ხელოვნების მაღალი მოთხოვნები და ოსტატობის შესაძლებლობანი ისე სხვრევენ რეპერტუარულ ზღუდეებს და ჩვენ მოწმენი გაგხდით იმისა, თუ რაოდენ ნაყოფიერი სხვაგვარება მოახდინა კამერული მინიატურების „ჩელოს რეგისტრის“ სირბილემ მომღერლისააიკის დამახასიათებელი მჭრელი სიმკვეთრის მაღალი რეგისტრზე, რომელიც ამ საღამოს კეთილმოზილიური სიფიქსილიებით გამოიყურებოდა.

ნათლად ტულუმში არ „შეშინდა“ კონვერციას ქართულ ავტორთა ერთზე რეპერტუარულ ნაწარმოებთა გამოტანაში, როგორცაა ა. მაკავარიანის „შეთა შორის სახე“, რ. ლალიძის „მაკონდება ჩუქურთმაში ყვავილი“ და ო. თაქაჩიშვილის „წყარო“ და „სურაფიტა“. ეს ნაწარმოები მისი კოლეგების რეპერტუარში დიდი ხანია დამკვიდრდნენ. მით უფრო საინტერესო იყო მომღერლის მიერ საკუთარი მხატვრული ხედვით

ამ ეროვნულ ქმნილებათა დამოუკიდებელი და განსხვავებული სახეები შექმნა. დღეს ჩვენთვის საინტერესოა არა ეროვნოვანი ხმის მომღერლობა შორის პირველობის პრობლემის გადაწყვეტა, არამედ საუკეთესო შემსრულებელთა მიერ ნაწარმოების საინტერესო მხატვრული გადაწყვეტა. ამგვარ შემსრულებელთა სიმრავლე ეროვნული კამერული რეპერტუარის შემქმნისა და გაფართოების საწინდარია. ნათლად ტულუმის ეროვნული მუსიკის მოჭირახხულვა და მისი სახით ამ ნაწარმოებებს კიდევ ერთი საინტერესო ინტერპრეტაციით გაძიოუნდა.

სხვადასხვა ეპოქა სხვადასხვა სტილი და საკომპოზიტორო ხელწერა მომღერალმა მათდამი პოეტური დამოკიდებულებითა და მხატვრული ტაქტიტ გააერთიანა.

თუ კონცერტის ლირიკულ ნაწილში ნათლად ტულუმის სიმღერა მსუბუქი, რბილი და დახვეწილი სახელებით იფერებოდა, რასაც ნაწარმოების მიმართ მომღერლის ძალდატანებელი დამოკიდებულება ერთვოდა, საკონცერტო საღამოს კულმინაციას მთელი დატვირთვით გაიხმა ტულუმის ხმის ძალა და მისი ოსტატობის შესაძლებლობანი.

კონცერტის მომთხველი მხარე კიდევ ის იყო, რომ მისმა საერთო ატმოსფერომ მსმენელზე დატოვა უშუალო და ხელოვნებისაგან შორს მდგომი მუზიკირების შობაგვიდოდა, როდესაც შემსრულებლები ამაღლებულ და კეთილმოზილურ ხმოვანებაში წარმოსახავდნენ კლასიკური სტილის არიებს, ხოლო რომანტიკული განცდებისათვის დახვეწილი ასოციაციებით სახიერ და ხატოვან მუსიკალურ მომენტებს ქმნიდნენ.

ნათლად ტულუმმა და ვაჟა ჩაჩავამ კამერული მუსიკის საღამოზე დაამკვიდრეს ატმოსფერო, რომელშიც პროფესიული მოკრძალები უკან იმალებოდა დიდი ელვადი, პასუხისმგებლობაც და შემოქმედებითი წიგის სიხალისეც.



საპარტიველოს სსრ  
და საპარტიველოს  
კომპარტიის 50  
წლისთავისადმი  
მიძღვნილი  
გამოფენიდან



კ. გრიგოლია. ახალგაზრდა შამაგაის პორტრეტი



ი. მაღვიძაძე.  
აბრეშუმის პარკის გარჩევა.

# ტ ა შ ტ - ა ბ რ ა ბ ი

აკაკი შანიძე

მელქისედეკ კათალიკოსის „დაწერილიში“, რომელიც ექვსჯერ არის გამოცემული,<sup>1</sup> სვეტიცხოვლისთვის შეწერიულ საგნებს შორის იკითხება: „ვეცხლისა ტ ა შ ტ - ა ბ რ ა ბ ი დი-დი, წყვილი ორი, და ბერძული ტ ა შ ტ - ა ბ რ ა ბ ი ვეცხლისაჲ ოქროათა ცურვებული“. აქედან ჩანს, რომ სამივე წყვილი ტ ა შ ტ - ა ბ რ ა ბ ი ვეცხლისა ყოფილა, ხოლო „ბერძული“ ტ ა შ ტ - ა ბ რ ა ბ ი ამასთანავე — ოქროით დაფერილიც. ამას გარდა, რაკი ორი წყვილი „დიდად“ არის დასახელებული, გვერნია, რომ მესამე წყვილი („ბერძული“ ტ ა შ ტ - ა ბ რ ა ბ ი) მომცრო იქნებოდა.

„ტ ა შ ტ - ა ბ რ ა ბ ი“ გვხვდება „ამირანდარეჯანიანშიც“, მუჭაბუკის კარში, სადაც იკითხება: „მივედით კართა ქალაქისათა. დგეს იგი ოთხნი ჭაბუკნი: იმარ ინდო და ღამარ ლაზნელი და ორ დავარელი<sup>2</sup> და მოსორ ნადირის-ძე. იმარ ინდოს ედგა წითელი პალატი და შიგან ძოწუქული კარავნი, ლაშქარნი — დიდნი. და იგი სამნივე ჭაბუკნი მის გვერდით დგეს. მუჭაბუკი ნადრობით წამოსრული იყო და ღარი არა ჰქონდა. წინათ წავიდა აბრამ. ვირე ჩუენ მივიდოდით, ჩამოიხუნა სკარამანგი კარავნი და პალატი დადგა მზისა ჭაბუკისთვის და ღარი, ვითა ხუდების, საგებელითა, ნიხთა და ტ ა შ ტ - ა ბ რ ა ბ ი თა და ყოვლითა ფერთა შეკაზმული იყო. მივედით და გარდავხედით მათ კარავთა შინა. და დადგეს ჩუენმა გვერდით ღორათ დილაში და იგი ამირ იამანელი“.<sup>3</sup>

„ტ ა შ ტ - ა ბ რ ა ბ ი“ რთული სიტყვაა და ორი ნაწილისაგან შედგება, რომელთა ზოგი ცალ-ცალკე ბეჭდავს: ტ ა შ ტ ა ბ რ ა ბ ი (ს. კაკაბაძე), ზოგი — დეფსით: ტ ა შ ტ - ა ბ რ ა ბ ითა (ლ. ათა-ნელიშვილი), ზოგიც — შეერთებუ-

ლიად: ტ ა შ ტ ა ბ რ ა ბ ითა (ს. ყუბანეი-შვილი, ი. ლოლაშვილი). შეერთებულად (ტ ა შ ტ ა ბ რ ა ბ ი) დაბეჭდა ნ. ბერძენიშვილმა მელქისედეკ კათალიკოსის გუჯარში და შეერთებულად გადაბეჭდა ი. დოლიძემ.<sup>4</sup>

ამ გამოცემათაგან სიტყვის ახსნა მოეპოვება ს. კაკაბაძეს, რომელიც ამბობს, ჭურჭელიაო (გვ. 182). ამასვე იმეორებს ი. ქავთარაძეც (ს. ყუბანეიშვილის გამოცემაზე დართულ ლექსიკონში, გვ. 448) და ლ. ათაწელიშვილიც (გვ. 834). ჭურჭელი კია, მაგრამ რა ჭურჭელია, ამას არავინ ამბობს, მიუხედავად იმისა, რომ დ. ჩუბინაშვილი თავის რუსულ-ქართულ ლექსიკონში, რომლის ბეჭდვა დასრულდა 1890 წელს,<sup>5</sup> ამ რთულ სიტყვას სწორედ „ამირანდარეჯანიანიდან“ იმეორებდა და კარგად ხსნიდა. ეს კომპოზიტი წარმოადგენს ტოლად შერწყმულ სახელს („ქალ-ვაყის“ ტიპისას) და, რა თქმა უნდა, დეფსით უნდა დაიწეროს: ტ ა შ ტ - ა ბ რ ა ბ ი.


რა არის ტ ა შ ტ - ა ბ რ ა ბ ი? ამ კომპოზიტის პირველი ნაწილი ცნობილი სიტყვაა დღესაც: ტ ა შ ტ ი აღნიშნავს სარეცხ ან საბან ჭურჭელს, რომელიც, ჩვეულებრივ, მრგვალია და სხვადასხვა მეტალისაგან არის დამზადებული (ძველად უმთავრესად სპილენძისაგან). იგი სხვადასხვა ზომისაა. მინახავს ისეთიც, რომ დიამეტრი 85 სანტიმეტრამდე ჰქონდა და ბაჭუყის ტანის დასაბანადაც იხმარებოდა.

ტ ა შ ტ ი სპარსულია წარმოშობით (თამთ). მაგრამ იგი არაბულშიც არის შესული და არაბული ფორმით (ტ ა შ თ) სპარსულსვე დაებრუნდა. გვეხვება იგი, რა თქმა უნდა, სხვა ენებშიც.

რაც შეეხება კომპოზიტის მეორე



სურათი № 1-2. ბერძული ტ ა შ ტ - ა ბ რ ა ბ ი.



4. „საბჭოთა ხელოვნება“ № 10, 1971.


ნაწილს, აბრაცს, იცევ სპარსული წარმოშობით, არაბულშიც არის გავრცელებული იბრიკის ფორმით (მეორე ე გრძელია), არაბულში მისი მრავლობითია აბარიკ (რომლის მეორე უ და ი გრძელდება). ეს სიტყვა არაბულში სპარსული აბ-რე უ-ისაგან არის მიღებული (ორივე ხმოვანი გრძელია; ახალი სპარსული გამოთქმით აბ რ ა ზ, „წყალსასხამი“). იბრიკი შეიძლება სხვადასხვა სახისა იყოს და, ჩვეულებრივ, ხელ-პირის დასაბანად იხმარება, ისე როგორც ტაშტი, რომელზედაც ისხმის ნაბანი წყალი. ამიტომ საცხებით სწორია და ჩუბინა-შეილის ასხნა: „ტ ა შ ტ ა ბ რ ა კ ი — რუкомойник и тазъ“.

იბრიკი (იბრიყი) ანატოლიურ თურქულშიც იხმარება (ძველი ტერმინოლოგიით — ოსმალურში). სამიბუის მიხედვით, ი ბ რ ი კ ი ა ნ უ (სპარსული სუფიქსით) იბრიყდარი („მეირიყე“) ძველად აღნიშნავდა პირს, რომელიც ხელშეიფებს წყალს უსხამდა იბრიყით და ხელ-პირს აბანინებდა.

ხელშეიფის კარის გარიგების თანახმად, ქართველი მეფის შვაკაშვა გარკვეულ დროს (XIV ს.) თურმე ასე ხდებოდა ჩვენში: „რამ მეფე შვეკაშვიდს, ტაშტი მსახურთ-უხუცესმან დაიჭიროს, პირის მანდილი შესაწოლეთ-უხუცესმან, წყალი მოლარეთ-უხუცესმან დაუსხას, ტანისაჲსი მოლარეთ-უხუცესმან ჩააცვას, აღლი შესაწოლეთ-უხუცესმან შეუკრას, მუხლთ დაყრით ქუდი მოლარეთ-უხუცესმან მიიღოს“, ამ ნაწყვეტის მიხედვით იბრიყის მოვალეობას ჩვენში მოლარეთ-უხუცესი ასრულებდა.

როგორც ვხედავთ, აქ „ტაშტი“ კი არის დასახელებული, მაგრამ არ ჩანს, რას ეძახდნენ ამ დროს (XIV ს.) წყლის ჩამოსასხმელ ტურქულს, რადგანაც მოყვანილ ნაწყვეტში იგი არ არის ნახსენები. სამაგიეროდ, ნახსენებია პირის დაბანის დროს საჭირო საგანი — პირსახოცი, რომელსაც იმ დროს „პირის მანდილი“ რქმევია.

მ ა ნ დ ი ლ ი არაბული სიტყვაა და ჩვენში ადრე გავრცელებულია. იყო სხვადასხვა მანდილი: პირისა — პირსახოცი, ხელისა — ხელსახოცი, ცხვირისა — ცხვირსახოცი, მანდილი კი (განსაზღვრების გარეშე) დღეაკაცის თავშალს აღნიშნავდა. აქედან წარმოდგა მ ა ნ დ ი ლ ო ს ა ნ ი — გათხოვილი ქალი, რომელიც მანდილს ატარებს (საპირისპიროა ქუდოსანი). მანდილის ნაცვლად ხვესურულად მ ა ნ დ ე ლ ი ითქმის,



სურათი № 3. ვერცხლის თუნგი, რომელიც ამირა ჭავჭავაძის მიართვა გიორგი შესამესს.

სურათი № 4. სპილენძის თუნგი ლაგურკისა.



აქედან მ ა ნ დ ლ ი ა ნ ი — მანდილოსანი.

ტაშტ-აბრაკი (და მისი ვარიანტები: ტაშტ-აბრიკი, ტაშტ-იბრიკი, ტაშტ-იბრიკი) აღმოსავლური წარმოშობის სიტყვაებია, სპარსულ-არაბულისა: მისი ბადალია შერნივოქსესტი, რომელიც დასავლეთიდან, საბერძნეთიდან მოდის. ეს სიტყვა გვხვდება პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონში, რომელიც დაიწერა 1083 წლის დეკემბერში. ეს მონასტერი ბოლნისში (რომელიც მასინ საბერძნეთის საეპისკოპოსოს ფარგლებში შედიოდა) დააფუძნა ქართველმა კაცმა — საბერძნეთის დიდმა დემესტრიკოსმა (ე. ი. მთავარსარდლამა ანუ ამირიპასალარმა) გრიგოლ ბაკურიანის ძემ. გრიგოლმა თავის მონასტრს შესწირა სადავლიო მამული და აურაცხელი დედალსი ნივთი, რომელთა შორის იყო აგრეთვე ხელსაბანი ტურქულიც. ტიპიკონში, სხვათა შორის, სწერია: „მივეწმინდილქსესტი, წყვილი ვრითა“.

მელქისედეკ კათალიკოსმა რომ 63 წლით ადრე მცხეთის სვეტიცხოველს სამი წყვილი ხელსაბანი შესწირა, ესენი ყველა ტაშტ-აბრაკად არი მოხსენებული. მაგრამ ერთ წყვილს მათგან, რომელიც ბერძნული იყო და ვერცხლისა, სახელიც რომ ბერძნული მოჰყოლიდა, ის იქნებოდა ქერნივოქსესტი (ხელის-ძველი გამოთქმით), ან შერნივოქსესტი XI საუკუნის ბერძნული გამოთქმით, ან კიდევ შერნივოქსესტი იმდროინდელი დიალექტური გამოთქმით, რომლის ვარიანტი აღნიშნულია ტიპიკონის ტექსტში. სიტყვა რთულია, კომპოზიტია, და შედგება სამი ნაწილისაგან: χείρ „ხელი“, νία (νίαν) „ვებან“, νίσιον „ვებან“ და ξστῆς-აგან (ეს უკანასკნელი მიღებულია ლათინური sextarius-ისაგან), რაც „თუნგს“, „ლოქს“ ნიშნავს. ტიპიკონის ხელნაწერში სწერია შ რ ი ნ ი დ ო ქ ს ე ს ტ ი, რომელიც მიღებულია უთუოდ შ რ ი ნ ი ვ ო ქ ს ე ს ტ -ისაგან ან შერნივოქსესტ-ისაგან, რადგანაც ბერძნული შემოღება შ-დ ქვეულიყო მხოლოდ ვიწრო (შ, მ) ხმოვნების წინ. ალბათ, შერნივოქსესტ-ის პირველი ხმოვანი (შ) მიემსგავსა მეორეს (მ-ს) და მივიღეთ შ ი რ ნ ი ვ ო ქ ს ე ს ტ ი, რომლისაგან შემდგებ შ რ ი ნ ი ვ ო ქ ს ე ს ტ ი წარმოდგა, რომლის შ-ს (ან ბ-ს) შ შევანაცვალა და მივიღეთ შ რ ი ნ ი მ ო ქ ს ე ს ტ ი. იმჟამო მხოლოდ შ დაიკარგებოდა ქართული გამოთქმით და იმ-



მივიღებდით, როგორც ეს არის პატი (ქ) ოს ხანში, მკი იცავს თანხმობის გამოთქმას.

ტიპიკონის ხიოსურ ხელნაწერში კი გაჩვევით შრინი დოქსესტი იკითხება, რაც შეორღლება სოფლის ხელნაწერებშიც, სადაცაც უჩვეულად გამოიღობო, თ. თანხმობის შერლმა და დამტკიცდა იქიდან ი. დლოტიმე გადატეხდა.<sup>10</sup> ეს ფორმა კი ძალიან შორდება მოსალოდნელს.

პირველი, რაც შეიძლება აზრად მოუვიდეს კაცს ამ უცნაური ფორმის ასახსნელად, ის არის, რომ მასის ნაცვლად წყლითვის მათი მსგავსების გამო ნუსხურ ნაწერში. მაგრამ ეს ხომ საველესით ჭურჭელია და ველესის ნაწერში, რომელშიც ტიპიკონის ტექსტი დაწერა ან გადმოწერა, როგორ არ უნდა სცოდნოდა კარგად ველესიაში სახმარებელი ჭურჭლის სახელი? ამიკომ შეიძლება კითხვა დაესვათ: ხომ არ შემოსულა ეს სიტყვა ქართულში ჭანურის (ლაზურის) გზით, სადაც იგი შეიძლებოდა ისი გადმოტეხულიყო, რომ გაგებულ იქნა როგორც ორი სიტყვა, შეერთებული იქი კავშირით: შირინი დოქსესტი (ქ. ი. შირინი დოქსესტი)?

ასეა თუ ისე, ეკლესიაში სახმარებელ ხელსაბან ხელსაწყოს სახელად ბიზანტიური გავლენის სფეროში მცხოვრებ ქართველებს შერინი დოქსესტი იქნებოდა. თუ რა სახისაა ეს შერინი დოქსესტი, შევიძლია გავითვალისწინოთ მისი სურათით, რომელიც ამოღებულია ბიზანტიური ხელოვნების შესახებ დაწერილი წიგნიდან.<sup>11</sup> იგი შედგება ვერცხლის თუნჯისა და ტარიანი მცირე ტაშტი-საგან. ორივე ნივთი დიდი ხელოვნებით არის შესრულებული. ტარიანი ტაშტი ავტორი KOVSH-ს ეძახის და მე შეიძლება ხეცურული სიტყვა ვიხმარო და ტარკომა დაეარტა. ამ ტარკომას ტარზე ქვიმოლან აწერია ჯერაცინდეთოვ, რომელიც ორსავე წყვილის ცალს განეკუთვნება. როგორც ვ. ბენევიკინმა აღნიშნა (Du Canale-ის გლოსარიუმის დამოწმებით), ჯერაცინდეთოვ ნიშნავს ეკლესიაში სახმარებელ ეპისკოპოსის ხელსაბან კომპლექტს, რომელიც შედგებოდა ჯერაციონისა („მცირე ტაშტისა“) და თუნჯისაგან.<sup>12</sup> ორივე ვერცხლის ჭურჭელი ნაპოვნია 1912 წელს პოლტავის აბლთს, Малайя Перещепина სოფელში სხვა მრავალ ძეგრდას არქეოლოგიურ ნივთებთან ერთად და განეკუთვნება 582-602 წლებს (სურ. 1-2).

ხერინი-დოქსესტი სხვადსხვა დროს

და სხვადსხვა ადგილას ერთნაირი, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა და საჩუქარა. რომ მოლოცისადეკ კაიალიკოსის მიერ 1020 წელს სავრცეზოლოისთის შიწირული ბერძნული ვერცხლის ტაშტი-აბრაგი და ახიოლო ბაორიანის ძის მიერ 1083 წელს შიწირული „შრინი-დოქსესტი“ ერთნაირი ფილილია. შეიძლება არა ის ორი წყვილი დიდი ტაშტი-აბრაგი იყო ერთნაირი, რომლებიც მუქლესიელების სიაში არის ნახსენები.

ჩვენს დროშიც არ შემოინახა სიტყვა, რომელიც ძველად ხელ-პირის საბანი ჭურჭლის ომპლექტს აღნიშნავდა. არც ბერძნული (ხერინი-დოქსესტი) და არც სპარსულ-არაბული (ტაშტი-აბრაგი). მართალია, „ტაშტი“ ცალკე კი იხმარება, მაგრამ „აბრაგი“ (ან მისი ვარიანტები: იბრიგი, იბრიკი) არსად გაიხმის.

თუ სიტყვა არა, ეგების თვით საგანი ითოს შემორჩენილი, რომელსაც იგი აღნიშნავდა? უჩვეულია, რომ ჩვენში მრავლად იქნებოდა ხელსაბანი ჭურჭელი სამეფო კარზე, კათალიკოსებისა და დიდი ფეოდალების სასახლებში. აართავი დიდ საეპისკოპოსო ტაშტებში მოვლილთსახურების დროს სახმარი ხელსაბანი ჭურჭელი (დიდ ხუთშაბათს ფიქის დაბანავ ხდებოდა), მაგრამ რა გათარა და შიშიონახა, ეს ოსადეგნია, უთუოდ აქა-იქ კიდევ იქნება ძველი ჭურჭელი, თუ ვერცხლისა და ოქროსი არა, სპილენძისა მაინი. ზოგი რამ უთუოდ დამარხულია მიწაში შიშიანობის დროს მტრის შემოსევისას

და შეიძლება ოდესმე სამეფო აღმოჩნდეს ან შემთხვევით, ან გათხრების შედეგად.

თუ ძვირფასი რამ გადაურჩა მტრის, ზოგი ალბათ გადაადნეს გაჭირვების დროს. მოლად იმედის დაარჯავა მანც არ იქნება და, თუ კი რამე შეიძლება გადაარჩა და შიშიონახა, უნდა მოვიძიოთ და მუხეშეში დავანახავთ.

სვანეთი ძველად სამეფო თავმჯდარანი იყო მტრის შემოსევის დროს. იქ მიდიოდნენ თავის გადასარჩენად და სახიზნავად მიჰქონდათ ძვირფასი ნივთები და ხელნაწერები. ადგილობრივად არამიერე იყო ხელოვნების ძვილი და ყოველგვარი ეკლესიის სახმარი და სამცაული, ამიკომ გასაკვირვებელი რდიდა, რომ იქ მიეწერებოდნენ მკვლევრები სხვადსხვა სამცენიერო მიზნით, მათ შორის სიძველეათა აღსანუსხვად და აღსაწერად: დ. ბაქრაძე თუ ა. ხახანაშვილი, არაფინია უგაროვა თუ ე. თაყაიშვილი და სხვები. ამიკომ სვანეთში დაცულ სიძველეათგან ზოგი რამ უაქვ ენობილია და გამოვლენილი. მათ შორის შეიძლება ხელსაბანი ჭურჭლის ნაწილებიც იყოს.

ერთ ასეთად მიმაჩნია ვერცხლის თუნჯი, რომელიც პირველად გრაფინია უგაროვამ გამოცა<sup>13</sup> და შეორღედა — ს. მაცაბლითაშ.<sup>14</sup> ეს არის, როგორც მისი წარწერა გვიჩვენებს, თამარ მფის მამისადმი, გიორგი მესამისადმი (1156-1184) ამირა ქავთარისაგან მიღებული ვერცხლის თუნჯი, რომელსაც ყველგ მრგლოვა-

სურათი № 5. თურქული ტაშტი-აბრაგი XVII საუკუნისა.



ნი ასობით აწერია: „უმერთმან უბედნიერენ ღმრთისა სწორისა მეფეთა მეფესა გიორგის. მიწისა ამირაასა ქაეთარისაგან“ (სურ. 3).

ძნელი სათქმელია, არის თუ არა ეს ამირა ქაეთარისაგან გიორგი მეფეთა მეფისადმი მირთმეული თუნგი ტაშტ-აბრაგის კომპლექტის ნაწილი, თუ დამოუკიდებლად სახმარებელი ჭურჭელი იყო. ასეთი თუნგი ღვინოდ შეიძლებადა ეწოდათ სუფრასზე და წყალიც დაესხათ მეფისთვის ხელპირის დაბანის დროს.

შეიძლება კიდევ აღვნიშნოთ ლაგურკის<sup>13</sup> სპილენძის თუნგი, რომელსაც ნავისებური ბაგე აქვს და გრ-

ფის მულებზე უვაროვამ გამოსცა<sup>16</sup> (სურ. 4).

არ ვიცი, რას ეძახდნენ ძველად ჩვენში ასეთ თუნგებს. არა მგონია, რომ მათი სახელი იყო არაბული წარმოშობის სიტყვა „სურა“ (ე. ი. არაბ. სურაბი),<sup>17</sup> როგორც ეს ს. მაკალა-თიამ უწოდა გიორგი მეფისთვის მი-რთმეულ თუნგს.

შეიძლება კიდევ წარმოვადგინოთ სურათი ტაშტ-აბრაგისა, რომელიც გვიანდელია, მე-17 საუკუნისა, თურქულია წარმოშობით და დატყლია მოსკოვის კრემლის საჭურველთა პალატაში. ტაშტ-აბრაგი ვერცხლისა, შემკულია მინით (შემფეტროით) და

ძვირფასი თვლებით. ძველი რუსული წიტი მათ რუკოში и лохань უწოდებოდა (სურ. 5).<sup>18</sup>

ხელსაბან ჭურჭლად „ტაშტი“ ახალ ქართულშიც ითქმის, მაგრამ მისი წყვილის ცალი უკვე „აბრაგი“ კი არ არის, არამედ „თუხვი“: „იერთმა ფარეშმა ტაშტს დაავლო ხელი, მეორემ — თუნგს, მესამემ — ხელსაწმენდს, ჩამოუარეს რიგით ყველას და ხელი დააბანინეს“ (აკაკი); „პირფარეშო, ტაშტ-თუნგი!“ (ნ. ნაკაშიძე); „ბიჭმა თუნგი ხელსაბანი წყალი ჩამოატარა“ (გ. წერეთელი).<sup>19</sup>

ეს „თუნგი“ სპარსულია წარმოშობით და სომხურშიც იხმარება.

შენიშვნები:

1 ყველას სკობს ნ. ბერძენიშვილისა (საქართველოს ისტორიის საკითხები. IV. 1967, გვ. 280-289).

2 იმარ ინლოსა და ორ დავარულს საზოგადოდ ერთ სიტყვად ზეპდავენი, მეორე მგონია (ან იქნებ: ამირ ინლო და ორდ ავარელ?).

3 მოსე ხონელი. ამირან-დარეჯანიანი. ლილი ათანელაშვილის გამოცემა. 1967 წ. გვ. 536. ს. ყუბანეიშვილის გამოცემით (ძველი ქართული ლიტერატურა, II, 1949 წ.), გვ. 87; ბოლო ს. კაბაძის გამოცემით (ამირან-დარეჯანიანი მოსე ხონელისა, 1939 წ.), გვ. 141; ი. ლოლაშვილის გამოცემით (წიგნი საუნეჭო, ტ. 2, 1960 წ., გვ. 416).

4 ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970 წ., გვ. 20.

5 ლესკაინენის თაფურტელზე 1887 წელი აბეკლია, მაგრამ უკანასკნელ გვერდზე (1779-1780 სექტემბის ბოლოს) იკითხება: „დავით ჩუბინოვი. 30 მარტსა 1878

წესრულდა ხელწერლი, ვარნა დაიბეკლა 1870 წელსა მარტსა 26 დღესა; ქართულსა ქორონიკონსა შუა“.

6 დ. ჩუბინაშვილის კანიანი ფორმა მოჰყავს (ტაშტ-აბრაგი). ასეთი ფორმა არ არის ნაჩვენები ლ. ათანელაშვილის ვარიანტებთან გამოცემაში, მაგრამ არის ტაშტ-აბრაგითა და ტაშტ-იბრიხითა, რაც უფრო ახლოა სპარსულ-არაბულ ფორმასთან.

7 თურქულ-ფრანგული ლექსიკონი. კონსტანტინოპოლი, 1885 წ.

8 ე. თაყაიშვილი, კვლევების კარის გარეგება, 1920 წ., გვ. 18, ი. სურგულაძე, ქართ. სამართლის ძეგლები, 1970 წ., გვ. 39, ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965 წ., გვ. 95.

9 Typicon Gregorii Pacuriani (CSCO, vol. 143). Louvain, 1954, p. 76.

10 ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970 წ., გვ. 97.

11 А. В. Банк. Византийское искусство в собраниях Советского Союза. Л.-М., 1966, №№ 67-70.

12 В. Н. Бенешевич. Надписи и клейма на предметах [Перешелниского] клада. Известия Археологической комиссии. Выпуск 49, С.-Пб., 1913, стр. 105.

13 MAK, 1904, ტაბ. XLI, № 43, მისი აღწერილობა, გვ. 140.

14 ს. შაკალაძე. სეტის მეთორმეტე საუკუნის სურათების უნივერსიტეტის მოამბე, IX.


15 საფურთა კვირიცეს და ივლიტეს ტაძარს ჰქვია, რომელიც კალაშია.

16 MAK, x (1904), გვ. 139.

17 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 69.

18 Государственная оружейная палата. Москва, 1958, № 365.

19 მაგალითები ამოღებულია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან.



ა. ქუთათელაძე.  
თამარ მეფის ნადირობა.

მენლად გლიან ავტორებიცა და მასურებლებიც, როგორც ახალი ფილმის დაბადებას.

რიცხოზრივად არც 1970 წელი იყო უბარაქო ქართული კინემატოგრაფისათვის. ვერანზე ვიხილეთ „ჩერმენი“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „წყალდიდობა“, „ჩემი ქალაქის ვარსკვლავი“, „სემირამიდას ბაღები“, სამწოდვილიანი კინოალმანახი („ნუცა“, „ეპისკოპოსი ნადირბაზე“, „მეზობლები“) და „იყო შაშვი მგალობელი“.

ამ ფილმებზე ბევრი კარგის თქმაც შეიძლება და ცუდისაც, მაგრამ რა? კვლავ დუმილის „პოლიტიკა“ კინოკრიტიკოსთა მხრიდან. როდის-როდის ვიხილეთ მხოლოდ რამდენიმე წერილი. კერძოდ, გ. ბარამიძემ გაზეთ „თბილისში“ გაგვაცნო თავისი მოსაზრებანი „დიდოსტატის მარჯვენაზე“, კ. გოგაძემ — „კომუნისტში“ „ჩერმენზე“, „ახალგაზრდა კომუნისტში“ დიბეძუა იგივე გ. ბარამიძის მიერ საქართველოს კინემატოგრაფისტთა პლენუმზე გაკეთებული მოხსენების სტენოგრაფა (მიმოხილვის სახით) 1970 წელს გამოშვებულ ქართულ ფილმებზე.

ეს იყო და ეს!  
მართალია, „ქართული ფილმის“ შარშანდელი პროდუქცია ვერ ბრწყინავს უწინდებურად, მაგრამ სპეციალისტების დუმილი მით უფრო გაუმართლებელია და მწვაბ-მამწყურის ძველ ამბავს გვაკონებს. ქართული ანდაზის არ იყო — არც ანგარიში ჩანს „მტრული“ და არც „მეგობრობა ძმური“.

თუ შევდევლობაში არ მივიღებთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ (24. VI) უკვე ხსენებულ მიმოხილვას, მ. ჯანელიძის მიკროსაუბარს თ. იოსელიანთან (ინფორმაციისა და რეკლამირების ბიუროს საინფორმაციო ბიულეტენი „დიდობა“) და გ. თორდის მცირე ინფორმაციას („ეკრანის ამბები“, 11. VII), არაფერი დაწერილა კინორეჟისორ ოთარ იოსელიანის ახალ მხატვრულ სრულმეტრეჟიან ფილმზე „იყო შაშვი მგალობელი“ (სცენარის ავტორები — თ. იოსელიანი, დ. ერისთავი, თ. მჭრელიძე, შ. კაკიაშვილი, ს. ლუნგინისა და ი. ნუსინოვის მონაწილეობით; დამდგმელი რეჟისორი — თ. იოსელიანი; ოპერატორი — ა. მაისურაძე; მხატვარი — დ. ერისთავი, კომპოზიტორი — თ. ბაკურაძე; როლებში — გ. კანდელაკი, გ. ჩხვიძე, ჯ. კახიძე, ი. ჯანიდერი და სხვ.).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მხატვრული კინემატოგრაფიის, თეორიისა და კრიტიკის სექციები კარგ საქმეს აკეთებენ, როცა სისტემატურად აწყოფენ ახალი ფილმების ჩვენება-განხილვას.

ამ მხრივ გამონაკლისი არ ყოფილა „იყო შაშვი მგალობელი“. 9 აპრილს თბილისის კინოს სახლის სადემონსტრაციო დარბაზი სავსე იყო ხალხით. ფილმის ნახვის შემდეგ აზრის გამოსათქვამად გამოსულმა ყველა ორატორმა (სპეციალისტმა თუ როგორცაა მასურებელმა), უწინშენლო შენიშვნებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, მოიონა ფილმი. ითქვა, რომ იგი ბრწყინვალეა, მორიგი გამარჯვება ავტორისა (გულისხმობდნენ დამდგმელ რეჟისორს) და სხვ. ერთი სიტყვით, დაიბარჯა ყველა ეპითეტი და ოთარ იოსელიანს ისღა დარჩა, რომ მადლობა ეთქვა ყურადღებისათვის.

ადვილი წარმოსადგენია ხელოვანის სიბარული, როცა მის ნაღვაჟს პირველი ნახვითანავე მიიღებს მასურებელი, მაგრამ არა გვევინა ბოლომდე გულწრფელები ყოფილიყვნენ

# შ ა შ ვ ი შ ა შ ვ ი ჩ ი მ ო დ ა ...

გივი ბოჯგუა

„შაშვი თქო: სამას სამოცდა ექვსი გალობა ვიციოდ, მიზინომ დამიტროლა და დღეს აცტყთი აღარ ვიციო“.

„ახალბერი სიბრძნე“.

დუმილის „პოლიტიკა“

წლის ბანმავლობაში ვერანზე ზედიზედ გამოდის კინოატულია „ქართულ ფილმი“ შექმნილი 7-მ ნაწარმოები — კარგიც, საშუალოც, სუსტიც, მაგრამ ჩვენი კინოკრიტიკოსები (თითქოს ერთმანეთის შემყურე) თავიანთ კალამს მარყუქში აქცევენ, პატივობისას პირში წყალს იგუბებენ და პრეჟამიც თითქმის არ გამოდიან. ამ ფილმებს მილიონობით ცნობიან საქართველოში თუ საკავშირო ვერანზე. მასურებელი გულახდილად გამოსატყის თავის დამოკიდებულებას, ზოგი არ-სამჯერ ნაშრობას საინტერესო ფილმება, ზოგი კი ბუნდუნით გადის შუა სიანსადან; რასაკვირველია, ამ ფორმითაც იქმნება საზოგადოებრივი აზრი, მაგრამ სპეციალისტთა მოსაზრება მაინც საჭიროა და მას ისევე მოუთ-



ის მიმოიხილეს, რომლებმაც ერთხმად აღიარეს ფილმის უსაკლობა.

ოთარ იოსელიანი ქაინაულებს არ მხატვრობს. იგი ნიჭიერი კინორეჟისორია, აქვს საკუთარი მხატვრული ხედვა, ექნება საინტერესო თემებს და თავისებურად წვევტს მათ. ოთარ იოსელიანი გვიხილავს მხატვრულ გემოვნებითა და პროფესიულ ოსტატობით, ხშირ შემთხვევაში გვაძოვებს საპატიო ტყვეობაში და ამიტომ მას ვერც თუ ხელაღებით შეზღვევ ხოლმე ვაპირ. მიუხედავად ამისა, „იყო შაში მგალობელი“ არ არის უსაკლო ფილმი; მისმა იდეურ-მხატვრულმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ იგი დიდად საკამათოა და ჩვენს სურვილია გვეკამათო ფილმის ავტორებს მგობრულად, პატიოსნად, გულწრფელად. მართალია, სასწორის სისწრაფე ამწონავსეჭვიძია, მაგრამ სიმართლით მოჭრილი ხელი არავის არ უნდა ეტკინოს.

### რაზე მომზადობრებს ფილმი?

მამ, სმ. რაზე მოგვიხირობს „იყო შაში მგალობელი“? რა პრობლემას ეხდებოდა იგი?

თითო თ. იოსელიანი აცხადებს: „ჩვენ გვიჩნდა მაყურებლის ყურადღება გავამახვილოთ ადამიანურ ვალდებულებათა აღსრულებისა და სულიერი მოღვაწეობის საზოგადოებისათვის სასარგებლო ღირებულებების გადაცემის პრობლემაზე“ (საინფორმაციო ბიულეტენი „დღითი დღე“).

არსებითად იგივე თქვა მან ურხაბლი „სოფელის ვერანა“ № 13, გვ. 3, 1971 წ.:

«Он (გ. ი. ფილმი, გ. ბ.) посвящен проблеме исполнения человеком своего назначения в жизни».

ოთარ იოსელიანი იქვე გვიხიბნის:

«Мы говорим, что самая большая ценность в нашем обществе — человек. Но как важно этому человеку возможно полнее реализовать себя в жизни общества! Как важно вовремя понять свое предназначение, не распылить по крохам энергию, не распылять талант на вещи случайные и второстепенные! Уметь сосредоточиться на главном, правильно осознать и оценить свою функцию в обществе — вот условия, при котором дела человека, реализованные в материальные и духовные ценности, будут нужны и современникам и грядущим поколениям» (გვ. 2—3).

დიდებული ჩანაფიქრია და თმავე — მეტად აქტუალური. რაზეც ძნელი არ იყოს, თანამედროვე ადამიანმა კი არ უნდა დაგარტოს საკუთარი თავი საზოგადოებაში, არამედ მის აქტორს წვერად იქცეს. და რაც უფრო მეტ სულიერ და მატერიალურ ღირებულებას შექმნის, მით უფრო გაამდიდრებს საზოგადოებას და საკუთარ თავსაც. ეს ყველაზე ჩვეულებრივი ადამიანური მოვალეობაა და უფლებაც არა გვექვს უფიქრად ვსარჩობოთ, რომლის დაბრუნებაც, ხვტიდან გაჯერნოლი ჩიჩის მსგავსად, შეუძლებელია. დიან, დრო ძირფასია, მაგრამ წარმავალია და სწორედ ეს წარმავლობაა მისი დაუწყველობის მიზეზი. ამიტომ ადამიანი დღენიდავ დაძაბულია, შიშობს, მაგრამ მან უნდა მოასწროს სათქმელი, გააკეთოს გასაკეთებელი, თავისი წვლილი შეიტანოს ცხოვრებაში.

ეს მნიშვნელოვანი პრობლემა ფილმის ავტორებმა მთავარი გმირის — გელას (ლიტერატურულ და სარეჟისორო სცენარებში მის ვანო ჭქვიანი) მაგალითზე გვიჩვენებს. აქვე უნდა შევნიშნოთ: მიუხედავად იმისა, რომ სარეჟისორო სცენარში ჩამოთვლილია შევიდი მთავარი პერსონაჟი, ფილმის მიხედვით მთავარია მხოლოდ გელა, დანარჩენი კი — მეორედ და მესამეხარისხოვანი. ისინი მხოლოდ გელას სამოქ-

მედო ორბიტაში არიან მოქცეული და ქნიან ფილმისთვის საკუთარ ფონს.

ფილმში პრობლემა დაყენებულია არა ტრადიციული — დადებითი და უარყოფითი ტიპების კონტრასტული, სამკედრო-სასიუცილო შეჯახებით, დადებითის მიერ უარყოფითის დარღვევით ან გამოსწორებით, არამედ უარყოფითი სახასიათის (გელას სახით), მსხვილი კრიტიკითა და მასზე ყურადღების გამახვილებით. ესეც მივითითებს ავტორთა და, პირველ რიგში, დამდგემლო რეჟისორის თავისებურ მხატვრულ-გაიფიქრებულ ხედვას.


გელა (29-31 წლის ასაკადა) პროფესიით მუსიკოსია და სიმფონიურ ორკესტრში მუშადადფედ მუშაობს. იგი რამდენიმე მუსიკალური ნაწარმოების ავტორია და წერს ოპერას (რაც სცენარებში ყველანა ხაზგასმულია, ფილმში კი შედადებით მართლად ხაზგდენები). მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებით უკმაყოფილოა მთელი კოლექტივი (თუმაც ზოგი სიბრალულით თანაურდნობს), მათ შორის ორკესტრის ინსპექტორი და, რაც მთავარია, დირიჟორი. საქმე იმისა, რომ გელა წუთი წუთზე ასწრებს თავის პარტიას ორკესტრში და ამით არამარტორ აღულებს ყველას, არამედ მარტორს საშინოოების წინაშე აყენებს ორკესტრს. დირიჟორი კატეგორიულად მითითებს ზომების მიღებას, ვინაიდან ასე მუშაობა შეუძლებელია როგორც ორკესტრის, ასევე გელასათვისაც.

გარდა მუსიკისა, გელა ინტერესს იჩენს მრავალი პროფესიისადმი, ყვეს ამხანაგების ფართო წრე, გულგრილად ვერ უვლის გვერდს ქალიშვილებს (მაგრამ სერიოზულად გულს არავის უდებს, არც მარტორებთანაც უდებს თავს და ვერც დაჯობებაზე უჭირავს თვალს), სხვადა მოკრძალებული და ხართიანია დედასთან, ყველანა „ასწრებს“ დიდად დაძაბულობის მეოხებით, არც თუ იშვიათად ტყუილსაც იშველიებს, რადგან ყველაფერში დროა დამხაზე; ამ „საქმეში ყველამდე ჩაღული“ გელასაზრობის არ ყოფინის დრო. მთავარი კი ის არის, რომ გელამ მხოლოდ არ მითევანა დაწყებულ საქმე, ვერც იპირა შექმნა და ვერც სხვა მნიშვნელოვანი რამ, ე. ი. ვერ შექმნა სულიერი თანამართალიური ღირებულება, სარგებლობა ვერ მოუტანა საზოგადოებას, საკუთარ თავს. თ. იოსელიანის სიტყვები რომ გამოვიყენოთ — не исполнил своего назначения в жизни, неправильно осознал и оценил свою функцию в обществе.

ეს ამავე კი იმიტი მოაზრდება, რომ ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევისას, გელას მანქანა ეჯახება (როცა წუთი წუთზე უნდა მიქსრო თავისი დაფადებისათვის) და იგი საავადმყოფოში მიჰყავთ. ფილმის მიხედვით მაყურებელმა დანამდვილებით არ იცის გადარჩა თუ არა გელა, სცენარებში კი იგი ილუბადა, თუცა სარეჟისორო სცენარში არის ერთი საინტერესო ეტაკოვ, რომელზედაც ქვემოთ გვევნიება საუბარი. აქ კი მხოლოდ იმის კითხვით, რომ ფილმის მიხედვით დამნიშნული საათის ამუშავების იმ შესაბამის მიერ, რომელიც გელას ჭკუას არიგებდა, უნდა მითითებინა გელას ცხოვრების გაგრძელებაზე (საშუაზროდ, ეს სიმბოლური შტრიხი ყოველ მაყურებელს სხვადასხვანაირად ემის).

საბოლოოდ, როგორც იმითი ფილმის ავტორებს გელას პიროვნება? მოვიშველიოთ ისევ დამდგემლო რეჟისორის აზრი: „ბუნებად დიდი ნიჭით დააჯილდოვა იგი (გელა, გ. ბ.), მაგრამ საკუთარი მოწოდებისადმი ზერელე მიდგომა ხელს უშლის, რაიმე კონკრეტულ საქმეს მოაკვირვოს ხელი, დასაბრუნოს იგი. ვაჟი, რომელსაც დიდი პოტენციული შესაძლებლობები აქვს, მხოლოდ და მხოლოდ ს იმ მ ა ტ ი უ რ ყ მ ა წ ვ კ ი ბ ა დ რჩება“ (ხსენებულ საინფორმაციო ცნობარი; ხაზი ჩვენი, გ. ბ.).

კაბრი ფილმიდან „იყო შაშვი მგალობელი“.



მუხებდავად გელას მოქმედების კონტრასტულობისა, მაყურებელი გამოკვეთილად არც კი გრძნობს უხერხულობას, პირიქით, ფილმის მსვლელობისას ყველაფერი ბუნებრივად, დამაჯერებლადაც კი ესახება და სიმართლით იმსჭვალება „სიმპატიური ყმაწვილისადმი“. თვით მანეტრო, რომელიც კატეგორიულად აყენებდა საკითხს გელას თავიდან მოშორებაზე, ბოლოს და ბოლოს, ღიმილით შეხედავს გელას, რომელმაც მუშაობის პროცესში მიატოვა ორკესტრი, დეიდა ელისოს დღეობაზე გაიპარა, მაგრამ თავის საორკესტრო პარტიას მაინც მიუსწრო და მუსიკის ფინალი წარმატებით დაავიჯინა.

თითქოს „იყო შაშვი მგალობელი“ ჰქონდეს მხედველობაში ალ. პლიუშის წერილში „მენი დრო“, რომელიც გასული „იხვესტიამი“ დაიბეჭდა 21 ივლისს. ავტორი იხილავს სწორედ დროის რაციონალურად გამოყენების პრობლემას და წერს: «Голчешься, толчешься день-деньской, а толку мало. Вроде и дело делал, а дела не сделал. Коротки сутки нынче... Таковы жалобы. И жалобы не из пустого кокетства. Мы действительно в постоянном цейтноте».

ავტორი სავსე კითხვას თუ რატომ ხდება ასე და აღნიშნავს:

«Иные склонны видеть причину в особенностях второй половины XX века. Мол, с наступлением научно-технической революции все убыстрилось, завертелось, помчалось буквально с космической скоростью. Разве угоняться, разве поспевать за такими темпами?»

მაგრამ ალ. პლიუში ფარ-ხმალს არ ყრის ამ არც თუ ადვილად მოსახერხებელი მოსაზრების წინაშე და დამაჯერებლად პასუხობს:

«Но стремительные темпы всегда были особенностью социалистического строительства. И не в том суть, что темпы возрастают, а в том, что мы не попадаем в их беспрерывно ускоряющийся ритм. Наша психология не поспевает за техническим прогрессом. Мы, выражаясь научно, медленно адаптируемся, приспосабливаемся к новым

условиям труда и быта. Плохо организуем самих себя.

И самое главное — мы не умеем по-настоящему ценить время...»

და ვინ არის ამაში დამნაშავე? ჩვენი აზრით, თვით პაროვნება, რომელმაც ფეხი ვერ აუწყო დღევანდლობის კოსმოსურ სისწრაფეს.

ყოველ ჩვენთაგანს აწუხებს ის გარემოება, რომ ზოგჯერ ვხედებით უსაქმურად მოხეტიალე ახალაზრდებს, განსაკუთრებით სტუდენტთა იმ ერთ ნაწილს, რომელიც ლექციების მოსმენასა და წიგნში ჩაღრმავებას უმიზნოდ ბოდილს ამჯობინებს, ხოლო როცა დიპლომს მიიღებს, თავი ყოველმცოდნე პირობა და პრეტენზიული ხდება. სინამდვილეში საცოდაობაა მათი ცხოვრება ამჟვეყნად და ვიზრალვით. თუმცა უნდა გვიცხვადეთ და ყოველგვარ ზომებს ვღებულობდეთ (უპირველესად აღმზრდელობის) მათი გააკეთებაცებისა და დასაქმებისათვის.

თვითორგანიზება არ წარმოადგენს რაიმე განსაკუთრებულს, — დასძინეს ალ. პლიუში. — ბოლოს და ბოლოს, თვითდისციპლინა ჩვენი მოვალეობაა და მოქალაქეობრივი ვალი. დროის დაფასება ნიშნავს იყო სახელმწიფოებრივი კაცია.

აქ მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ კონტროლი თვითდისციპლინისადმი დიხვაც აქტუალური ფორმაა თავისთავად, მაგრამ არც გარეგანი ძალების შემოქმედება წაახდენდა და საქმეს. სხვაფორე შემომოყვანილ დებულებებში ყველაფერი ნაოლად არის ახსნილი და სავსებით ვეთანხმებით მის ავტორს.

თუ დავავიჯრბებით თ. იოსელიანის მიერ პრესაში გამობეჭეულ აზრსა და ავტორების მიერ სტენარებში გამჟღავნებულ დმოკიდებულებას, ძნელი არ იქნება მათი იდებტურობის მტკიცება ალ. პლიუშის მოსაზრებებთან, მაგრამ საქმე ის არის, რომ ფილმში ყოველივე ეს სხვაგვარადაა წარმოდგენილი.

ეკრბოდ, ავტორების სურვილია გელას სახით უარყოფითი პერსონაჟი წარმოვიდგინოთ და მაყურებელზე დადებითი ზეგავლენა მოახდინოთ, მაგრამ ამავე დროს მათი (ფილმის ავტორების) სიმართლით მთლიანად გელას მხარესა და ვა მაყურებელსაც ედება. მართალია, გელა იღუპება, მაგრამ

არა დროსთან ჭიდილში (აქ მის უნდა გაემარჯვება თუ „სიმ-პატიურ ყმაველი“ უნდოდ დარჩება), არამედ შემთხვე-ვით, თითო-სა შემთხვევა განაგებდა ადამიანის ცხოვრების არსს და არა ორგანიზებული ბრძოლა სიმწრელებთან.

ფორსე აღმებუდილია გელასაში დაუფარავი თანგებონ-ბა (თუ გნებავთ, სიბრალული) და მასურებელსაც ახტია-ბითურად როდი ეჩვენება იგი. ამში „დანაშაული“ მიუძღ-ვით ფილოს დადგომულს, რომელმაც მარჯვე რეჟისორული ხერხებით შეაღამაზა გელას უაყოფილობა, ოპერატორს (ა. მასურაძე) — ვიტრუბულიად კადრები რომ გადაიღო და მასხიობს (გ. კანდელი), რომელმაც ოსტატურად განა-სახივრა რეჟისორის მიერ გააზრებული პერსონაჟი. ყოველ-ვე ეს იმდენად შთამბეჭდავად არის გაკეთებული, რომ ერ-თამაშად ვერც კი გრძნობ შეუსაბამობას და ყველაფერი ბუ-ნებრივად ეჩვენება.

ფილმიში გელას თითქმის ყველა კადრად ეცურა, ზო-გიერთი ნაკლებად კი მიუთითებს. მათალა, მისი მოქმე-დება გამკლავ სიცილსაც იწვევს მასურებელთა დარბაზში, მაგრამ ავტორმა ინტერპრეტაციით იგი მიიწ საყვარელ ადამიანად არის წარმოდგენილი და დასახნი ხდება მისი უზარო დაღუპვა. ყოველივე ეს იმდენად აშკარაა, რომ მა-სურებელთა ნაწილს გელა სავსებით დადებით გმირადკ კი ეახება.

სარეჟისორო სცენარში, იმ ადგილას, სადაც ჩამოთვლი-ლია მთავარი როლები, გელას გაცურებ პირდაპირ აზრით, ყოველგვარი წინწყობების გარეშე, გარკვევით წერია: «master на все руки» (სცენარი რუსულად არის დწე-რილი). ცხადია, ესეც დადებითი გმირის იარაღს აკრავს გელას.

ბოლოს და ბოლოს, დადებითია გელა თუ უარყოფითი? როგორც აღვნიშნეთ, იგი ფაქტურად ფილმის უარყოფითი მთავარი გმირია. ამიტომ ავტორების პოზიცია მის მიმართ აბსოლუტურად ნათელი უნდა იყოს.

ჯერ არც ერთ მხატვრულ ნაწარმოებს, მათ შორის ფილმ-საც, არა ჰქონია დიდი წარმატება ისე, რომ მალაღმბატე-რულობასთან ერთად არ ახასიათებდეს მალადიდურბობა.

„იყო შაში მგალობელი“ ლიტერატურული და სარეჟი-სორო სცენარების მიხედვით უნდა წარმოგვიდგენდეს უარ-ყოფითი გმირს — გელას და მან უნდა გვითხრას: აი, რო-გორი ვარ მე, დამიმასხოვრე და არ მომბამო! იღვა აქ ჭფრადია, თუ გელა ჩავგავიქვს ჩვეს სულში და თავისი მოქმედებით ხელს აკვადლებინებს უხიათი ცხოვრებაზე. და ეს ექნება დიდი აღმზრდელითი მნიშვნელობის მოვლება.

ფილმიში კი გამოსჭვივს ავტორების თანგებონბა გელა-საში და ვერც კი დაკვირვებია მის უარყოფითობა-დაღე-ბითობის უსუსტი სასურებობა.

გელა ნიჭიერი, მაგრამ ხელმოწყარულ, ზიფათთან ახალგაზ-რულად წარმოგიდგება, რომელსაც ბედისწყარა უსაფრდება ყოველ ნაბიჯზე (მოვიფიქროთ ფიკუსაში ყუთის გადმოგარ-დნა ფანჯრიდან, სცენის ორბოში მოსალოდნელი ფეხის ჩა-ცდება, ლაბორატორიაში მოწვევის საშიშროება, მანქანის დაჯახებისაგან გადარჩენა ფილმის ერთ-ერთ ეპიზოდში და სხვ). ფილმის ავტორები მასურებელს თანდათან აშხადე-ბენ იმისათვის, რომ გელას დაღუპვა გარდაუვალია და ეს, აღრე თუ გვიან, უნდა მოხდეს. მაგრამ ეს გადაწყვეტილება არც მათ გუშინავთ მაინცდამაინც, რადან შემთხვევითო-ბის ნიადაგზე ღუპავდნენ ყველაზე დიდ განას — ადამიანს.

ზემოთ მიუვითებდით სარეჟისორო სცენარის ერთ საინტე-რესო დეტალზე. ეს გახლავთ ავტორების შენიშვნა, სადაც ისინი წერენ:

«На всякий случай я считаю нужным снять вариант фильма (с тех же точек, съемки), где,

попав под автобус, Ваню (ჯვე ვიცი, რომ სცენა-რებში გელას ვანო ჰქვია) все-таки останется цел и невредим. — Возможно такой финал потребуется для жанровой целостности уже собранного мате-риала.» (გვ. 128).

აქვე შევნიშნავთ, რომ თ. იოსელიანი თავის ფილმს აკუ-თვნებს დრამატული კომედიის ხარის.

გელა მღელმღელია. იგი მუდამ გაიძახის (სცენარებში ეს მიითვლება ხაზგასმით): „ხვალ ჩაუვადებ“, „ხვალ გაავადებ“, „ხვალ მთელი დღე უნდა ვიშუშაო“. თითქოს დღედადღელი დღე არ აზრებოს მისთვის. იმავე სცენარის მიხედვით გელას მხოლოდ ოცდარვა დღე დარჩა თავისი ოპერის წარსადგენად სამხრეთში, ფაქტურად კი არა-ფერი ვარკვევითა. როცა ამის შესახებ გვიხიბვთან გელას და შევხულებანი ვსავლასაც კი სთავაზობენ, იგი პასუხობს: ყველაფერი თავში მაქვს, მხოლოდ დაჯდომა და დაწერა დამრჩია. ეს კი სამართლიან ქვეს იწვევს მის ამხანაგებში, უფრო მეტიც, სარეჟისორო სცენარში დირიჟორი პირდაპირ აცხადებს:

«Никакой музыки, поверьте... он не напишет при таком образе жизни... Я хочу, чтоб он не разбрасывался, а направил свои силы.»

იგივე უნდათ სხვებსაც; ხარ კონსერტში მომუშავე ამხა-ნაგები, ხანაც მოხუცი მესაათე ურჩევენ გელას სწორ გზას დადაცეს. მისი საკითხის განსახილველად კრებასაც კი მოი-წვევენ, მაგრამ ყოველივე ეს ზედაპირულად არის მოქმე-ლი ფილმიში და ქმედითობას მოკლებულია. ყველაზე მკვე-თრად ექმნი გამომხატვას თავის აზრს, როცა „ყოვლისმყოფ-ნე“ გელას ეუბნება: „შენ არ ავტოვებ შენს საქმეს“. მაგრამ მამდილო ზეგავლენა ვერაზინ მოახდინა გელაზე; ეს არა-კინ სცავდა საქმით. თვითონ გელა კი უნიტარესად ისინებს სიტყვიერ რჩევა-დარიგებებს და ასე მიმართავს მესაათეს: Михаил Исидорович, дорогой, мне действительно не хочется, чтобы все меня поучали» (სარეჟისორო სცენარი, გვ. 41).

ამრიგად, ყველა მონაცემების მიხედვით გელა უარყოფი-თი ტიპი უნდა იყოს, მაგრამ ფილმის ავტორებმა გელას მთავარი ჩრდილოვანი მხარეებით შეაფარადეს გულგუთილი ახალგაზრდის, „სიმბატური ყმაწვილის“ ნიშნებით და, საბოლოოდ, ცვადნენ მასურებელსაც სიმბატური გმირბო-ბი გასწრებოდა მის მიმართ. ეს კი, ჩვენი აზრით, სცენარის მხატვრული-იდური მრწალისაგან განდგომბა.

ჩვენ გვჯობია, რომ გელას პიროვნება გამოკვეთილად არ არის წარმოდგენილი, იგი ერთგვარად გაიორებულია და ეს ფილმის ნაკლია. თანაც, რას აძლებს მასურებელს „მხო-ლოდ სიმბატური ყმაწვილად“ დარჩენა, როცა დღეს წავს-დადებითი გმირის პრობლემა? იმ გმირისა, რომელიც უპო-სავც არ კარგავს შრომაში, დღითი დღე უფრო მეტ სულიერ-მ:ტრიალობს ოვოლათს ქმნის და შრომისა და ყოფის ახალ პირობებში ახერხებს დროულ ადაპტირებას. გელა კი ფილ-მის მიხედვით არც ღვინოა და არც წყალი.

გელაზე არავითარ გაცენას არ ახდენს საზოგადოება, კოლმეტივი; მასზე ხელი ჩაქონებს და აუცილებელი გახდა მსის სულელურად დაღუპვა. ავტორების მიერ დასახული ეს გზა სწორი არ არის. მართალია, არა შიშვლად, მაგრამ მათ მიიწ უნდა გამოეძებნათ ისეთი დეტალები, რომლებიც დაგვარწმუნებდნენ, რომ ბოლო მიღება გელას „ხვალე-ხვალეს“ და, სხვათა შორის, ეს უფრო მიესადაგებოდა ფილ-მის ხარისს.

ქნება აღინიშნოს ოთარ იოსელიანის გულმოდგინე მუშ-



ობა მსახიობებთან. რეჟისორმა ძირითადად არაპროფესიონალები მოიწვია და მათგან შეკრა შემოქმედებითი კოლექტივი. ამ კოლექტივის თითოეული წევრი ორგანულად დაუკავშირდა მთავარ მოქმედ გმირს, თითოეულს მოუძებნა თავისი ადგილი.

ფილმში უნდა არის მიმოხილული შესანიშნავი მიგნებები, სიმბოლოები, ძიპერბოლოები, რაც სცენარისტების, რეჟისორის, ოპერატორის, მხატვრის, მსახიობების უდავო ნიჭიერებასა და მაღალ პროფესიულ კვალიფიკაციაზე მეტყველებს.

**მსჯელობის ალღობა**

„იყო მამში მგალობლი“ მსჯელობის საგანად იქცა თბილისის კინოს სახლში მისი ჩვენება-განხილვისას (9 აპრილი) და საქართველოს სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირის გაფართოებულ პლენუმზე (18 ივნისი). პლენუმზე ჩვენ გაეკეთდა რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა, მაგრამ კინოშემოქმედა ნაწილმა არ გაიზიარა ისინი. ამჯერად გვიდნა შეგვიერთო საბასუბო დამოსულობა ნაპარკებზე. აუტლებულად არ მივაგანია მათი გვარების დასახელება და პირობითად პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე მოკამათეს დავარქვით.

ფილმის ჩვენება-განხილვაზე წამოიჭრა საკითხი თუ რამ გამოიწვია გელას მიერ საქმის დაუსრულებლობა.

I მ თ კ ა მ ა თ ე უ ამა სხნდა თანამედროვე ცხოვრების ინტენსიურობით, მხაურაინი თბილისით, სადაც ძნელია აზრის მოგონება ერთბაშად და სიტუაციაში სწრაფად გარკვევა. ეს უსაფუძვლო არგუმენტია. ინტენსიურობის, როგორც სოციალისტური მშენებლობის დამასახიფთებელი მოვლენის შესახებ, უნოთ უკვე გვეყოდა საუბარი. ბოლო რაც შეეხება მხაურაინ თბილისს, აქ მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს, რომელთაგან ბევრი არათუ ჩვენში, მსოფლიოშიც ცნობილი მეცნიერი, ხელოვანი თუ სპორტსმენია და ყველა გელასნაირად რომ ფლანგოს დრო, არაფერი გაკეთებულა და ეს არის!

ინავე მოკამათემ ჩვენი კრიტიკული შენიშვნების გამო პლენუმზე უპატივცემლობა დაგვწამა თ. იოსელიანის მიმართ, თუმცა ამასველი ფორმა სიმპათიურად ჩათვალა.

გამგები გაიგებდა, რომ ჩვენ არავითარი ქვენა გრძნობები არ გვაძოქმედებდა და მოყვარეს პირში ვიზრახვოდით.

II მ თ კ ა მ ა თ ე მ ჩვენს მიერ აღნიშნული ფილმის საბათურის ბუნდოვანება ფილოლოგიურ ვარჯიშად ჩათვალა, საერთოდ ნაოსკლავა კი - თავდასხმად და დათეურ სამსახურად თ. იოსელიანისადმი.

სათაურის შესახებ ქვემოთ გვექნება საგანგებო საუბარი. თავდასხმა კი უნდადც არა გვეჩინა და ამაში მეთხოველი ადგილად დარწმუნდებდა თუ გადათავალიერებს პლენუმის სტენოგრაფას, სადაც მრავალი საქმეარი ადგილი ვეძებენით თ. იოსელიანს. დათეური სამსახური ის უფროა, რომ თვალს დაბეჭუთი ფილმის ნაკლიან მხარეებზე და მხოლოდ დადებითზე ვილაპარაკოთ, როგორც ეს II მოკამათეს ადგამარია.

III მ თ კ ა მ ა თ ე მ დასბოლოებით ასე განაცხადა: სხვებთან შედარებით (გელისხმობად 1970 წელს გამოშვებულ ქართულ ფილმებს, გ. ბ.) გაცილებით ერთეულ ფილმად მიმჩნია „იყო მამში მგალობლი“... იგი „კინოგრობის-თვის“ შეიქმედ წინ გადადგმული ნაბიჯია. ე. გაბდელაკი (ფილმის გმირის განმსახიერებელი, გ. ბ.) არაჩვეულებრივად კინოსტატუსი ხასიათია. ეს არის ახლებურად დანახული თანამედროვე გმირი. იგი დანახულია ჩვენს ცხოვრებაში, აქვს დიდი საწყისი. ეს სინალოის საწყისია. სასოვადობა ჩანბულია საქმიანობაში და გელაც. ასეთი არის გმირი, ტი-

ბური. მისი გმირი კიდევ უფორ განსოვადობული რომ იყოს, უკეთესია...

გელას ტიპიურობა ჩვენთვის ძნელი დასაჯერებელია. მართალია, ჩვენში არიან მისი მსგავსი ადამიანები, მაგრამ, საბუნდიროდ, ცოტანი. მეტი განსოვადება კი, ვფიქრობთ, შეუძლებელი იყო. რაც შეეხება ფილმის ერთეულობასა და ე. კანდელაკის მიერ კინოსტატუსი (საგულისხმობა ქართული) ხასიათის შექმნას, არც ეს უნდა იყოს მაინცდამაინც მართებული. ჯერ ერთი, ფილმში დაყენებული პრობლემა იმდენად დამასახიფთებელი არ არის კერძოდ ქართული ხანმდელიხასათვის, რამდენადაც მსოფლიოს სხვა ქვეყნებისათვის. ამ გარემოებამ უოგნობის ფილმის ინტერნაციონალურ ელრადობაზე გაამახვილებინა ყურადღება.

დაიხ, ფილმი ნამდვილად ექილიან მამში მსსსტებებს თავისი თემატიკით, მაგრამ მასში მინიმუმამდე დაყვანილი ქართული კოლორიტისათვის დამასახიფთებელი მიხვები. ჩვენი გაგებით, გმირი კი არ უნდა გაავითტონაიკონალით გარკვეულად, არამედ, უპირატესი ყოფილი, მას მაქსიმალურად შევენარჩუნოთ ერთეული, დამასახიფთებელი, ოღონდ ყოველივე ეს ავამოლოთ საერთაშორისო თემატიკამდე, ე. ბ. მიხაიანი თავისი სიღრმით იყოს საკეთიბრი, ბოლო ფორმა - ერთეულიც ეს მომენტი კარგად არის გამოხვეტილი და კლენტისა რ. ჩხეიძის ტემპირიტად უშესანიშნავეს „ჯარისკაცის მამში“.

მსოფლიოს რომელ კუთხეშიც არ ნახეს ეს ფილმი, სერგო უჩაჩრადის გიორგი მასარაშვილი ყველამ თავის ქვეყნის შვილად, თავის კაცად მიიღო, ვინაიდან ყველა პატიოსან ადამიანს იგივე აუხებეს, რაც - ჯარისკაცის მამს; მაგრამ გიორგი მასარაშვილი, პირველ რიგში, ქართველ კაცად, ერთეული კოლორიტით შემკული და ამაღლებული შევიდა ყველა ქვეყანაში და სწორედ ამათი მოიოვა ყველაზე დიდი აქცენტი - ყველა ქვეყნისა თუ ქალაქის გასაღები.

თავისი თემათ, იყო მამში მგალობლი“ ნამდვილად ისახავს საერთაშორისო მიზნებს. მსოფლიოს მართლაც აუხებებს მამში წამოიტილი პრობლემა, მაგრამ გელა არ არის კინოსტატუსი ქართული ხასიათი. იგი ჭარბად განსოვადებულა და სხვა ქვეყნის მაცურებლისა ხს ვერ აღიქვამს შვარს ქართულ სახედ. ეს იქნებ მოგვიბინავს იყოს ფილმის გასამარჯვებლად უცხოეთში, მაგრამ თემათ ქართულისთვის განსაკუთრებულს არაფერს იმდევა.

რა ქართული ხასიათია, მავალითად, გელას ოინები ქალიშვილის მიმართ, როცა მას ბოდიშს უხდის, უნდა დაგტკიოთ და მიკან შეუმჩნეველად უკან გაშვერილი ხელით სასწრაფო დხმარების მძღოლს ანიშნებს, მომიხალცივე მანქანა, მალე მოვრჩე ამ ქალიშვილთან ლაპარაკსო და ლანის არის ოპერის თეატრის შესასვლელში შეჭრის წითელჯვარიანი „ვოლკა“.

საქართველო რომ ცნობილია ბრწყინვალე სტუმრობოყვარებით, ჩვენი აღმოჩენა არ გახლავთ, მაგრამ როგორ ექცევა გელა სტუმრად ჩამოსულ რიგგელებს (თავი გაავსოთი ქალის მოჭარბებული უფლებების სახეცხმას)? უგულოდ ღებობის მათ, შემდეგ სულაც მიატოვებს (თხაც აფრთხილებს, უნემოდ ნუ ისიერნებთ თბილისში!) და, ბოლოს, საერთოდ, ვიწყებდა ისინი. დედის საყვედურზე ერთგომ არ მოხდებ სტუმრებს, გელა პასუხობს: დღეს ძალიან ბევრი საქმე მქონდაო.

ან როდის ყოფილია, რომ ქართულ კაცს პურის ჭამა უნდოდეს და ქალადში შესუენილი ბოლოებითა და ხანოვით კარდაკარ დადიოდეს ადგილის საპოვნელად.

გელას ობრობობა, უცნაურობა (чужаковатость), უნეთობა კი არა, არამედ, ძირითადში, სახრისობა, აქტიუ-

რობა, სწრაფვა და მასპატივები ქართველი კაცისთვის. ყველაფერში ხელის გარევა და საბოლოო მიზნის მიუღწევლობა კი არა, არამედ, ნიჭიერების გამო, ერთი საქმის გაკეთება და მერე ახლის წამოწყება (თუნდაც სხვა სფეროში) ახასიათებს ქართულ ბუნებას.

მაშ, რა არის გულში ქართული, ამ მხრივ რთია იგი გამორჩეული? ანაფრით განსაკუთრებული!

ერთი სატყვიო, ჩვენ გვირდა ისეთი ფილმები, რომლებშიც დადებითი თუ უარყოფითი გმირები ნათელ ხასიათად წარმოგვიდგებიან და არა საჭოჭმანოდ.

„მეტი იდეური სიზუსტე, სიხანაღ და სიღრმე! მეტი შეტყვითი, პრინციპული სულისკვეთება! თანამედროვე მეცნიერებისა და კულტურის მიღწევების საფუძველზე აღზრდის გარეშად, დაზარალებული ფორმებისა და მეთოდების უფრო შემოქმედებითი, ბეჯითი ძიება! ასეთია იდეოლოგიურა ფრონტის ყველა მებრძოლის... ამოცანები“ — მიგვიფიქრადებს პარტია.<sup>1</sup> მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურასა და ხელოვნებაში „შთავანი გმირი იყო და კვლავაც არის აქტიურად მოქმედი ადამიანი, მებრძოლი, კომუნისტურ საწყისებზე ცხოვრების გარდაშემწელი, მაღალი ზნეობრივი ნორმების მატარებელი“.<sup>2</sup>

ოთარ იოხელიანს — ამ მაღალნიჭიერ ხელოვანს შეუქმნია ბრწყინვალედი გეგარენოს ამ აქტიურად მებრძოლი ადამიანების ანალოგიური ცხოვრება. ეს დიდად სასარგებლო იქნებოდა არათუ ქართული, არამედ საბჭოთა კინემატოგრაფისთვისაც.

IV მუკამათე სარეკემზო ფილმის ამ შემეხია, მაგრამ მეტად საინტერესო წინადადება წამოაყენა. კერძოდ, მან საჭიროდ მიიჩნია ქართული კინოსცენარების გამოქვეყნება უზრუნველ ფურცლებზე ან სპეციალურ ალბანში. ეს მართლაც საჭირო საქმეა და დიდად დაუხმარება რგორც მკითხველს, ასევე თვით კინემატოგრაფისტებს.

სათაურის შესახებ

საკამში არ უნდა იყოს, რომ სათაურს ძალზე დიდი ფუნქცია ატარია მხატვრულ ქმნილებაში. უპირველეს ყოვლია, სწორედ იგი განვითარებას ატარის პოზიციას, ნაწარმოების შთავარ აზრს, მიგვანიშნებს ძირითადზე, ან პირდაპირ გვიხსნის მას. სათაური ინტერესს უნდა უღვიძებდეს მკითხველსა თუ მაყურებელს. მაგალითისთვის გამოვღებოდა თუნდაც შემდეგი ქართული ფილმების სათაურები: „ჩრდილი გზაზე“, „სხვისი შვილები“, „დღე უკანასკნელში, დღე პირველი“, „ჯვარცმული კუნძული“, „არაჩვეულებრივი მოხუცება“, „ლითლის ბიჭები“ და სხვა. რასაკვირველია, კრიტიკა უზრუნველ და ზუსტი სათაური, მაგრამ მისი მოფიქრება ხშირად დაძაბულ, ჯოჯოხეთურ შრომას მოითხოვს.

გავისენოთ, რას წერდა კონსტანტინე გამსახურდია ნარკვევში „In memoria Saba Orbeliani“ — სულხან-საბას „საბრძნო სიყვარულსა“ (რგორც სათაურის) შესახებ.

„არაფერი ისე არ ახასიათებს მწერალსა და მის სტილს, რგორც სათაური.“

ის მწერლები, რომლებიც სათაურის მოუფიქრებლად წერად დასხმდებიან, უმჯობესია მათ კარგად არ იცნან, რა და ვერონ, ისინი ბუნდოვანად გრძობენ, რაღაც უნდა დასწერონ, მაგრამ ბნელში ხელები ხედავთ ით მიყვებიან კალამს...

სათაური იგივეა, რაც თვალ ადამიანისა, ან სარკველი კაცთა სამყოფლისი.

...უთოდ სათაურია პირველი დვრიტა შემოქმედების სასა...<sup>3</sup>

სათაური ჰგავს მეომრის მიერ პირველ მოქმედების მიღებისას...<sup>4</sup>

(კტა ქვემოთ მწერალი აცხადებს: „ეს (მწერლები სათაურის რომ წიგნის დაწერის მერე დაუწყებენ ძებნას) იმას ნიშნავს, რომ მათ მთლად დალაგებული მუკრნებობა არ ეტულებათ თავიანთ ნაშრომში“ (ზაზი ყველგან ჩემია, გ. ბ.).

ერთი სატყვიო, კ. გამსახურდიას ის უნდოდა ეთქვა, რომ „საა ორბელიანის იგავების სათაურშივე შედგებოდა მისი გენიის უდიდესი ორიგინალობა“.

მათალია, კ. გამსახურდია აქ მწერლებზე ლაპარაკობს, მაგრამ მას აზრის გათვალისწინება სათაურის შესახებ არც ერთს მუშაებს ანგედათ, მით უმეტეს, რომ სარეკემზო ფილმის სცენარის ავტორები არიან რგორც დამდგმელი რეჟისორი ი. იოსელიანი, ასევე მხატვარი დ. ერისთავი (სხვეთან ერთად).

ღიდა მურლის ნათქვამიდან ზოგი რომ გვენიშნა ამ ფილმის სათაურის საკითხთან დაკავშირებით. თავდაპირველად ფილმს ერქვა „დღითი დღე“ (რუსულად «День денской»). სხვა წარმოდგენილი ინფორმაციისა და რეკლამების ბიუროს მიერ 30.000-იანი ტირაჟით გამოცემულ ცნობარში. შემდეგ კი ფილმის ჩვენება-განხილვისას (პარილის დასაწყისში) ვიხილეთ ახალი სათაური „იყო მაშვი მაგლობელი“ (რუსულად დარჩა «День денской»).

ავტორებს, რასაკვირველია, უფლება აქვთ თავიანთ ნაწარმოებს ნებისმიერი სათაური შეერჩიონ, მაგრამ, ჩვენი აზრით, მათ გაუცუდათ „პირველი მოქმედა ხმლისა“ მეორე მოქმეების უმჯობესობის იმედით.

ასეა თუ ისე, მიგვანიშნა, რომ „იყო მაშვი მაგლობელი“ ბუნდოვანი სათაურია და ერთბაშე უკანასკნელად შედგება; ყოველ შემთხვევაში, ნათლად ვერ გვიშეჯავნებს სათქმელს და უსამოვნო ასოციაციას იწვევს.

რას ნიშნავს „იყო მაშვი მაგლობელი“? ეს გახლავთ თხრობითი-რელიგიური ტიპის დალოცვითი დასაწყისი ქართულ ხალხურ ზღაპრებში.

მოუკსმინოთ პროფ. მიხეილ ჩიქოვანს: „...დალოცვითი დასაწყისი ზღაპრის ისეთ დასაწყისს ეწოდება, სადაც აიღარებოდა ღვთაების ასოლტური სიმშენიერე და სადაც მოქმედა გამოთხოვითი აქვს მამყნელობა დამწყნელობა; მისი ფორმულაა: „იყო და არა იყო-რა, ღვთის უკეთობა რა იქნებოდა, იყო მაშვი მაგლობელი, ღმერთი თქვენი მშვილობელი“.

ეს ფორმულა ორი ნაწილისაგან შედგება: პირველს ხოტბითი ხასიათი აქვს, მეორეს — დალოცვითი. რელიგიურ-

<sup>1</sup> „პრავდა“ 19/VI, 1971 წ.  
<sup>2</sup> „პრავდა“, 4/VI, 1971 წ.

<sup>3</sup> კ. გამსახურდია, რჩეული თხოვლებანი ტ. VI, გვ. 145-146.  
<sup>4</sup> იქვე, გვ. 146.

დალოცვითი დასაწყისი ხოტბითი შესავლის გაგრძელებული სახეა.<sup>5</sup>

ზარემ აქვე განმარტოთ „დამწყალობება“, ანუ „დამწყალობნება“. ეს არის „ნატისთვის (სალოცავისთვის) წყალობის გამოთხოვა, შევედრება, დალოცვა“...<sup>6</sup>

რამდენადც ვიცე, სხვა ინტერპრეტაცია არ უნდა ჰქონდეს სიტყვეს — „იყო შაში მგალობელი“.

თუ ყოველივე ეს სწორია, მაშინ საკითხავია, ფილმის ავტორებს რა ხოტბა უნდა შეესხათ გელასთვის (რომელიც გახლავთ „იყო შაში მგალობელი“), ან რითი უნდა დაელოცათ თუ დაემწყალობნებინათ იგი? იმითი, რომ მანქანის ბორბლებ ქვეშ შეაგდეს გასაწირად? იქნებ გელა კი არა, მაყურებლები შეავედრეს ღმერთს ფილმის ავტორებმა და „დაამწყალობნეს“? ცხადია, რომ ასეთი სათაური არაფერს მატებს ფილმს, ზიანის გარდა.

თანაც რატომ იყო, თუ ფილმის ფინალში დაზიანებული საათის ამუშავება მიგვანიშნებს გელას სიცოცხლის გაგრძელებაზე? თუ მცა ამ მინიშნებაზე, როგორც აღვნიშნეთ, ყოველ მაყურებელს თავიში აზრი აქვს.

შესაძლოა, საერთოდ დეტალები სხვადასხვანაირად გავიგოთ, მაგრამ ეს ერთობ პრინციპული მნიშვნელობის სიმბოლოა და ავტორებს უფრო მკაფიოდ უნდა გამოეძერწათ იგი, რათა ორჭოფული აზრი არ გასჩენოდა მაყურებელს.

ფ. ენგელსი აღნიშნავდა: «Что касается заглавия, то я повторяю, что самым неудачным является во всяком случае такое заглавие, которое мож-

но понять лишь после того, как прочтешь половину книги...»<sup>7</sup>

ჩვეუ კი სარეცენზიო ფილმის დასასრულსაც ვერ გავიგოთ მისი სათაური.

გარდა ამისა, რა აუცილებლობით არის გამოწვეული, რომ ო. იოსელიანის ორივე მხატვრულ ფილმს („გიორგობისთვე“ და „იყო შაში მგალობელი“) ქართულად უთუოდ სხვა სათაური უნდა ჰქონდეს და რუსულად — სხვა («Листопад» და «День деньской»)?

\* \* \*

ახალგაზრდობის აღზრდისათვის დღევანდელი მოთხოვნების დონეზე უფრო ქმედითი ფორმების ძიებაა საჭირო საერთოდ და ხელოვნებაშიც. ამიტომაც იწვევს ეს ფილმი კამათს. მისმა მოთავარმა გმირმა ბეგრი რამ იცის, ნიჭიერიც არის, მაგრამ თავი ვერ მოუბამს საქმიანთვის. მას შესაძლოა წლის ყველა დღისთვის შემოენახა სისარგებლო საქმიანობა, მაგრამ ეპიგრაფში ნახსენები შაშისა არ იყოს, მიმინომ დაუქროლა და საერთოდ ჩააწყვეტინა ხმა, გულგრილად მოიშორა. სწორედ ეს გახლავთ გელას — „იყო შაში მგალობლის“ — საჩივარი ფილმის ავტორებისადმი.

ა. რუბინშტეინის სიტყვებია: წერა კმაყოფილებაა, მეჭდვა — პასუხისმგებლობა. ამ წერილის წერისას დიდი კმაყოფილება არ განგვიცდია, მაგრამ პასუხისმგებლობას ვგრძნობდით და გვინდოდა პირველი შთაბეჭდილებების საფუძველზე პირთუენელად გვეთქვა: საჩივრითი ფილმს ხოვ შემთხვევაში ფერი ლაღისა აქვს, ხოლო გემო წყალისა.

<sup>5</sup> შ. ჩიქოვანი. „ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია“, თბ., 1956 წ. გვ. 369.  
<sup>6</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. III, გვ. 571.

ტ. 30, გვ. 80 (რუსულ ენაზე).  
7 ვ. შატკისი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, მეორე გამოცემა.



კადრი ფილმიდან „ჩიქრმენი“.





ლ. კვახავაძე.

მოსავალი

ქალრი ფილმიდან „წყალდიდობა“



# „წყალდიდობა“

ტარიელ ხავთასი

ნათქვამია: კამათი ჭეშმარიტების დედაა. არც კინორეჟისორ თენგიზ გოშაძის დებიუტს ჩაუვლია კამათის გარეშე. მისი ფილმი „წყალდიდობა“, რომელიც შეიქმნა ა. სულაკაურის უკვე აღიარებული, ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით (სცენარის ავტორები ა. სულაკაური და თ. გოშაძე, მხატვარი ქ. ლვბანიძე, ოპერატორი ნ. სუბინილი), ფიქრობთ, საკმაოდ.

სანამ „წყალდიდობის“ ანალიზს შევუდგებოდეთ, მოვიგონოთ მისი სიუჟეტი. ფილმის სამოქმედო არე მოიცავს ოცნას წლების თბილისის ერთ პატარა უბანს — ჩუღურეთს — ვიწრო ქუჩებით, წისქვილებით, სიძველისაგან მორყეული სახლებით. ქალაქის ამ მიკრორაიონის ცხოვრება თავის ძველ კალაპოტში მიედინება და ამ დინებაში მოქცეული ადამიანების ურთიერთობაც, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი და უწყინარია... მაგრამ დრო თავისას მოითხოვს და ერთმანეთს უპირისპირდებიან კეთილი და ბოროტი ძალები. ეს დაპირისპირება არ არის მოცემული ვიწრო, პირიუხულ ჩარჩოში, იგი ძველისა და ახლის შეტაკების ფონზეა გაშლილი.

ახალი ცხოვრების ტალღა შეუპოვარი სიჯიუტით მიიწევს საუკუნეობით განმტკიცებულ რუტინაში. მეწისქვილეებით, მეთევზეებითა და ამქრებით სასვე ჩუღურეთი ვეღარ ინარჩუნებს თავის კოლორიტს და იგი ცხოვრებისეული წყალდიდობის საფრთხის წინაშე დგას. ეს ყველაზე მეტად მე-

წისქვილე სტეფანეს აწუხებს, რადგან ახალი დროის დინების პირველი ტალღა სწორედ მის საკუთრებას — წისქვილის ემუქრება. ყველაფერი ერთმანეთში იხლართება და თავს იყის სოციალურ კონფლიქტში. სწორედ აქ უპირისპირდებიან ერთმანეთს ფილმის მთავარი გმირები — წისქვილის მუპატრონე სტეფანე და მეთევზე ლადო...

ეს ქარგა საკმაო გარანტია იყო იმისა, რომ შექმნილიყო მოსაწონი ფილმი და ჩვენ მივგანია, რომ „წყალდიდობის“ ავტორებმა ძირითადად ეს შეძლეს. ხოლო რატომ „ძირითადად“, შევეცდებით ქვემოთ განვმარტოთ.

სტეფანეს, ლადოსა და მისი მეუღლის — იულიას ურთიერთობა და მოქმედების არე განსაზღვრავს, საერთოდ, ფილმის მასშტაბს. და ფილმის ერთ-ერთი ნაკლია ის, რომ გმირთა ამ სამკუთხედის ურთიერთობის ლოკაცა არც თუ დამაჯერებელია, რადგან მკაფიო ფერებში არ არის მოცემული ამ ურთიერთობათა გამომწვევი მიზეზები, მათი დამაკავშირებელი ფარული ფსიქოლოგიური ნერვი. კვანძის გასწავლვამდე სამკუთხედის გმირთა ხასიათები მხოლოდ პორტრეტული გამოკვეთილობით იქცევენ ყურადღებას, და მათ შორის მოსახლენი კონფლიქტის გამოწვევის შთაბეჭდილებას არ ტოვებენ.

ფილმის ექსპოზიციური სათანადოდ ვერ არის მომზადებული სტეფანესა და იულიას ინტიმური კავშირის გარდუვალობაც, და როცა მაყურებელი ფაქტის წინაშე დგება, იგი შედგეს აღიქვამს მხოლოდ ლადოსა და სტეფანეს ხასიათებიდან გამომდინარე ამ შემთხვევაში იულიას სიმამათიბი სტეფანესადმი იკეთება წმინდა ქალური პოზიციებიდან — ქალს მისწონს მინაკანად ძლიერი მამაკაცი. სიმამდილეში კი ეს ასე როდია. იულიას სტეფანესთან მანამდე ქონდა ახლო ურთიერთობა, ვიდრე იგი ლადოს მეუღლე გახდებოდა. ეს დეტალები ხაზგასმული არ არის ფილმში, რაც ძალიან ბოჭავს მაყურებელს მთავარი გმირების ურთიერთდამოკიდებულებათა გარკვევაში. მაგრამ ფილმში მეტ-ნაკლებს სიცოცხლით დახატული პერსონაჟების ურთიერთობა ისეთ ხაზებში მიემართება, რომ ძველი წისქვილების აღსასრული, სტეფანეს ზნეობრივი და მატერიალური მარცხი თვით ცხოვრების კანონზომიერ განაჩენად ექვსს.

ლადოსა და სტეფანეს შორის წარმომოხილვი კონფლიქტი საკუთრებასთან სხვადასხვაგვარი დამოკიდებულებით

განისაზღვრება და უფრო ზნეობრივი ურთიერთობის სფეროში მიმდინარეობს, მაგრამ თავისი ქვეტექსტით ეპოქის სოციალურ ბიძგებზე მეტყველებს. ეს გარემოება საკმაოდ კარგად ჩანს ფილმში, რაც რეჟისორის მახვილ თვალზე და სცენარში მოსაზრული სიტუაციების კინემატოგრაფიული ხერხებით წაკითხვის უნარზე მეტყველებს. ამავე დროს შკაფიოდ იკვეთება რეჟისორის მიზანდასახულება — შექმნას ფსიქოლოგიური დრამა. უნდა ითქვას, რომ ეს ეპიზოდი კარგ კიდევ არ არის სათანადოდ კულტურირებული ქართულ კინემატოგრაფიაში. ამ მხრივ ბოლო წლების ერთადერთ საინტერესო ნამუშევრად უნდა ჩაითვალოს მერაბ კოკორაშვილის „დიდი მწვანე ველი“. და რაოდენ სადაყოფ არ უნდა იყოს „წყაღდილობა“, კინორეჟისორ თ. გომაძის ცდა და საქმისადმი მისი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება პრეტენზიულ მაყურებელშიც კი ერთგვარ კომპრომის წარმოშობს.

„წყაღდილობის“ მთავარ დადებით თვისებად უნდა ჩაითვალოს მასში მსახიობთა კარგი ანსამბლის მონაწილეობა. მაგრამ მ. თბილელი, ე. მაღალაშვილი, გ. გემეჭკორი, რ. ჩხიკვაძე, კ. თოლორაია, ლ. კაპანაძე, ლ. ყოფიანი და სხვ მარტოოდენ მათ ნიჭიერებაზე დაყრდნობით ვერ იტყვიან იმას, რასაც ფილმის ფაბულა მოითხოვდა, რომ მათ გვერდით არ ყოფილიყო რეჟისორი, რომ თ. გომაძეს არ გამოევიდინებინა მხატვრული სახის თავისებურებათა კონკრეტული ბუნების ხატვისა და გაანალიზების უნარი. მაგრამ თუ სახეებს აკლიათ სრულყოფილების ელემენტები, ამაში მსახიობებთან ერთად რეჟისორიცაა დამნაშავე. ახლა ვნახოთ, თუ მსახიობურად როგორ არის დაძლეული ფილმი.

ფილმის ექსპოზიციურ ნაწილში ვეცნობით კ. თოლორაიას შეთქმულს, სწორედ ისეთ კაცს, როგორზედაც პოეტს უთქვამს — „ბადე ჩემი ქონება, მტკვარი — ჩემი შემნახავი“. მაგრამ ეს როდია საკმარისი ლადოს გარეგანი თუ სულიერი პორტრეტის წარმოსახავად. ამიტომ ფილმის

ავტორები შეეცადნენ პირველი კადრებიდანვე ენგეზობიან შეთქმვის კეთილშობილება და მსახიობიც ყოველ მომდევნო ეპიზოდში უესტით თუ სიტყვიერი მასალით თანმიმდევრულად ავლენს გმირის ხასიათს. ასე ყალიბდება ფილმში ძველი თბილისის პატოსანი, გულშეგრვილი და მშრონელთა ტრადიციული სინდისიერებით აღსავსე კაცის იერსახე. მაგრამ იბადება კითხვა: მიღწეულია სრულყოფილება? მაყურებელს სჯერა კ. თოლორაიას გმირისა? ვფიქრობთ, არც თუ საყვირთ. ამის მიზეზიც არის გასაღავი, რომ ლაღი ინდიფერენტული, უფრო მეტიც, ფლგმატური კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს. ასეთი ადამიანები კი როგორც ცნობილია, მოკლებულნი არიან სიმპათიებს. ამდენად, მაყურებელი გრძობს, რომ კ. თოლორაიას გმირს მხოლოდ მოვალეობა კარნახობს საკეთილადმი სამსახურს.

თუ ეს იერსახე ასე იყო მოცემული სცენარში და რეჟისორმა უცვლელად გადმოიტანა ფილმში, გულწრფელად უნდა ითქვას, რომ მსახიობს შესანიშნავად გაურთმევია თავი ამოცანისათვის. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, აქ ყველაფერი რეჟისორის ბრალი როდია. კ. თოლორაია აშკარად შეუბოლია, შეეცვლია მისი სხვადასხვა ფორმები, რის გამოც იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს იგი ინერციით მიყვება საკუთარი ინტერპრეტაციით წარმოსახულ გმირს, რომელსაც რეჟისორმა ვერა და ვერ მოუძებნა სწორი მიმართულება. და ეს ისე ხელშეწყობდა იგრძნობა რომ ფინალში ალარც კი გჯერათ იმ აფეთქების ბუნებრიობისა, რომელიც სტეფანეს რეპლიკამ გამოიწვია შეთქმულში.

ეკრანზე მაყურებელი მხოლოდ ერთხელ ხედავს შემართულ სიმართლეს, ამბოქრებულ სიკეთეს, რომელიც ანგარიშს უსწორებს ბოროტებას. მართალია, ეს კადრი საინტერესოდ მიყავს მსახიობს, მაგრამ მისი გმირის გამოფხიზლება იმდენად გვიან მოხდა, რომ ეჭვს იწვევს — ნუთუ შეძლებდა ამას მუდამ დინჯი, კომპრომისული ბუნების კაცი?

სულ სხვაა ე. მაღალაშვილის სტეფანე. იგი ეშმაკი და



კადრი კინონოველიდან „ნუსი“



შორსმჭვრეტელი კაცია, რომელმაც იცის, თუ რას უშაადებს მკაცრი მომავალი.

როგორც საერთოდ (გარდა ფილმისა „გაზაფხული საკენში“), „წყალიდობამიც“ ე. მაღალაშვილი უარყოფით პერსონაჟს ანსახიერებს. მსახიობი კარგადაა გარკვეული თავისი გმირის ხასიათში, მისი სოციალური ბუნების ფსიქოლოგიაში და დინადა, ზომიერების განზომილი ძეგრ-ვაგას სტეფანეს პორტრეტს. თუმცა ამ სახემიც არაერთხელ გაიღლებს მის მიერ აღრე დახატულ გმირებში გამოყენებული შტრიხები, ერთადერთი, სადაც არ გჯერა მსახიობისა, ეს არის მისი უზომო ხარხარი, როცა დასახრჩობად განწირულ ლაღის უცქერის.

ლაღისა და სტეფანეს ურთიერთობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იულიას (ლ. კაპანაძე). იგი ნათლად ხედავს თავისი მეუღლის გადაჭარბებულ კეთილკაცობას, რაც მასში აშკარა ცინიზმს იწვევს. სამაკიუროდ, იულიას მოსწონს სტეფანე, აყვება მის ვენებზე და ძველისა და ახალი ყოფის დაპირისპირებისას იგი ამ უკანასკნელის პოზიციას იკავებს.

ლ. კაპანაძე ნამდვილად საფრთხის წინაშე იდგა, რადგან იულიასა და „დიდი მწვანე ველში“ მის მიერ შექმნილ იერსახეს შორის ბევრი მსგავსება შეინიშნება. ჩანს, ლ. კაპანაძე მთელი შემოქმედებითი უნარით იღვწოდა, რათა იულიაში არ განემთორეინა „სახიფათო მსგავსება“, რაც ძირითადად შესძლო კიდევ, მაგრამ სრულყოფილებას ვერ მიაღწია. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანია ის, რომ იულიას სახეს არა აქვს მიცემული დროისათვის დამახასიათებელი ზუსტი კოლორიტი, ტრადიციული, ეროვნული თავისებურებანი, რაც უდავოდ გაამართლებდა მის მოქმედებას. ხასიათის არასწორად გახსნის სათავე სცენარსა და რეჟისორულ გადაწყვეტაში უნდა ვეძიოთ, რომელმაც კულ-მინაციურ წერტილში სიტყვების ამოჭრა და მუნჯი დიალოგის დაშვება გამოიწვია. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სახით

გაშვებულ კადრებსაც კჭონდა თავისი ობიექტური მიზეზები; კერძოდ, ფილმის საერთო წარმატებას ყველაზე მეტად შეუშალა ხელი შედეგების ჩვენებამ მათი გამომწვევი მიზეზების გარეშე. ეს კი ანბნეს მაყურებელს, ხოლო ფილმს ართმევს დამავრთლებობას, ფსიქოლოგიურ სიღრმეს, რაც კოლიზიას შედაპირულობის დაღს ასვამს.

აღნიშნული ნაკლიც სცენარისეულია, რომელიც ვერა და ვერ დაღლია რეჟისორმა. სარეჟისორო სცენარზე და საერთოდ ფილმზე მუშაობისას თ. გომიძეს რომ მეტი ეზურუნა შედეგის ლოკაცზე, რა თქმა უნდა, ორგანულად განზიდებოდა მისი წარმომშობი ფაქტორებიც და ფილმის დამარწმუნებელი ძალაც მეტ სიმყარეს შეიძენდა.

შემოაღნიშნული გვაძლევს თუ არა იმის საფუძველს, რომ არ ვიწამოთ ლ. კაპანაძე, როგორც ნიჭიერი მსახიობი? სრულიადაც არა. მის განსახიერებაში უდავოდ იგრძნობა მაძიებელი მსახიობი, რომელსაც გაანჩნა გულწრფელობა, დაკვირვება, ტაქტი, რაც იმის გარანტიაა, რომ მომავალში მისგან. უფრო სრულყოფილი, ხელოვნების მაღალი პოზიციებიდან დანახული და გამოკვეთილი კინემატოგრაფიული სახეებია მოსალოდნელი.

თუ ლ. კაპანაძის შესრულებაში მაყურებელი ბევრ საკამათოს ხედავს, ამ მხრივ უარეს მდგომარეობაშია ჩაყენებული ჭახოს როლის შემსრულებელი ახალაზრდა მსახიობი ლ. ყაფიანი. და უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო დროს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს რეჟისორები გაურბიან მსახიობებთან ინტენსიურ მუშაობას, არ აინტერესებთ მათი არტიკული მუშის ყოველმხრივი გამოვლენა და იერსახის შექმნას მთლიანად მას აკისრებენ, ანდა პირიქით — არ ითვალისწინებენ მსახიობის შესაძლებლობებს და ბრმად გაყოლიებენ ხოლმე თავიანთი ჩანაფიქრის განსახორციელებლად. ბუნებრივია, როცა შემოქმედებით პროცესში ასეთი ცალმხრივობა, როცა უგულვებლყოფილია შესაძლებლობათა აღმოჩენის ცდა, სწორედ იქ სიმება წერ-

კადრი ფილმიდან „ჩემი ქალაქის ვარსკვლავი“




ტლიო ჭემმარიტ შემოქმედებით ძიებებს და ჩნდება ერთ-ფეროვნებისა და შტამბის საშიშროება.

როგორც ზემოთ ითქვა, აღნიშნულ ფილმში მსახიობთა კარგი ანსამბლი მონაწილეობს. მ. თბილელის მიერ ბოლო პერიოდში შექმნილი თეატრალური იერსახეები მსახიობის შემოქმედებით ზრდასა და შემდგომ დაოსტატებაზე მიგვანინშნებს. მას არც კინოში დალატობს ზომიერების გრძობა, სახის ორიგინალურად დანახვისა და გააზრების უნარი. ამაზე მეტყველებს მის მიერ სარკვეწზო ფილმში განსახიერებული ძველი თბილისის ტიპური ბინადარი, ცნობილმოყვარე მაკო. მსახიობმა ოსტატურად შეძლო კონკრეტულად ინდივიდუალურის განსოტადება და თავისებური სასაიმოფრო იერისა და ქექვის პერსონაჟის კინემატოგრაფიული ენით ამეტყველება.

დასამსოვრებელია გ. გვექტორი მწვანეფერნიჩანის ეპიზოდურ როლში. მსახიობმა ეს პატარა იერსახე ფილო-სოფიური წიალწილებით გაამდიდრა. ასევე მედქენის საინტერესო სახით წარსტვა მაცურებლის წინაშე მსახიობი რ. ჩხიკავაძე.

რით არის საინტერესო „წყალიდობა“? უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ რეჟისორი დებუტიდანვე დადგა სწორ გზას, არჩია ქართულ მწერლობასთან მტკიცე კავშირი. „წყალიდობაში“ არ იგრძნობა ახალგაზრდა რეჟისორთაოვის ნიშანდობლივი მიდრეკილეობები და დღუნებობები; ეს გარემოება ფილმის ავტორის მიმართ უდავოდ იწვევს სიმამოებას და რაოდენ მკაცრადაც არ უნდა მიუდგეთ „წყალიდობას“, ობიექტურობა მოითხოვს მასში დავინახოთ ბევრი კარგად მოფიქრებული კადრი, რეჟისორული მიგნებები, რაკურსები, შექმნილობის ზომიერი გამოყენება გმირთა ხასიათების გამოკვეთისას. თუმცა, სამწუხაროდ, რეჟისორი ყოველთვის ვერ არწმუნებს მაცურებულს. ამ თვალსაზრისით, რამდენს შესქენდა ფილმს, რომ მასში არ იყოს ისეთი დაუმუშავებელი და არადამაჯრებელი კადრები, როგორცაა სტეფანეს გადაჭარბებული ხარხარი, როცა ლადოს დაბრძობის საფრთხე ელის. აქ არ არის განხილული სტეფანეს ხასიათი (კვლავ შედგისა და პრაცდისს დაუკავშირებლობა), არ იგრძნობა მისი სისხარლის ქვეტექსტი. მოთხრობის მიხედვით მექსიქელის ლადოს მოახლოებული აღსასრული კი არ ახარებს, არანედ მისი „დედოფლის“ (წისქვილის) „ამუშავება-ამღერება“. ლადოს განსაცდელი კი მისთვის მხოლოდ გასართობია. სტეფანე წისქვილის ბორბლის ტრიალში თავის ხსნას ხედავს, რაც კარგად ჩანს იულისასა და სტეფანეს დიალოგში: — რატომ არ აწერებ წისქვილს? — მიშველეთო რომ ყვირია, ვუშველიდი, წისქვილს კი... არ გაუაჩერებ.

კადრი კინოწილედიან „ეპისკოპოსი ნადირობაზე“.



ამით იგი აშკარად გამოხატავს მის დამოკიდებულებას ძველი და ახალი ყოფის მოახლოებული შეჯახების წინადადით.

ერთგვარად დაუსრულებლად გვეჩვენება ფინალური კადრებიც. წყალწილებული წისქვილის მეორე წისქვილზე დაჯახების დროს რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ერთის ადგილს მეორე იჭერს, რაც უმართებულოა. ფილმში, უბრალოდ, კადრი ნაადრევად წყდება, რაც ტექნიკური აბასრულყოფილების შედეგია და რეჟისორს უნებდებდა თავისი ჩანაფიქრის სრულყოფილად ჩვენება.

დასაწყისში ითქვა, რომ „წყალიდობა“ საკამათო ფილმია და რა ხასიათაც არ უნდა წარიმართოს ეს კამათი, დადებითისა და უარყოფითის შეფარდებისას სასწორი მაინც დადებითსკენ იხრება. ამიტომაც, როგორც საერთოდ, ისე კონკრეტულად სარკვეწზო ფილმის მაგალითზე, არ უნდა დავივიწყოთ ის რთული შემოქმედებითი პროცესები, რომელიც თან ახლავს ყოველი ფილმის შექმნას. თუმცა არდავიწყება იმას არ ნიშნავს, რომ თვალსა დახუთო ჭემმარიტების წინაშე და ავსა და კარგს შეფასების ერთი და იგივე კრიტერიუმი მივუსადაგოთ.

სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს ერთი ტენდენცია შეინიშნება: ნაწარმოებს ან გადაჭარბებით ვაქებით, ან ხელოვნებით ვაძაგებთ. არც ერთია სწორი და არც — მეორე. ფილმის მიღმა დგას შემოქმედებითი კოლექტივი, ადამიანები, რომლებსაც სტირდებთ მზრუნველი ხელი, წრფელი გული და მართალი სიტყვა.

„წყალიდობის“ შემქმნილი კოლექტივი შეფასებისას უდავოდ იმსახურებს გულწრფელ და სათუთ დამოკიდებულებას. თვით ფილმის ერთი პერსონაჟისა არ იყოს: „მივეც კეისარს კეისრისა...“

# თხილთაოქმელები და თეატრალი

დალი მელქაძე

მარკსანწმინდის თეატრის მახლობლად, ჩოდრიშვილის ქუჩის შესახვევში, არის პატარა ბაღი, ხოლო მის სიღრმეში დგას შენობა, რომელიც არქიტექტურულად თუ სიდიდით არ იქცევს კურადღებას. ეს არის სახვატრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა კულტურის სახლი, სადაც უმთავრესად თავს იყრიან ვაჭრობის დარგის მუშაკები, რათა დაისვენონ, ნახონ ახალი კინოფილმები და მოისმინონ ლექციები. აქ საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრება ჩქედს. მის დარბაზებსა და კაბინეტებში დიდი მონღომებითა და ენთუზიაზმით ტარდება რუსული თეატრალური დასის რეპეტიციები. ამ დასის წევრები დიდხანს შრომობდნენ, იღვწოდნენ, სწავლობდნენ, ოცნებობდნენ... მოკრძალებით შეპყურებდნენ თავიანთ მასწავლებელს, რეჟისორსა და უფროს მეგობარს ნ. ტროიანოვს, რომელიც პირველი დიდიხვევ ჩენგრეულად ჩაუდგა სათავეში სცენისმოყვარეთა პირველ დარბაზულ დასს. დაიწყო სცენისმოყვარეთა მულეჯარე ცხოვრება, განუწყვეტელი შურება ჩანადჭირის ხორცმესმასა თუ შესრულებასზე. მაგრამ ყველა დაბრკოლება უკვე გადალახულია.

1953 წელს სცენისმოყვარეთა წრემ პირველ სპექტაკლად წარმოადგინა ა. ჩხიშვიის „დათვი“ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ს. შოროდინცვის ხელმძღვანელობით. ეს ვოდევილი მაყურებელმა გულთბილად მიიღო. ქვემო ვლენე პოპოვსა რილში მომხიბლავი იყო ჯ. ვლენინოვმა. იგი ღრმად ჩასწვდა გმირის სულიერ სამყაროს, შეიწყო მისი ბუნება და სიბარბოთი წარმოვიდგინა. სმირნოვის იერსახე შექმნა ლ. კოსარევმა, ხოლო პოპოვსა ლეკოს, ლუკას რილში შოამიჭყდავი იყო ბ. გრიგორიანი.

ამავე წელს კულტურის სახლმა რეჟისორად მოიწვია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნ. ტროიანოვი. დიდი ენთუზიაზმით დაიწყო მზადება ა. ჩხიშვიის იუბილესათვის. სცენისმოყვარეთა წრემ ამ ღირსშესანიშნავ თარიღისათვის დასადგმლად მოაშუადა ა. ჩხიშვიის „იუბილეს“. შემდეგში კი განახორციელეს „პარანჯივმა გაიღვიძა“, კონის „ქალიშვილი ჰუსარი“ და სხვ. ვოდევილებს დიდი წარმატება ხვდა წილად. უნდა აღინიშნოს ის დიდი წვლილი, რომელიც რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა, რეჟისორმა ნ. ტროიანოვმა შეიტანა თეატრალური დასის შემოქმედებითი ანგელოზობის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით წარმატებით განხორციელდა მიოვლერი და დეგმეში. უპირველესად აღსანიშნავია ბორის ლავრენჯიის „რდევვა“. ამ პიესაში ავტორი ამაღლებულად

წარმოვიცხადებს ჩვენი ახლო წარსულის გმირული ბრძოლის სურათებს. რევოლუციის ფონზე იმლება გემ „ავტორაზე“ მომხდარი რღვევის რთული ფსიქოლოგია.

იენ იყენენ კულტურის სახლთან არსებული პირველი რუსული დრამატული დასის მსახიობები? სხვადასხვა პროფესიისა მიმართ თანაგრძობით იყო გამსჭვალული. მაყურებელი მარტო სანახაობითი გართობისათვის როდი იყო მოსული, მათი მხარდაჭერა ძალას მატებდა მსახიობებს. ოვაციონი, ღვაკვი გამარჯვების მუსიკებელი იყო, დუმილი?... ვინ მოთხოვს, რამდენი მეღვარე უჭირბოვანია ამ თეატროქმედთა კოლექტივის წამყვან მსახიობებს: თბილისის თეატრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელს ი. ამირხანოვს, ინგლისური ენის მასწავლებელს ი. ქობრაშვილს, საავტრო-საპროექტო ბიუროს ტექნიკოსს ლ. კოსარევს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტს ჯ. აღჩაინოვას, თბილისის ელექტროგონომუშენებელი ქარხნის ტექნიკოსს ლ. ვითაიას, საქართველოს სტალინკენიკის ინსტიტუტის თაუსწრებელი სწავლების პედაგოგს ჯ. ვადაკარიას და სხვ. ეს ნიჭიერი ახალგაზრდები დაუღალავად შრომობდნენ, რათა არ შეერცხვინათ კოლექტივის სახელი, გაეშრომებინათ რეჟისორის ნიღბი და იმედი.

პირველმა წარმატებებმა ფრთები შეასხა მსახიობებს. მათ განსაკუთრებული პასუხისმგებლობით დაიწყეს მუშაობა ისპანელი დრამატურგის ლოპე დე ვეგას პიესაზე „ქალიშვილი სურთი“, რომლის განხორციელებას კულტურის სახლის დირექტორმა სუბტიტული უზრუნველყო. რეჟისორმა ნ. ტროიანოვმა შესუბალური გაფორმებისათვის მოიწვია ლუის ფერნანდესი. საგანგებოდ შეისწავლეს ისპანური სიმღერები. ცეკვები დადა ქორეოგრაფმა დ. მაჭავარიანმა, სპექტაკალი მხატვრულად გააფორმა ნ. ქლივიძემ. განებიერებული ქალიშვილიდან მარია (ი. ქობრაშვილი) უბოლო მოსამსახურე გოგო იქცეოდა. მაყურებელს სიბოლოვანად არ მარტო მსახიობის აქტიურული ოსტატობა, არამედ მისი ვოკალური მონაცემებიც. მსმენელს აღოცლებამ მის მიერ დიდი სითბოთი შესრულებული სიმღერები სამშობლოზე.





სცენა სპექტაკლიდან „მოთხვენარი სიბერე“.

დიდი წარმატება ხვდათ წილად ჯ. ვადაკარიას დონ ხუასსა და ო. ვადაკარიას დონ ბერნარდის. დონა ანას როლში შესანიშნავი იყო ლ. ხოფერია, გრაფის როლში — ვ. დულკესი. დამთავრდა წარმოდგენა, დარბაზმა ოვაკიით გამოსატა აღფრთოვანება. განსტკიცდა რწმენა თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივის მიმართ.

დაიწყო ახალი რეპერტუარის შერჩევა. გამოცდილ რეჟისორს მხედველობიდან არ გამოჩნენია ის დიდი წარმატება, რომელიც ა. სუმბათაშვილი-იუჟინის „ლალატს“ ხვდა წილად ქართულ სცენაზე და უდიდესი პასუხისმგებლობის გრძობით შეუდგა მასზე მუშაობას.

სპექტაკლში, რომელიც საბჭოთა საქართველოს 35 წლისთავთან დაკავშირებით დაიდგა, შთამბეჭდავი იყო რ. ჯანიკიანის მიერ შესრულებული რუჰაიას სახე. თეატრიდან გამოსულ მსურებელს დიდხანს ახსოვდა მსახიობი ი. ქოქრაშვილის ზეინაბ დედოფალი, რომელიც ოცი წლის განმავლობაში ერთგულ მუღულედ აჩვენებდა თავს სპარსეთის ხანს (ჯ. ვადაკარია), მაგრამ მთელი ამ დროის განმავლობაში ერთი წუთითაც არ მოშორებია ფიქრი შურისძიებასა და სპარსელებისაგან საქართველოს განთავი-სუფლებასზე განსაკუთრებული პატიოტული პათოსით იყო წარმოდგენილი სცენა, როდესაც დედოფალი ზეინაბი გაიგებს მისი შვილის ლალატის ამბავს. დანაშაულის გამოსასყიდად თანამემამულეთა წინაშე პატიოტოდ დედა იქ ზახენის შვილს, სადაც სიკვდილი გარდუკალია.

სანტაგუსოდ ჩაიფიქრა რეჟისორმა ნ. ტროიანოვმა ა. ოლმასისის პიესა „ალმაზოვის დაღუპვა“, რომელიც 1917 წელს პეტროგრადში მომხდარ ამბებს ეხება. ამ პიესაში ლ. ხოფერია განასახიერა ჯალბატონ სტაროდუტცევას როლი. მან მთელი დამაჯერებლობით წარმოვიკვდიანა უკვე განწირული სამყაროს წარმომადგენლის, გზაკვალ-აბნეული ჯალბატონის სახე. აჩვენა მს უპირისპირდება მი-სივე ლიბლი და მარია, რომელიც რევოლუციის მხარეზე გადადის. წარმატებით გაართვა თავი როლს მსახიობმა რ. ჯანიკიანმა. მსურებელთა მესსიერებაში დარჩა აგრეთვე

ჯ. ვადაკარიას მიერ შექმნილი გვარდიის ოფიცის ალმა-ზოვის იერსახე. პიესა მსურებელმა გულთბილად მიიღო.

ყოველი წარმატება ახალი გამარჯვების საწინდარი იყო. მსურებელმა შეიყვარა და აღიარა სცენისმომყვარეთა სპექტაკლები.

რუსულმა თეატრალურმა დასმა მორიგ პრემიერად წარმოადგინა ნ. ტროიანოვის დრამა „ხიდი“, რომელიც ავტორმა საკუთრად კოლექტივისათვის დაწერა. პიესა ეხება სამამულო ომის ომებს. მტრის ზურგში მოქმედი პარტიზანების ჯგუფი გასცეს. და აი აღიოშნა, როგორც ეპახდნენ პარტიზანები თავიანთ ხელმძღვანელს მარია ოქოჯინას, გაიგებს, რომ ერთ-ერთი მოღალატეთაგანი მისი ქმარია. მარია ოქოჯინა (ლ. ჯიოფევა) შესთავაზებს თავის ქმარს — გასილის (ო. მაკომელოვი), გამოისყიდოს დანაშაული პარტიზანების წინაშე და წაიღოს გერმანელების ხიდის ასაფიქტებლად. ვასილი უარს აცხადებს, რადგან იცის, რომ სიკვდილი გარდუკალია. მაშინ მარია თხოვს გასიერ-ნონ ტყეში... მოულოდნელი გასროლა და მოღალატესთან ანკარში გასწორებულა... ომის დამთავრების შემდეგ რუსეთში ჩამოსის გერმანელი კომუნისტი გუნტერ ბრიზი (ვ. გრეიბონკინი), რომელიც მიივლის იმ ადგილებს, სადაც ომის დროს საბჭოთა ხალხს ეხმარებოდა. აი ის შეხვდება რომან ჩეკვერტაკოვს (ჯ. ვადაკარია), რომელმაც ვასილითან ერთად გასცა პარტიზანები და იცნობს მოღალატეს. ვარჯარა გატაცებით უყვარდა ლუკა სინიოკოვს (ლ. კოსარევი) და იცოდა რა ეს. ვარჯარა მიანც ერთგულ მუღულედ რჩებოდა, მიუხედავად იმისა, რომ რომანი ლო-თობის შედეგად ცოლს სშირად უსხედაც კი ექცეოდა. მოქმედება მთავრდება იმით, რომ რომანის სახლის მარდაფი-დან გამოიტყენენ განისა და იარაღს, რომელიც მან ომის დროს გადაამალა და მოღალატეს დააპატიმრებენ.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობით დაიწყო მზადება რუსულმა თეატრალურმა კოლექტივმა 1960 წლის რეს-პუბლიკური ოლიმპიადისათვის. ავტორისეული ჩანაფიქ-რის დრმა გაგებით იქნა წარმოდგენილი ფინელი დრამა-

ტურებს ხ. ვულიოის „იუსტიანა“, რომელიც რესპუბლიკურ დიპლომატიკაზე მოხიზნა მაყურებელი. პიის მთავარი გმირი იუსტიანა (ი. ქორაშვილი) მტკიცე ხასიათის, ამაყი, გაბედული ქალია. მოხუცი ქალბატონის როლი შესანიშნავად შესრულდა ზ. ჯიფაძემ. მიწონება დამსახურებს მსახიობებმა: ჯ. დავაიანი, ი. აშირხანიანი, ლ. ხოფერიანი, ტ. გლანინიანი და სხვ.

ამტეტკალი დამთავრდა. ახლა სიკჷაჷ ჟურის თავმჯდომარის გუთუბიდა. აჷაი ხირგამ მიომბო დასი და უხსრა: „საიგორი, სად მიძებნეთ ერთმანეთი. მსახიობებო — რეჟისორი და რეჟისორმა — მსახიობებო. აი ასე იწყებდა „მცირე თეატრი“ თავის ცხოვრებას“. მათ ორსეულად მოიპოვეს პირველი პრემია, ხოლო იუსტიანის როლის საუკეთესო შესრულებისათვის მსახიობმა ი. ქორაშვილმა პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა.

მაგრამ ეს არ იყო წარმატებების დასასრული. თეატრში მოვლდა ცნობა, რომ სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობა კულტურის სახლთან არსებულ რუსულ დრამატულ თეატრშივე თეატრალურ კოლექტივს მიენიჭა სახალხო თეატრის უფლები. ეს ფაქტი უდავოდ მათ დიდ დამსახურებაზე მეტყველებდა.

იყო სახალხო თეატრის მსახიობი, ატანებდე ამ დიდსა და საპატიო წოდებას, ნიშნავს უტოლოდღე თვით პროფესიულ მსახიობებს. ამიტომ იყო, რომ რუსული დრამატული თეატრალური თეატრშივე კოლექტივის ყველა წევრი შეუძლებლობი ენერჯითი ახმარდა მთელი თავის თავისუფალ დროს ამ საყვარელ და საპატიო საქმეს. ძალზედ ძნელი იყო ნიჷლოზ ალექსის ძე კრიათიანისთვის უპირიეთება ამ ერთსულოვან კოლექტივთან მუშაობაზე, მაგრამ იგი ქალაქ ნიჷკოლაივის სალოთო თეატრში მიიყვინ, სადაც ამჷაჷდაც განაგრძობს რეჷსორული და დრამატურული მოღვაწეობა. განტარების წინ მან სთხოვა გრიბოედოლის თეატრის მსახიობს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ა. ნირვანოვს, ხელმძღვანელობა გაეწია რუსული სახალხო თეატრისათვის.

რეჷსორი ნირვანოვი უღდესი პასუხისმგებლობის გრძნობით შეუდგა თეატრალურ დასთან მუშაობას. იგი დიდი ყურადღებით იცნობოდა ახალ პიესებს, აწყობდა მათი კითხვა-განმითვის საღამოებს. პირველ სპექტაკლად აირჩიეს ბ. გორბატოვის „ამაშების სიზაჷუი“. დადგმა მუსიკალურად გააფორმა ნ. ნარსიაი. მხატვრება აჷთვითონ რ. არუთიძეს. პიესა თანამედროვე თემას ეხება, მასში ახალგაზრდა კომკავშირლები მინაწილობენ. მათი ცხოვრების აღწერის ფონზე იშლება ველოია პეტრის ასურის ცხოვრება. რომლის შესანიშნავი იგრესაჷ შექმნა ი. ქორაშვილი.

ამ პიესის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირის, ნატამა ლინტინოვის სახით სცენაზე ერთხელ კიდევ გაიგოვა ტ. ელჩინიანოვის უდალო ნიგმა და ნამდვილი აქტიორული ოსტაკობით წარმოგვიდგინა ახალგაზრდა კომკავშირული ქალის დავუეყარი სახე. სპექტაკლი ძველ სცენის-მთავარებს შორის გამოირჩინდა ახალი შემსრულებლებიც, თბილისის ა. ბ. უშეინის სახლობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები. ენტაქმივით ასრულებდა ოჩარის როლს. ხოლო კომკავშირული გოგონას როლში გამოირჩიდა სახმატვრო სასწავლებლის სტუდენტი ი. თავაძე და სხვ. სპექტაკლმა მაყურებლის დიდი მიწონება დაიმსახურა.

შუენგებობი ენერჯითი გრძელდება მუშაობა ახალი მიღწელების მოსაპოვებლად. რეჷსორმა ა. ნირვანოვმა დასადგმელად აირჩია დ. უგროუშოის კომედი „უკუბოური ჩემოდანი“. გამოვლიმა რეჷსორმა თავისი ჩანაფიქრი ახალგაზრდა სცენისმთავარებს და დიდი პასუხისმგებლობით შეუდგა პიესაზე მუშაობას. თავის მხრივ არც ამ შესანიშ-

ნავი თეატრალური კოლექტივის წევრები ზოგადდნენ შესადიდებლობებს. ამჷგრად მათ ახალ ჯანრში — კომედიასი უსებოდდათ მუშაობა. განსაკუთრებული ინტერესი აიხსენება იმიტად, რომ თბილისის სცენაზე ეს კომედია პირველად იღამებოდა.

პიესაში ავტორი ხელახლა აყენებს საკითხს — დავის მამება და შვილები შორის, რომლებიც ერთმანეთსაგან რამოუიყოებლად, სრულად განსხვავებულად აღიქვამენ ცხოვრებას. კომედიაში ის დავა გადაწყვეტილია არა ფილოლოგიური თვალსაზრისით, არამედ ყოველდღიური ცხოვრებისეული სიტუაციების გადმოცემით. ლარისა მუშაკაოვასა და ოური აუნიინის შობილები წინააღმდეგნი არიან მათი ჟურწინებისა. მაგრამ ეს ახალგაზრდა წყვილი, მიუხედავად მრავალი დამბრკოლებისა, მაინც აღწევს მიზნას. ავტორმა ისინი სხვა პერსონაჷებისაგან განსხვავებით მუქი ფერებით გამოხატა. ასეთივე მეტყველი ფერებით, ავტორისეული ღრმა ჩანაფიქრის სრული გავებით წარმოვიდგინებს ლარისა — ზ. გრიგორიანმა (მოსწავლი) და იური — ვ. კრისინმა (შედლებელი). ეს პერსონაჷები სრულბიბიბი არ არიან კომიკური. პიისი კომიკური სიტუაციების ცენტრში დგას სრულად სხვა პერსონაჷი, დევიდა სიმია, რომელიც თითქმის მთორგანისობიანი როლია, მაგრამ მსახიობი ი. ქორაშვილის მიერ დიდი გატაკებით გამოძირწილმა ამ იგრესაჷ თავისი ადგილი კჷვავა სცენაზე. მსახიობმა წარმოათგინა ამბობიბული მგრანდი ქალის სახე, გააშთვლა მისი მრავანი ბუნება, რომ მისთვის მთავარია მშობლივად გარეგნული ფორმა. იგი გატაკიბულია ყოიდეგარე უტეზობით, თუნდაც ეს უბრლო ჩემოდანი იყოს, რომელზედაც უტეზოთის საუკეთესო ოკლეების სურათიანიანი გრიტიკობა დაკრული. ეს ჩემოდანი არის სიმბოლო ამ მოწვევებითი „კეთილდღობისა“, რაც უტეზოთშია გამოვლიბილი. ამ „კეთილდღობისათვის“ იღვწის და ისწრაფობს იორის წინააღმდეგ ლაქწობის კომპანიის სოლისჩამდამილი თიდა სიმია.

მსახიობების ხანგრძლიობა, თაულოაჷმე შრომამ სასურული შედეგი აჷმიტოლ. სპექტაკლის პრემიერა შედგა 1962 წლის მაისში. მთელი კოლექტივი რალაჷ საწვიმო განწვიბობით ელოდა ფართის ახლას. მაყურებლობა დარბაზშიც უწვილოდ გამოეცხოვობა სუფივდა. მაყურებლობა ალთრთვანბა უჯილობილი საბუთი იყო იმისა, რომ სიყენისმთავარე მსახიობებს პროფესიოლო დონეზედ ასლების უნაწი შესწვიოთ და თავიანთი ხალხის ნიბითა თუ ჰქაქორული ოსტაკობით კიდევ უფრო ამაღლებენ სახალხო თეატრის ავტორისტატს.

პიის შიშთია ა. ნირვანოვი დასასდგელოთ ამზატებს ა. უსპენკის პიესას „სოთი რაოი“, სადაც მთი მოჷმითი შირისის სიჷარეოზე, მათ შირთობასა და გეოტობრბუნას მოთხრობილი. პიესაში ასახლია ჩვენი თანამედროვე ცხოვრება. იგი მიღწენდა ოქტობრის რევოლუციის 50 წლისთაგას. ფესტავალზე მაყურებლობის დიდი მიწონება თაიშახარა ჯურიბოვას როლის შემსრულებლობა მსახიობმა მარა ქალმა დ. ბერიანდამ. ის აიზოთორობი როლი მსახიობბმა თილი ოსტაკობით განასახიორა. მან შეძლო მკაკიჷ ნეიბისითის, სულბრბილი თა პირდაპირი ათამიანის მხატვრული სახის ელტარება. რთის შესბივით იბი, მაგრამ სინამდვილეში გუთბიბილი და მიალოა წვიბითი დათილოთბილე მფრინავი ქალი უარს ამბობს პირაი ბიონიერბაზე. უარს ამბობს საკუთარ უთაქისხის გრძნობაზე თა თავიანთი თეატრმწივითი მიჷყავს მეტოქე ადამიანთან, რომელიც თითონ უარის.

ა. ბუჩიძის სამომქედნიანი კომითია „მაკერი ქალიშვილობა“ დიდი ხანია იზიდავს ჰართილო მაყურებლობს. ის პიესა წარმატებით იღამებოდა მრავალი თეატრის სცენაზე. რეჷსორმა ა. ნირვანოვმა იგი სრულად ახლებურად

ააქვრა და მსახიობების — დ. ბარტყულაშვილის, ვ. სოკოლოვსკაიას, ს. შახატუნიანის, ა. კალმახლიძის, ვ. გრეზინიხის, მ. ლიაშენკოს, ი. ამირხანოვის დიდი მონაწილეობით საუკეთესო სპექტაკლი შექმნა.

შემოქმედებითი ძიება გრძელდებოდა. იმავე სეზონში სახალხო თეატრმა მაცურებელს უხვდა ა. არბუსოვის „ტანია“. პიესასში მოთხრობილია, თუ როგორ იტრება ტანის თჯახურ სიმყურდოვში უცხო პიროვნება, რომელიც ოჯახური ტრადიციის მიზეზი ხდება. მსახიობი ლ. ბერინდა ღრმად ჩაწვდა გმირის სულიერ სამყაროს და, გვიჩვენა ძლიერი ნებისყოფის ადამიანი, რომელმაც უმძიმეს წუთებშიაც კი არ მოიხარა ქედი ცხოვრების წინაშე. მას მრავალი უბედურება დაატყდა თავს. ერთადერთი შვილიც გარდაიცვალა. მაგრამ მაინც არ დევდა სულიერად, დამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი და სამუშაოდ ციმბირში გაემგზავრა.

შემდეგი პრემიერა, რომელიც კულტურის სახლის თეატრალურმა კოლექტივმა წარმოადგინა იყო ნ. ვინიაკოვის კომედია „ეგზედტა“, სადაც ნაწევრება სტუდენტების ცხოვრება. პიესაში მოთხრობილია მათ სიყვარულსა და მკვლევრობასზე.

რეჟისორი ა. ნირვანოვი მუშაობას იწყებს ოსი დრამატურის ს. კაიტოვის პიესაზე „დედის გული“. პიესა მხატვრულად გააფორმა რ. სოლოდაშვილმა. პრემიერამ წარმატებით ჩაიარა.

მოქმედება იშლება სამამულო ომის ფრონტზე, სასიკვდილოდ დაჭრილი მარია კოვალევა თხოვს ნინა ბაროვას გაუწიოს დედობა მის ერთადერთ შვილს ალექსეის. და ეს უკანასკნელიც საკუთარ შვილთან ერთად ზრდის ალექსეის. ბავშვებმა არაფერი იცინან. მსახიობმა ი. ჩეგენევამ წარმოგვიდგინა ოსი დედის კეთილშობილური სახე. არანაკლებ მიმზადდელი იყო მარიას როლში მ. ლელსკაია. რაღაც სასწაულით გადარჩენილი მარია ექმნა შვილს. მსახიობი იმორჩილებს შობილიერ გრძნობას და არ ამჟღავნებს თავის პიროვნებას, რათა ამით სულიერი ტკივილი არ მიაყენოს მის შვილის აღმზრდელ ნინა ბაროვას. მაგრამ მაცურებელი გრძნობს თუ როგორ იტანჯება დედა, როგორ იტრებიან საკუთარ თავს... აი, დედა უმძიმესი წუთები და ალექსეი ნინასაგან შეიტყაბს ყველაფერს. ალექსეის როლში შესანიშნავი იყო ვ. ბინკოვი.

ისვე ომის თემას მიუძღვნა რუსულმა სახალხო თეატრმა თავისი შემდეგი დადგმაც. ეს იყო ი. ბეგაშვილის ორმოქმედებიანი დრამა „უსახელო კაცი“. მაგრამ რუსული სახალხო თეატრის რეპერტუარი მარტო ომის თემით არ შემოფარგლულა. მაცურებელმა იხილა მ. მეიოსა და მ. ენეკინის სამოქმედებიანი კომედია „ცრუ“, რომელშიაც ავტორები მოხდენილი სატირით ამათრახებენ ბურჟუაზიულ სამყაროს. პიესა დადგა ა. ნირვანოვმა, მხატვრულად გააფორმა რ. სოლოდაშვილმა. მთავარ როლებს ასრულებდნენ: დ. ბარტყულაშვილი, ლ. სოკოლოვსკაია, ი. ამირხანოვი და სხვ. როგორც ყოველთვის, მაცურებელი ამ სპექტაკლმაც მოხიბლა.

შემდეგი არჩევანი ა. ნირვანოვმა ბელორუსი დრამატურის ა. დლეუნდიკის სამოქმედებიანი პიესაზე „გამოწვევა ღმერთებს“ შეაჩერა. და ეს არჩევანი შემოხვედითი არ იყო. პიესა განამტკიცებს რწმუნას ადამიანის უსახლოვო შესაღებლობების მიზნით, რომლის წინაშე უძლურია ყოველვე, თვით ბუნების ძალებიც კი. პიესაში მოთხრობილია ახალგაზრდა მეცნიერებზე, ექიმებზე, ინჟინერ კონსტრუქტორებზე, მათ შრომის საქმიანობასა და მისწრაფებებზე, მათ დიდ სიყვარულზე, რომელიც თვით უმძიმეს დაუადებლასაც კი ამატცხებს. ეს დაღმა ახალგაზრდობისადმი იყო მიძღვნილი. მასში უმთავრესად ახალგაზრდა მსახიობები მონაწილეობდნენ. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები ლ. ბერინდა და მ. კალმაქაროვი, ინჟინერ-კონსტრუქტორი დ. ბარტყულაშვილი, მოსწავლე ი. ოლსკაია, მუშა ლ. ლეკეშვილი, პენსიონერები მ. ლელსკაია, ნ. მაკაეი და სხვ.

მაცურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა ი. ედლის პიესამ „არგონავტი“. სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა ბ. ქელიძემ. პიესა აგებულია ბერძნულ მითზე. ადამიანები ეძებენ ოქროს საწმისს, მაგრამ ოქროს საწმისი — ეს ხომ თვით ადამიანები არიან. მათი შემოქმედებითი შრომა, მათი თავდადება, მათი პარმოიული ურთიერთობა, მათი სპეციალური სიყვარული — ეს საწმისია ყოველივე სიკეთისა. სპექტაკლში მონაწილეობდნენ თეატრის წამყვანი ძალები — ს. გრებიოზანი, დ. ბარტყულაშვილი, ლ. ბერინდა, პენსიონერები ვ. ვანჩაძე, მ. ლელსკაია და სხვ.

რუსული სახალხო თეატრი დიდ ინტერესს იჩენს აგრეთვე უცხოელ დრამატურება პიესების მიმართ. ამჯერად მათ დასადგმელად აირჩიეს იტალიელი დრამატურის ა. ნიკოლაის პიესა „ვაცინი განტყვევებისა“. ამ პიესაში მოთხრობილია ერთი იტალიელი მუშის მიმეც ცხოვრებაზე.

თანამედროვე ცხოვრების თემას მიუძღვნეს ვ. რიასანოვა და ვ. ბრიაგინსკომ კომედია „ერთხელ, ახალწლის დამეს“, რომელიც დადგა ა. ნირვანოვმა. სპექტაკლში განსაკუთრებით გამოირჩილა მთავარი მოქმედი პირის ლუკასინის როლის შემსრულებელი, „უსუესის“ წევრი ლ. კოსარევი. ნაღას როლიც ასვეე შესანიშნავად განასახიერა მსახიობმა ლ. ბერინდამ.

რუსული სახალხო თეატრის კოლექტივი დიდი ენთუზიაზმით ემზადებოდა ვ. ოლინის 100 წლისთავის შესახებდრად, რომელზეც უძევნა დ. რახმანოვის პიესა „მოუსხვენი სიბერე“.

რუსული თეატრალური კოლექტივი ხშირად მართავს წარმოდგენებს ჩვენი დედაქალაქისა და რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის საწარმოო დაწესებულებებსა და კულტურის სასტუმრო, იმართებოდა წარმოდგენები საბჭოთა არმიის მეომრებისათვის.

ვაკრობისა და სამომხმარებლო კომპერაციის მუშაკთა კულტურის სახლის სახალხო თეატრი ღირსეულად აგრძელებს საქართველოში სახალხო თეატრების სახელოვან ტრადიციებს.





# უხსოური უთახეჭდილებები

ოთარ თენიშვილი

ფრანგული კინოს კრიტიკოსი

კინმატორნაჟის სამშობლოდ ტყვილად როდი ითვლება საფრანგეთი. მარტო იმ შედეგების ჩამოთვლა, რომლებიც ფრანგულმა კინემატოგრაფმა შექმნა, ალბათ ჟურნალის მრავალ გვერდს დაიჭურდა. თუმცა უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ფრანგული კინოკრიტიკა ნაღვლიანად იგონებს ძმები ლიუმერების, აბელ პანისის, კოკტოს, კარნეს და რენე კლერის მოღვაწეობის პერიოდს. ეს იმიტომ, რომ დღეს ფრანგული კინემატოგრაფია ნამდვილ კრიზისს განიცდის და ვინც თვალს ადევნებს ფრანგულ ეკრანს, უდავოდ შეამჩნევს,

თუ როგორ საგრძნობლად მცირდება საფრანგეთის ყოფის, მისი პოლიტიკური და სოციალური სახის ამასხველ სიუჟეტებზე შექმნილი ფილმები.

მიზეზი არც თუ ცოტაა. აი, ზოგიერთი მათგანი: ცნობილი ფაქტია, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში კინოს საშინო კონკურენცია გაუწია ტელევიზიამ, განსაკუთრებით კი საფრანგეთში. ამავე დროს ფრანგულ კინოს მძიმე ტვირთად აწევს მთელ დასავლეთ ევროპაში დაბეჭერის ყველაზე მკაცრი სისტემა. ეს კი, ბუნებრივია, დიდ გავლენას ახდენს ფილმის წარმოების თვითღირებულებაზე, რომელიც უკანასკნელ ათ წელიწადში თითქმის ორჯერ გაიზარდა. ასეთი დიდი ხარჯების გაწვევა ალემატება მრავალი ფირმის შესაძლებლობას, რაც საერთო ჯამში რვერეს-

მი ვლინდება. მაგალითად, თუ 1962 წელს გამოშვებული იყო 169 კინოსურათი, უკანასკნელ წლებში მისი რიცხვი 90-დან 120-მდე მერყეობს.

ამავე დროს გამოშვებულმა ფილმებმა, ტელევიზიის კონკურენციის გარდა, უცხოური ფილმებისა და, განსაკუთრებით, ამერიკული ავანტიურისტული, დეტექტიური, კომედიური ჟანრისა და სხვა გარეგან ეფექტაზე შექმნილი ფილმების შემოტევას უნდა გააუძლოს. 1968 წელს საფრანგეთის ეკრანებზე დემონსტრირებული 409 ფილმიდან სამამულო წარმოებისა მხოლოდ 94 სურათი იყო. წმინდა ეროვნული ფილმი მხოლოდ 40 პროცენტს თუ შეადგენდა, დანარჩენი კი სხვა ქვეყნების კინოსტუდიებთან ერთობლივი ნამუშევარი იყო. ამერიკული კომპანიები ღრმად შეიჭრნენ ფრანგულ კინოში და გაბა-

\* დასაწყისი იხილე „საბჭოთა ხელოვნება“ № 7, 1971 წ.

ტონებული პოზიციები დაიმიკვირეს. ახლა აშშ ხუთჯერ მეტ ფრანგულ ფილმებს ყიდულობს, ვიდრე გაუ წლის წინათ. ერთი შეხედვით, აქ არაფერია ცუდი. ნაციონალური კინოინდუსტრია ვალიდებს შემოტანის სასურველი წყარო გახდა. მაგრამ ნათქვამია — ვინც ფულს იხდის, მსოფლიოს ის უკვეთს. ამერიკაში უკვერთ სუპერფილმები, მიღსანი „ეპიკლავები“, ჩხუპი და სკანდალური სიტუაციებზე აგებული სურათები. ერთი სიტყვით, თავისებური სტილი და სიუჟეტი. ამდენად, ძალაუნებურად უნდა დაემორჩილო სხვის გემოვნებს. ასეთი ფორმირება მაკარდა დემეტრე ფრანგული კინემატოგრაფიის ეროვნულ საწყისებს.

ქილე ვაკობი ჟურნალ „საით ენდ საუნდში“ წერდა: „თუ საქმე ასე გაგრძელდება, სულ მალე ფრანგული ფილმების მხოლოდ ფესტივალზე შეხედვებით, ისიც ამერიკული ზოლებზე იხდის დრომის ემბლემით. ასე შეიძლება საერთოდ გაქრეს ფრანგული კინო და იძულებული გავხდეთ მივმართოთ „სენის პოლიველს“.

დღეს ის ადამიანები, რომლებიც ფრანგული ნაციონალური კინოცენტრების დიდებს წარმოადგენენ, ხშირად უმუშევარი არიან. არ დგამენ სურათებს ფრანგული კინოს ისეთი გამოცდილი ისტაბლები, როგორიცაა ჟან რენუარი და რენე კლერი, წლების მანძილზე უმოქმედოდ არიან ჯერ-ბოლო ღუნაზე, ვან დელანუა, ლუ დაკეტი. იმგვართა თუ გამოჩნდებიან ეკრანზე ნიკოლ კურსელი, დანიელ დელორმი, მარი-ჟოზე ნატი, პიერ ბრასერი, ვან-კლოდ ბრილი, მიშელ სიმონა, თვით ფერნანდელი და სიმონა სინორე.

მაგრამ ფრანგული კინოს კრიზისის მიზეზი მაინც მაყურებლის დაკარგვაში უნდა ვეძიოთ. 10 წლის მანძილზე მაყურებელთა რიცხვი ორჯერ შემცირდა — დაახლოებით 400-დან 200 მილიონამდე წელიწადში. ახლა დასწრების მხრივ საფრანგეთს ევროპაში მე-14 ადგილი უჭირავს. კინოთეატრების დახურვა ჩვეულებრივ მოვლანად იქცა. კინოგრაფიების მოგების გასაზრდელად ბილეთების ფასი თითქმის ერთი-სამად გაიზარდა. ბილეთის ფასმა პრემიერაზე 10 ფრანკს მიაღწია (დაახლოებით 2 მანეთი ჩვენი კურსით).

თავისთავად ისმება კითხვა: რას წარმოადგენს დღეს ფრანგული კინო? სურათების თომბიკო პრინციპი კომერციული ხასიათისაა. მათზე ერთი მიმართულება ბატონობს: ერო-

ტიული და ე. წ. „დეფინისიაციური“. პირველი ყოველმხრივ ავითარებს სტუდიურ თემატიკას, რომელიც სწავს წესიერების ყოველგვარ ნორმებს და სასულვარს.

„დეფინისიაციურია“ „ფანტომაში“, „სახტოპელი ტანდარში“ კომპლუარული კომიკიისის ლუი დე ფუენსის მიზაქილოებით, რომლის ხილავი იმდენად დაიშტამპა, რომ სახის მსავაგება თითქმის უშეცლვად გადადიან ერთი სურათიდან მეორეზე. ამიტომაც მისი ნამუშევრები მხოლოდ საშუალო დონეა თუ დავწევს. სხვა სურათებიდან შეიძლება კიდევ დავასახელო „ტატარული“ ლუი დე ფუენსისა და ჟან გაბენის მოხილოებით.

ზოგიერთ კინოსოკოლოგს მიაჩნია, რომ საჭიროა „მოყრეპული“ ფრანგი მაყურებლის რთიმე გაოცება და კიხოდარბაზში მიტყუება. პირიქით, ფრანგი მოსახლეობის უმრავლესობა კარგი და დახვეწილი გემოვნება აქვს. ტრადიციულმა, ნიჭიერად დამუშავებულმა სიუჟეტმა შეძლებულია არ დაიანტრესოს მაყურებელი. არაფრისმთქმელი ტრიკებით გამდიდრებულ უგემოვნო ნაყოლებს განა შეუძლია ადამიანის გაოცება და დარწმუნება? ეს რომ ასე არ ხდება, ნათლად ჩანს ისეთი ფრანგული ფილების მავალითზე, როგორიცაა „მებურის ქოლგები“, „მაიერლინი“ (კატრი დენევისა და იმარ შარვისის მონაწილეობით), „ჟაკი და მარკაიკი“ და სხვა, რომლებიც დიდი წარმატებით სარგებლობენ მაყურებელთა შორის.

ფრანგი მაყურებელი დადალებს ისეთმა ფილმებმა, რომლებიც შეფუძნა ძალადობა, პორნოგრაფიკული, ეროტიკა, გარყვნილება, დაუსრულებელი შპიონაჟი, არასრულყოფილი თუ ნახევრადმშლელი ადამიანების პირქუში სახეები.

ფრანგ მაყურებელს დღეს უფრო მეტად აინტერესებს პრობლემებით და ტექნიკურად სურათები, რომლებიც, მიუხედავად სიმძლევრისა, ზოგჯერ მაინც გამოიდან ეკრანზე. საზოგადოებამ ობიექტური გულ-ფრფვობით შეაფასა პროფინციული გოგონას ბუდი რობერტ ბრესინის ფილმიდან „მუშეტი“ და ადამიანის ერთი იდეალის გამოხატვა კლდე ლელიუმის ნაწარმოებში. საინტერესო მიზეზი, საკუთარი ხელწერით, მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევა კრის მარკერის, ფრედერიკ სინოსის, ფრანსუა რეიშბაისისა და კლოდ შაბროლის ნამუშევრები.

ფრანსუა ტრიუფოს ფილმი „მომარული კაცის“ მიგვიბრუნებს ახალგაზრდა კაცზე, რომელიც ცდილობს თავისი ადგილი იპოვოს ცხოვრებაში. მისი გმირი ანტუანი, რომლის ტრანკვილი ცხოვრება რეჟისორმა ჟან კიდეც ადრე ფილმ „400 დარტყმაში“ აჩვენა, ახალ ფილმშიც გვევლინება იგივე მახასიათებელი სურათებით.

მიშელ კურნო მუქანა ფირ „ლურჯები“. ეს არის გმირის მოგონებები თავის მწუხარე ბავშვობაზე. როდეს ბრწყინვალედ ასრულებს ახა ვინარდო. ეს სურათი ავტორის პოზიციას ბურჟუაზიული მორალის უაყოფაში გამოხატავს.

კიდევ შეიძლება დავასახელო ფილმები: პიერ ეტიკის „დიდი სიყვარული, ანდრე კაიეტის „მშვიდობის სახურავი“, დოსტოევსკის „უწყინარის“ რომერტ ბრესინისეული ეკრანისავცია, კლოდ ოტან-ლარას „პარისის სავანე“ სტენდალის მიხედვით. კინოს აკადემიამ, რომელსაც ჟოზე ორიკი თავმჯდომარეობს, 1968 წლის დიდი პრიზი — „ბიროლის კოში“ — მიანიჭა ჟაკ ტატის ფილმს „პულიტიმის“, რომელიც მრისანე უაწარა ამერიკულ ხასიათსა და სინამდვილეზე. ფილმს მალალო შეეფარა მისცა აგრეთვე მისკოლის საერთაშორისო კინოფესტივალის ჟიური.

არკუე დიდი კნის წინათ ფრანგი საზოგადოებისა და პრესის ფართო განხილვის საგანად იქცა რეისორი ჟან-ლიუჟ გოდარის ფილმი. სურათოდ იგი მუდამ აცხადდება პრეტენზიას სოციალური მოვლენების მახვილი კინემატოგრაფიული ენით ამეტყველებს. მაგრამ ამავე დროს, გოდარი აშკარად ღვას ინდივიდუალისტიკის პოზიციას — და გამოკვეთილად არც კაპიტალიზმის მხარეზეა და არც სოციალიზმისა, ფაქტად კი ერთ რამზე მეტყველებს: პრიმიტიული არზოვნების გამო, ამგვარად გოდარის შემოქმედებისადმი ინტერესი საგანძობლად დეკავ. მისას მისწრებაზე — რაც კი უნდა მოხდეს თანამედროვეობაზე ფსევდოპარადოქსალური შეხედულებებით, რომლის მიმდევ გამოუცხობისა ცოცხალი აზრი — შოკში ჩაჯდოს მაყურებელი, კამბი განიცავდა. მას ზურგი შეაქცია ძველმა თაყვანისმცემელმა.

თუმცა, როგორც ზემოთ ვთქვი, დარბაზებს მაყურებელი სხვა მიზეზით ტრავებს.

მაგრამ სად არის გამოსავალი ამ კრიზისისაგან თავის დაღწევის:

კონკრეტულ საშუალებებს საფრანგეთში მხოლოდ კომუნისტური პარტია მსახვს. მიაი პროგრამა ითვალისწინებს დიდი გადასახდების გადასხვას და მთავრობის დოქტრინის გახრავას კინონდუქტრის გასავითარებლად. ახალგაზრდა რეჟისორების წახალისება, მხარდაჭერა ვეკულისადმი, ვინც ისწრავის შექმნას კინოხელოვნების ნამდვილი ნიმუში, ბრძოლის კინოთეატრებისა და კინოსტუდიის დახურვის წინააღმდეგ, პატარა და საშუალო კინოთეატრების მფლობელთაგან დახმარებას გრძელვადიანი სესხის მიცემით, უმაღლესი კინოსკოლების სტუდენტთა უსრულეულობის ხორმალური სტიპენდიებით. ამ პროგრამის შედეგად, ტექნიკული განხორციელების შედეგად, უმჯობელია, ფრანგული კინო თავს დაადევნოს უცხოური კამიტლის ბატონობას და განვითარების საიმედო გზას დაადგება. მართალია, დღეს ფრანგული კინემატოგრაფი მძიმე მდგომარეობაშია, მაგრამ, იგი მაინც ინარჩუნებს წამყვან პოზიციას მსოფლიო კინოხელოვნებაში. ამაზე მეტყველებს უკანასკნელი წლების ფრანგული ფილმები (ლუი მალიას „კალკუტა“ და სხვა), რომლებშიც ჩანს ახალი, საიმედო ძალების ბრძოლა და ძიება, რაც უდავოდ მეტყველებს ფრანგული კინემატოგრაფისტების შეუპოვარ ცდაზე ააღორჩინოს ეროვნული კინოხელოვნება.

„საზავაშული პარტისი მარანიანაჰ“

...დღეს კინემატოგრაფიული საფრანგეთი. კომერციული სუპერპროდუქციით დაწყანაზებული პარტისი უკმა აღმოჩნდა „მოქმედ ვულკანზე“.

ლათინურ კვარტალში, ელისიეის მინდვრების დიდ ზეივანში და ფენეზელურ დარბაზებში არ წყდება ოცავიები. ხალხი ზეივანებში აწყვება. გაოგნებული აჩინა პროდიუსერები.

„რამია საკმე?“  
გოდარმა ნორმალური ფილმი გააკეთა? არა.

ვადიმმა ჰეინ ფორდი ჩაიცივა? არც ეს.

შედღური ორსაპროცენტრიანი ულტრასექსი? რა გულუბრყვილობაა...

კვანძი მამინვე გაიხსნება, თუკი ყურადღებას მივაქცევთ პარტისის კვანძებზე გასული ფილმებს: „კალკუტას“ (რეჟისორი ლუი მალია) და „ექვს ივლისს“ (რეჟისორი იულია კარასიკა).

რამი მდგომარეობს აღნიშნული

კინოფილმების ესოდნი დიდი წარმატება? რა თქმა უნდა, პოლიტიკური აქტუალობაში, შეურიგებლობაში, მიხასხროფვასა და სიამამეში მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ფილმებს ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ფაბულა უდევთ საფუძვლად და დასმული პრობლემაც სხვადასხვა მხატვრული ხერხითაა გააწყვეტილი, მათ ანათავებს მთავარი ხაზი — კაცობრიობისა და პროგრესის ბედი.

„ექვს ივლისს“ არახულ წარმატებას დაუპირისპირდა მემარცხენე ელემენტების გააფორებული რეაქცია — გასულ „კომბადან“. მართლაც რომ უცხოური დღეებია, დღეები, რომელიც სოციალიზმისათვის მუშებისა და ახალგაზრდობის გაბედული მოქმედების გამოწვეული შიმის შედეგი იყო...

სულ სხვა მოვლენებზე მოვიხირობო ფრანგი რეჟისორის ლუი მალიას დოკუმენტური ფილმი „კალკუტა“.

ლუი მალიას სახელს კარგა ხანია იცნობს მაყურებელი ფილმებით „მიჯნობა“, „გამარჯობა, მარია“, „პირადი ცხოვრება“, „ჟურნი“ და „ცითომიდი ნაურწყლები“. ლუი მალია იმითათვე გაემიჯნა „პაპილოს კინემატოგრაფიას“ („სინემა დე პაპა“) და როგორც „ახალი ტალღის ყველა წარმომადგენელმა, დადგა რამდენიმე ფილმი-პროტესტი, კერძოდ „ლიფტი ემაფოტე“ და სხვა.

„აფორი იმაზე, — ამბობს ლუი მალია, — რომ მილიონობით ადამიანი შიმშილობს, რომ უამრავი პრობლემა ჯერ კიდევ გადაუჭრელია და ამ დროს შენ ჩაფარნილი ხარ ადამიანურ ღირსების მშთანთქავ გარემოში, რა თქმა უნდა, ძნელი ასატანია და ამიტომაც ეს გაიერო მუდამ მიხუთავდა სულს, მუდამ ტანჯავდა ჩემს ცნობიერებას. საფრანგეთის მის-ივლისის მოვლენებმა ექვი საბოლოოდ დაანსვრია და აშკარად ვიგრძინი, რომ შემოქმედს არა აქვს დაუძლიის უფლება“.

„კალკუტას“ შემქმნის იდეა ერთბაშად არ დაბადებულა. მას ლუი მალიას აზროვნებაში თანდათანობით აღიფრევადა მისივე თვალით დანახული ნიჭური ხალხის უუფლებობა და გამათხოვრება, ამავე დროს, ფილმული მუშაობისას რეჟისორს შეეფილმობდა არ გამოპარვია ის პროგრესი, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოების შემდეგ შეინიშნება კალკუტას ცხოვრებაში. ქალაქი სწრაფად

იცვლის იერს, მძლავრი ნაბიჯებით მიდის წინ და უძტივეზოდ ტოვებს საუკუნეობრივი ჩამორჩეობის ზღუდვებს, იზრდება ხალხთა ბატერიალური ფასეულობა, ცხოვრების კულტურული და ეკონომიური დონე ამავე დროს, აირჩია რა რუქსორმა კოლონიალიზმის გაწმენკული სახით ჩვენების თემა, სამარცხენო ბოძზე გაკარა ისინი, ვინც თავისი ეკონომიური და პოლიტიკური მიზნებისათვის ზეღყოფს ხალხთა უფლებებსა და დამოუკიდებლობას. კალკუტის მოსახლეობის ბედს ფილმი მხატვრებია საკაცობრიო იდეებთან მტკიცე კავშირში და იგი ქუჩის როგორც კოლონიალური რეჟიმის საწინააღმდეგ, როგორც იმპერიალიზმის სასტიკი განაჩენი, იმპერიალიზმისა, რომელიც გადაცმულია ახალ ფილმულ საშობში და დღევადამი შეიღობს იმაზე, რომ მონობის ბანგიდან გამოფხიზლებული, თვალახელიერი ხალხი ისევ მიწობის ძველებურ კალაპოტში ჩაყვინობს.

